პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ოთხშაბათი,
20
ნოემბერი
1935 წ.
№ 268 (4424)

ფასი 10 კაპ.

დღეს ნომერში:
— სტახანოველთა—საკავშირო თათბირის მიმართვა ამხ. სტალინს
— ამხ. მ. ი. კალინინის ლენინის ორდენით დაჯილდოება დაბადებიდან სამოცი წლის შესრულების გამო.
— სტახანოვური მოძრაობის და მუშათა კლასის კულტურულობის შესახებ ამხ. ვ. მოლოტოვის სიტყვა.
— ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვა სტახანოველთა საკავშირო თათბირზე
— ამხ. ა. ი. მიქოიანის სიტყვა
— ამხ. კაგანოვიჩის სიტყვის დასასრული
— სტახანოველთა თათბირის უკანასკნელი სხდომა
— ლევ ტოლსტოის გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო.
— მდგომარეობა ჩრდილოეთ ჩინეთში.

სტახანოველთა მიმართვა

ჩვენს დიდ მასწავლებელს, საყვარელ მეგობარს—ამხანაგ სტალინს

ჩვენო ძვირფასო, ჩვენო საყვარელო, ჩვენო დიდო იოსებ ბესარიონის-ძევ! ჩვენ ვსწერთ ამ წერილს იმ წუთებში, როცა ჩვენი გული გამალებით სძგერს, იმ წუთებში, როცა ჩვენ ყველანი ვიმყოფებით თქვენ მიერ ეს არის ახლა წარმოთქმული შთამაგონებელი, დაუვიწყარი სიტყვის შთაბეჭდილების ქვეშ.

ჩვენ მოუთმენლად მოველოდით თქვენს სიტყვას, და როცა თქვენ ტრიბუნაზე გამოხვედით, უდიდესი სიყვარულის გრძნობამ მოგვიცვა. ჩვენი გულმკერდიდან აღტაცების ქარიშხალი აღმოსკდა, ჩვენ უფრო მჭიდროდ მივეკარით ერთმანეთს და ვიგრძენით რაღაც ჯადოსნური, ბუმბერაზული ძალის ახალი მოზღვავება.

გისმენდით და ყოველ თქვენს სიტყვას, ყოველ ჟესტს, ყოველ მოძრაობას ვიჭერდით. გვინდოდა წამოვმდგარიყავით, გადაგხვევოდით და ჩვენი უსაზღვრო სიყვარული გამოგვეხატა. თვითეული სიტყვა ღრმად შეგვეჭრა მეხსიერებაში და იქ სამუდამოდ დაგვრჩება.

იოსებ ბესარიონის-ძევ! ცხოვრება უფრო ადვილი გახდა, ცხოვრება უფრო მხიარული გახდა!—ჩვენ გვსურს მრავალის-მრავალჯერ განვიმეოროთ ეს თქვენი სიტყვები, გვსურს ვიმღეროთ ისინი. ცხოვრება უფრო ადვილი გახდა ცხოვრება უფრო მხიარული გახდა იმიტომ, რომ ჩვენს პარტიას თქვენი წინამძღოლობით ჩვენი ქვეყანა მიჰყავს სოციალიზმისაკენ, კომუნიზმისაკენ. იმიტომ, რომ ჩვენი პარტია და პირველი თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, გვზრდით ჩვენ, გვაკაჟებთ, გვავაჟკაცებთ. ჩვენ თქვენი აღზრდილნი ვართ, ჩვენ ერთგული სტალინელი მოწაფეები ვართ.

ჩვენს გულში ყველაფერი სდუღს, ყველაფერი ბობოქრობს. ჩვენ აღსავსენი ვართ ისეთი გრძნობებით, რომელთა გამოხატვა ძნელია. თქვენ სთქვით, რომ სტახანოვური ნაპერწკალი ალად გადაიქცა, მაგრამ სტახანოვური ნაპერწკალი თქვენ დაანთეთ თქვენი ლოზუნგით იმის შესახებ, რომ ადამიანებს ყურადღებით მოვეპყრათ, თქვენი სიყვარულით ხალხისადმი. თქვენი დღევანდელი სიტყვით თქვენ უფრო-და-უფრო ძლიერად აღვივებთ შეჯიბრების ამ ცეცხლს, რომელიც კიდევ უფრო გამოგვბრძმედავს ჩვენ და მთელს ჩვენ სამშობლოს, კიდევ უფრო ძლევამოსილს, ურყევს გახდის მას.

ჩვენო ძვირფასო, საყვარელო მეგობარო და მასწავლებელო! თქვენ ეს-ეს არის მადლობა გამოგვიცხადეთ სწავლებისათვის. თქვენ, ხალხთა დიდო ბელადო, კაცობრიობის გენიოსო, მადლობა გამოგვიცხადეთ ჩვენ, მუშებსა და მუშა ქალებს, გაკვეთილისათვის. რა სიამაყეა ჩვენთვის, რომ თქვენ ასე დიდად შეაფასეთ ჩვენი [illegible] და სიტყვები თქვენი პირადი ინიციატივით მოწვეულ სტახანოველთა საკავშირო თათბირზე. ჩვენ როგორღა გადაგიხადოთ მადლობა? სად ვიპოვოთ მადლობის სიტყვები იმ სწავლებისათვის, რომელსაც ყოველდღე გვაძლევს პარტია მთელი თავისი გრანდიოზული მუშაობით, რომელსაც გვაძლევთ თქვენ, თქვენი ნათელი ბოლშევიკური გონება, იმ გაკვეთილისათვის, რომელიც თქვენ ერთხელ კიდევ მოგვეცით დღეს თქვენი შესანიშნავი სიტყვით. მადლობა, დიდი, სტახანოვური, ჩვენი თქვენდამი სიყვარულით უღრმესი მადლობა სწავლებისათვის, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ჩვენ ვემზადებით ჩვენს მშობლიურ მაღაროებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, რკინიგზებზე წასასვლელად და თან მიგვაქვს სტალინური ცეცხლის ნაპერწკლები. ამ ნაპერწკლებს მასებში შევიტანთ. სტალინური შეუპოვრობით ვიბრძოლებთ შრომის სოციალისტური ნაყოფიერების მისაღწევად. ჩვენ გავზრდით კომუნიზმის მარცვლებს, რომლებიც თქვენ თქვენებური გამჭრიახობით დაინახეთ სტახანოვურ მოძრაობაში. დიახ, ეს მარცვლები უკვე მწიფდებიან, ხოლო თქვენ ხართ ის მზე, რომლის ქვეშაც ისინი ლაღად იფურჩქნებიან.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ! მიიღეთ ჩვენი სიყვარული და სურვილი, რომ დიდხანს იცოცხლოთ ჩვენდა სასიხარულოდ. ცხოვრება უკეთესი გახდა და კიდევ უფრო მშვენიერი იქნება, ცხოვრება უფრო მხიარული გახდა და კიდევ უფრო მხიარული იქნება. კრემლის სასახლიდან გასვლისას ჩვენ ვიმღერეთ სიხარულზე ადამიანებზე, რომლებიც სიმღერით მიაბიჯებენ ცხოვრების გზაზე. თქვენთან ხელიხელ ჩაკიდებულნი, ჩვენ მხიარული სიმღერით მივაბიჯებთ და სოციალიზმს ვაშენებთ.

ნახვამდის, იოსებ ბესარიონის-ძევ. ნახვამდის!

სტახანოველ მუშათა და მუშა-ქალთა პირველი საკავშირო თათბირის მონაწილენი.

(შემდეგ მოსდევს მთელი რიგი ხელმოწერა, ხელმოწერა გაურკვეველია).

მოსკოვი, 17 ნოემბერი, საღამოს 8 საათი.

სტახანოველთა თათბირის უკანასკნელი სხდომა

ოთხ დღეს გრძელდებოდა სტახანოველი მუშების და მუშა-ქალების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების სრულიად საკავშირო თათბირის მუშაობა. ოთხი დღის განმავლობაში სტალინთან ერთად, პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად იხილავდნენ ისინი მრეწველობაში და ტრანსპორტზე შრომის ორგანიზაციის მრავალფეროვან საკითხებს და სახავდნენ სტახანოვური მოძრაობის შემდგომი განვითარების ამოცანებს.

მხურვალედ შეხვდნენ თათბირის მონაწილენი საკ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის და მოსკოვის კომიტეტის მდივანს ამხ. ლუკიანოვს, რომელმაც ლენინურ-სტალინური კომკავშირის და მისი ცენტრალური კომიტეტის სალამი გადასცა თათბირს.

შემდეგ გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ამხ. შვერნიკი, რომელიც თავის სიტყვაში შეჩერდა პროფკავშირების ამოცანებზე სტახანოვური მოძრაობის გაჩაღებაში.

ამხ. კ. ე. ვოროშილოვის გამოსვლა

ამხ. შვერნიკის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე ამხ. ორჯონიკიძე სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარს ამხ. კ. ე. ვოროშილოვს.

სახალხო კომისარი ჯერ კიდევ არ მისულიყო ტრიბუნამდე, რომ სტიქიურად აჰქუხდა აღფრთოვანებული ოვაცია, რომლის ტალღა დარბაზის ერთი კიდიდან მეორეს ეხეთქება. მძლავრ „ვაშაში" ისმება აღტაცებული ხმები: „გაუმარჯოს კლიმ ვოროშილოვს", „გაუმარჯოს დიდ სტალინს".

მქუხარე ტაში არა ერთხელ აწყვეტინებს სიტყვას ამხ. ვოროშილოვს. თათბირის რამდენიმე ათასი მონაწილე დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალყურს მამაცურ, შინაარსიან, მკაფიო სიტყვას.

ამხ. ვოროშილოვის სიტყვის დროს პრეზიდიუმში გამოჩნდა ამხანაგი სტალინი. უზარმაზარი დარბაზის ყველა კუთხიდან ისმის მისალმება: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს". თათბირის მონაწილენი სალამს უძღვნიან იმას, ვისი გენიოსობაც წინ მიუძღვის დიად სოციალისტურ მშენებლობას, ვინც დაუღალავად ზრუნავს საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებაზე. და როდესაც ამხ. ვოროშილოვი ათავებს თავის სიტყვას და აცხადებს „ვაშას" პროლეტარული რევოლუციის დიდი მარშალის პატივსაცემად, მარშალის რომელსაც მტკიცედ და ურყევად მიჰყავს მრავალმილიონიანი ქვეყანა ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის გზით, ეს „ვაშა" ედება მთელს დარბაზს: „ვაშა სტალინს", „გაუმარჯოს სტალინს". მქუხარე ოვაცია დიდხანს არ შეწყვეტილა.

ამხანაგ სტალინის გამოსვლა

თავმჯდომარე ამხ. ორჯონიკიძე აცხადებს, რომ სიტყვა ეძლევა ამხანაგ სტალინს.

და როდესაც გაისმის სტალინის სახელი, როდესაც ყველა მშრომელის მასწავლებელი და მეგობარი ტრიბუნისკენ მიემართება, ყველა ერთი მთლიანი გრძნობით აღტაცებული, ფეხზე დგება და მქუხარე ტაშით სალამს უძღვნის საყვარელ ბელადს.

ყველას გაბრწყინვებული თვალი მისკენ — მშობლიურ სტალინისკენ არის მიპყრობილი.

ისმის მქუხარე შეძახილი:

— გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ამხანაგ სტალინს!

— სტახანოვური სალამი დიდ სტალინს!

— ჩვენს სტალინს—ვაშა!!!

მქუხარე ტაში და „ვაშას" აღფრთოვანებული შეძახილი 15 წუთის განმავლობაში აყრუებს უზარმაზარ დარბაზს და პროლეტარული ჰიმნის მძლავრ სიმღერაში გადადის.

ახალ მქუხარე ოვაციას სცვლის სრული სიჩუმე, როდესაც გაისმის ამხანაგი სტალინის პირველი სიტყვები.

მხედველობა და სმენა არაჩვეულებრივად დაძაბულია. სოციალიზმის ქვეყნის საუკეთესო ადამიანები დაძაბული ყურადღებით ისმენენ ბელადის მშვიდ და ამაღელვებელ ბრძნულ და მკაფიო სიტყვას. ისინი იჩქარიან აღბეჭდონ თავის მეხსიერებასა და გულში სტალინის ყოველი სიტყვა, რომ გადასცენ ის მილიონებს, ხელში იქირონ როგორც დროშა, როგორც მხურვალე მოწოდება კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ, როგორც ბრძოლის და გამარჯვების მჭრელი იარაღი.

დაუვიწყარი სიტყვების განსაცვიფრებელი ძალა დარბაზში იწვევს მქუხარე ტაშს.

სიტყვა, რომელიც ერთ საათამდე გრძელდებოდა, დამთავრებულია.

მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ტაშით და აღფრთოვანებული მისალმების ქუხილით უპასუხებს ბელადის სიტყვას.

ჰქუხს მხიარული და მხურვალე მისალმებანი სოციალიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის, საყვარელი ბელადის და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის პატივცემად.

შეძახილებში, „ვაშას" ხმებში, ტაშის გრიალში, რომელიც 20 წუთს გრძელდება, იბადება „ინტერნაციონალის" მძლავრი ხმები, რომელსაც არაჩვეულებრივი აღტყინებით და აღფრთოვანებით მღერის ყველა დამსწრე; შემდეგ კვლავ ახალი შეძახილები, ტაშის ახალი გრიალი.

თათბირმა ამხ. ორჯონიკიძის წინადადებით დაადგინა შესწყვიტოს კამათი.

ამხ. ორჯონიკიძეს შეაქვს წინადადება გამოიცეს თათბირის სტენოგრაფიული ანგარიში გამოსულ ამხანაგების პორტრეტებით მასობრივად გავრცელებისათვის.

სტახანოველებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას, ერთსულოვანი ტაშით მიიღეს ის.

ამხ. ორჯონიკიძე სტახანოველი მუშების და მუშა-ქალების პირველ საკავშირო თათბირს დახურულად აცხადებს.

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მეთაურს

ძვირფასო მიხეილ ივანეს ძევ!

შენი 60 წლისთავზე ჩვენ, სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმისა და, რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის წევრები, მხურვალე სალამს გიძღვნით შენ, ვ. ი. ლენინის ერთერთ ყველაზე მახლობელ თანამებრძოლს, მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მეთაურს.

სოციალიზმის მშენებლობის უდიდესი წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში განუყრელად დაკავშირებულია მუშების, კოლმეურნეების და ყველა მშრომელისათვის მახლობელ და ძვირფას შენს სახელთან.

დიდად ვაფასებ რა შენს რევოლუციური გამოცდილებით მდიდარ ცხოვრებას, შენს უდიდეს როლს ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისათვის, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ჩვენ გულითადად გისურვებთ შენ, ძვირფასო მიხეილ ივანეს ძევ, მრავალ წელს შეუნარჩუნო ჯანმრთელობა, მხნეობა და ენერგია შემდგომი ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის.

ნ. აიტაკოვი, კ. ს. ათაბაევი, ი. ახუნ-ბაბაევი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. მ. გოლოდედი, ა. ა. ჟდანოვი, უ. დ. ისაევი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ს. ვ. კოსიორი, პ. პ. ლიუბჩენკო, გ. მუსაბეკოვი, გ. ი. პეტროვსკი, პ. პ. პოსტიშევი, ა. რ. რახიმბაევი, უ. რახმანოვი, ი. ბ. სტალინი, ი. ს. უნშლიხტი, ნ. ა. ფილატოვი, ფ. ხოჯაევი, ა. გ. ჩერვიაკოვი, ვ. ი. ჩუბარი, ლ. კ. შაპოშნიკოვა, ნ. მ. შვერნიკი, შ. შოტომორი, ი. ა. აკულოვი, ი. ე. რუძუტაკი, ს. ე. ჩუცკაევი, ი. ს. შელეხესი, მ. ს. ვასილენკო, გ. დ. ვეინბერგი, ა. გულოიანი, ა. ი. იკრამოვი, ა. ს. კისელიოვი, ვ. პ. ზატონსკი, კ. ი. ნიკოლაევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ფ. ი. მახარაძე, ს. კ. რადუნცი, ა. ი. ხაცკევიჩი, მ. ა. დალგატი, მ. მ. ეფენდიევი, კ. ა. აბრამოვი, ზ. გ. ბულაშოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. კ. ურაზბეკოვი, ი. ა. ვოლცეხოვსკი, მ. ნ. იერბანოვი, გ. გ. ბაიჩურინი, ს. მ. ბუდიონი, ა. ა. იველინი, დ. დ. დერუევი, პ. ი. ეჟოვი, ბ. დ. ისაკეევი, ი. ფ. კოდაცკი, ნ. ვ. კრილენკო, უ. დ. კულუმბეტოვი, დ. ზ. ლებედი, ნ. ფ. ნოვიკოვი, ნ. ნ. ნურმაკოვი, ა. მ. ტაგიროვი, ი. უ. ტარხანი, ა. ვ. არტიუხინა, ს. ო. ესტიგნეევი, ი. ი. კაგანოვიჩი, ი. ი. კუტუზოვი, გ. ტ. პოლბიცინი, გ. დ. რაკიტოვი; ე. ი. რიაბინინი; ნ. ა. სემაშკო, კ. ვ. უხანოვი, რ. პ. ეიდემანი.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინს

ძვირფასო მიხეილ ივანესძევ!

თქვენი სახელოვანი, რევოლუციური შემოქმედებით აღსავსე ცხოვრების სამოცი წლისთავზე, ს. ს. რ. კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით.

როგორც ძველი ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი და ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის ყველაზე მახლობელი თანამებრძოლი, თქვენ, მიხეილ ივანეს-ძევ, მათი გენიალური ხელმძღვანელობით წარმატებით იბრძოდით და იბრძვით ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა ბედნიერი ცხოვრებისათვის.

თქვენ, მსოფლიოში პირველი პროლეტარულ სახელმწიფოს უცვლელი მეთაური, მრავალი წლის განმავლობაში ბრძნულად და თანამიმდევრულად ახორციელებთ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, დაუღალავად განამტკიცებთ ყველა ხალხის მშრომელთა ძმურ ინტერნაციონალურ კავშირს.

ს. ს. რ. კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმი გისურვებთ თქვენ, ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ ჯანსაღობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი მრავალეროვანი დიდი სოციალისტური სამშობლოს განმტკიცების საქმეში.

ს. ს. რ. კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმი:

ლ. პ. ბერია,
ნ. მ. გოლოდედი,
ს. ვ. კოსიორი,
უ. დ. ისაევი,
პ. პ. ლიუბჩენკო,
უ. რახმანოვი,
ნ. ა. ფილატოვი,
ლ. კ. შაპოშნიკოვი,
შ. შოტომორი,
ვ. პ. ზატონსკი,
კ. ი. ნიკოლაევა,
ნ. ს. ხრუშჩოვი,
ფ. ი. მახარაძე,
ს. კ. რადუნცი,
ა. ი. ხაცკევიჩი,
მ. ა. დალგატი,
მ. მ. ეფენდიევი.

60 წელი შეუსრულდა მიხეილ ივანეს-ძე კალინინს



ამხ. მიხეილ ივანეს-ძე კალინინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აღნიშნავს რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის—მიხეილ ივანეს-ძე კალინინის განსაკუთრებულ რევოლუციური დამსახურებას და მის უდიდეს როლს მსოფლიოში პირველი პროლეტარულ სახელმწიფოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის—შექმნისა და განმტკიცების საქმეში, **ადგენს:**

დაჯილდოებულ იქნას ამხ. მიხეილ ივანეს-ძე კალინინი, მისი სამოცი წლისთავზე, ლენინის ორდენით.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

გ. პეტროვსკი.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

ი. აკულოვი

მოსკოვი. კრემლი.
1935 წ. 19 ნოემბერი.

□ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □

სტახანოვური მოძრაობის და მუშათა კლასის კულტურულობის შესახებ

ამხ. ვ. მოლოტოვის სიტყვა 16 ნოემბერს სტახანოველ მუშათა და მუშა-ქალთა პირველ საკავშირო თათბირზე

I

ვინ არიან სტახანოველები და რას მიაღწიეს მათ?

ამხანაგებო, ჩვენი თათბირი, რომელსაც ჩვენ თავმდაბლურად მრეწველობის და ტრანსპორტის სტახანოველ მუშათა და მუშა-ქალთა პირველი საკავშირო თათბირი ვუწოდეთ, გადაიქცა მუშათა კლასში იმ ახალი სოციალისტური აღტყინების მკაფიო დემონსტრაციად, რომელსაც სტახანოვური მოძრაობის სახელი დაერქვა.

გუშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სტახანოველები — ესენი არიან შრომის მაღალი ნაყოფიერების გმირები ცალკეულ შახტებსა და ქარხნებში, რომ არიან მხოლოდ ცალკეული მუშები და სტახანოველ მუშათა ცალკეული ბრიგადები, მაგრამ ახალი აღტყინების საერთო სურათი ჯერ კიდევ არ სჩანდა. ამ თათბირის ტრიბუნიდან გაისმა მრეწველობის სულ სხვადასხვა დარგის და ჩვენი ტრანსპორტის მრავალი რაიონის სტახანოველ მუშათა ხმები, რომლებმაც ჩინებულად გამოხატეს არა მარტო თავიანთი განწყობილებანი, არამედ იმ მრავალ ათას სტახანოველთა განწყობილებანიც, რომლებიც ამ თათბირს არ ესწრებიან — სოციალისტური შრომის ფრონტზე ახალ მებრძოლთა განწყობილებანი.

თათბირმა დაგვანახვა, რომ სტახანოველები—ეს უკვე არ არიან ცალკეული მუშები, მუშათა ცალკეული ჯგუფები, რომ ესენი ცალკეული ნაკადულები კი აღარ არიან, არამედ ძლიერი ძალის ნამდვილ ნიაღვარს წარმოადგენს. ახლა უკვე არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ სტახანოვურ მოძრაობაში ჩვენ გვაქვს მუშათა კლასის ახალი სახელოვანი აღტყინება ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და რკინიგზებზე შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში. ახლა უკვე არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ მოწინავე მუშათა ახალ ინიციატივას მოკლე ხნის განმავლობაში გამოეხმაურნენ მრავალი ათასობით მუშები და მუშა-ქალები, რომ ეს საქმე გადაიქცა მთელი მუშათა კლასის საქმედ (ტაში).

— სტახანოვური მოძრაობა იშვა მუშათა მასებში, მუშათა სიღრმეში. ცნობილია, რომ სტახანოვური მოძრაობის ყველაზე პოპულარული წარმომადგენლები არიან რიგითი მუშები და მუშა-ქალები. ჯერ კიდევ გუშინ მათ ბევრი არ იცნობდა თავის ქარხანაში, ჯერ კიდევ გუშინ ისინი იდგნენ სხვა რიგითი მუშებისა და მუშა-ქალების გვერდით, ხოლო ახლა საბჭოთა კავშირის მთელმა მუშათა კლასმა გაიცნო თავის ახალ გმირთა სახელი, იმ მუშა და მუშა-ქალთა სახელი, რომლებიც გადაიქცნენ სოციალიზმისათვის ბრძოლის ახალი გაძლიერების დროშად.

ვნახოთ ვინ არიან ჩვენი სტახანოველები, ახლოს გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს მაინც. მე მინდა მოვიყვანო ზოგი ფაქტი რამდენიმე ამჟამად ყველაზე უფრო პოპულარულ სტახანოველთა ბიოგრაფიიდან. ეს ფაქტები, როგორც დაინახავთ, ბევრ რასმე საგულისხმოს მოწმობს.

მე მოვიყვან რამდენიმე ფაქტს ამხ. სტახანოვის, ბუსიგინის, სმეტანინის, ე. ვინოგრადოვას, მ. ვინოგრადოვას და კრივონოსის ბიოგრაფიიდან, რომელთა სახელთან ასე განუყრელად დაკავშირებულია სტახანოვური მოძრაობის გაძლიერება.

აი რა ცნობები გვაქვს ჩვენ თვით ამხ. ალექსი **სტახანოვზე.** სტახანოვი 29 წლისაა. იგი დაიბადა ორლოვის ოლქის ღარიბი გლეხის ოჯახში. დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო 12 წლის ასაკიდან, როცა სამუშაოდ წავიდა კულაკთან წისქვილში. 1927 წელს დაიწყო მუშაობა „ირმინოს" შახტაში, დაამთავრა სანგრევ ურობზე სამუშაოდ მნგრეველთა მოსამზადებელი კურსები, შემდეგ „ფრიადზე" ჩააბარა სახელმწიფო ტექნიკური გამოცდა. 1934 წლიდან საკ. კ.პ. (ბ) თანამგრძნობია.

აი სტახანოველთა მეორე წარმომადგენელი, გორკის ავტოქარხნის მჭედელი ამხ. **ბუსიგინი.** იგი 28 წლისაა, დაიბადა ვეტლუგის რაიონის ღარიბი გლეხის ოჯახში. 1931 წლამდე გლეხურ მეურნეობას ეწეოდა, ხოლო ამ წელს დაიწყო მუშაობა დურგლად ავტოქარხნის მშენებლობაზე, შემდეგ გადავიდა მზეთავის სამუშაოზე, ჩაქუჩზე სამჭედლოში. შარშან შემოდგომიდან მუშაობს ორთქლის უროზე. მიმდინარე წლის 27 სექტემბერს შეიტანა განცხადება საკ. კ.პ. (ბ) თანამგრძნობთა რიგებში მიღების შესახებ.

აი მეფეხსაცმლე ამხ. **სმეტანინი** —ლენინგრადის ფაბრიკა „სკოროხოდის" მუშა. იგი 32 წლისაა. 1916 წლიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა იგი 13 წლის იყო, შევიდა ფეხსაცმლის ფაბრიკაში და ათ-ათ საათს მუშაობდა კალაპოტების გადარჩევაზე, 1928 წელს დაამთავრა საფაბრიკო-საქარხნო სკოლა. 1928-დან 1929 წლამდე იყო წითელ არმიაში, სადაც სწავლობდა ლეგიონის საარტილერიო სკოლაში. არმიის შემდეგ დაიწყო მუშაობა „სკოროხოდის" ფაბრიკაში. იგი უპარტიოა.

მოვიყვან რამდენიმე ცნობას ვიჩუგელი მქსოველი ქალების ე. და მ. ვინოგრადოვების ბიოგრაფიიდან.

ე. ვინოგრადოვა არის მუშის შვილი. იგი 21 წლისაა. 1931 წელს დაამთავრა საფაბრიკო - საქარხნო სკოლა. 1935 წელს „ფრიადზე" ჩააბარა ტექმინიმუმი. წარმოებაში მუშაობს 1931 წლიდან. არის კომკავშირის წევრი 1930 წლიდან.

მისი შემცვლელი —**მ. ვინოგრადოვა** აგრეთვე მუშის შვილია. იგი 25 წლისაა. 1925 წლიდან მუშაობს მქსოველად. 1935 წელს მან „ფრიადზე" ჩააბარა ტექმინიმუმი. იგი უპარტიოა.

ბოლოს, დონეცის რკინიგზის მემანქანე ამხ. **კრივონოსის** შესახებ. იგი 25 წლისაა. მუშის შვილი. 1926 წლიდან დაიწყო თავისი შრომის სტაჟი, როცა იგი მოწაფედ შევიდა საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1929 წელს. 1935 წელს მან „ფრიადზე" ჩააბარა ტექნიკური გამოცდა ორთქლმავლის მეორე კლასის მექანიკოსის წოდებაზე. კომუნისტია 1929 წლიდან, როგორც ვიცით, რკინიგზაზე სანიმუშო მუშაობისათვის ამხ. კრივონოსი უკვე დაჯილდოვებულია ლენინის ორდენით.

აი ბიოგრაფია ყველაზე გამოჩენილ სტახანოველთა, რომლებსაც ეკუთვნის ინიციატივა ამ მოძრაობაში. ჩვენს წინაშე არიან ჯერ კიდევ ახალგაზრდა ადამიანები, ყველა ისინი გამოსული არიან მუშათა ოჯახიდან, ან მშრომელ გლეხთა წრიდან, მათთვის, ისე როგორც სხვა სტახანოველებისათვის, დამახასიათებელია შეუპოვრობა სწავლაში. მხოლოდ რამდენიმე მათგანი გახდა კომუნისტი ან კომკავშირელი, უმრავლესობა კი მხოლოდ უკანასკნელ დროს შევიდა პარტიის თანამგრძნობთა რიგებში, ხოლო ზოგიერთი ახლაც უპარტიოა.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ეს ადამიანები გამოსულან თვით მუშათა სიღრმიდან, რომ ისინი არიან მუშათა მასის ხორცხორცთაგანი, რომ ეს ისინი არიან, რომლებიც მუშათა კლასის უმრავლესობას შეადგენენ, მაგრამ განსაკუთრებული თვისებების მქონე ადამიანები არიან. მათი მთავარი თვისება ისაა, რომ ესენი არიან ჩვენს შრომის ფრონტზე მაღალი შეგნებულობის მებრძოლები, რომ ესენი არიან შრომისმოყვარე, თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ერთგული ადამიანები, მუშათა კლასის ნამდვილი შვილები, იმ კლასის შვილები, რომელმაც ბურჟუაზია დაამხო. ეს ადამიანები, რომლებმაც გაბედულად დაამსხვრიეს თავიანთი მუშაობის რუტინული ნორმები და გამარჯვებულნი გამოვიდნენ შრომის ახალ უფრო მაღალ ორგანიზაციაში,—აღიზარდნენ ახალი ცხოვრებისათვის, აღიჭურვნენ კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლებული შრომის სრული გამარჯვებისათვის, ნამდვილ მებრძოლთა თვისებებით.

ის, რომ ისინი წარმოადგენენ სოციალიზმისათვის ნამდვილ მებრძოლთა რიგების ახალ შევსებას — ესაა მათი ძალა.

ის, რომ ისინი იძლევიან სოციალიზმისათვის ბრძოლის ნიმუშებს ესაა მათი მაგალითის მნიშვნელობა.

ამ საქმეში მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის როლის გაგების შემდეგ შეიძლება გაირკვეს, თუ როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო. მხოლოდ ბოლშევიკურ პროპაგანდას მუშათა მასებში და ბოლშევიკ ორგანიზატორთა აქტივობას მრეწველობაში და ტრანსპორტზე შეეძლო მოემზადებინა ნიადაგი სტახანოველთა, ბუსიგინელთა, სმეტანინელთა, ვინოგრადოველთა და კრივონოსელთა წარმოსაშობად, ბოლშევიკურმა იდეურმა აღზრდამ ამ წლების განმავლობაში წამოაყენა ისეთი კომუნისტები, რომლებიც სრული უფლებით შეიძლება ჩაითვალონ სტახანოვური მოძრაობის ორგანიზატორებად.

ერთერთ ასეთ მაღაროელ კომუნისტზე, უბნის პარტორგ ამხ. **დიუკანოვზე,** რომელიც მუშაობაში სტახანოვის უახლოესი ამხანაგია და რომელმაც სტახანოვის შემდეგ ერთ დღეს მოგვცა შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერება, ვიდრე თვით სტახანოვმა ქვანახშირის თავის პირველ სარეკორდო ამოღებაში, საჭიროა ცალკე ვილაპარაკოთ.

ამხ. დიუკანოვი 36 წლისაა. მისი მამა მაღაროელია, ხოლო თვითონ სოფელში იზრდებოდა. 12 წლის დიუკანოვი მოჯამაგირედ დადგა, 17 წლის იყო, როცა სოფლიდან წავიდა და რევოლუციამდე მოჯამაგირედ იყო კულაკებთან და ფერმებში შაქრის ქარხნის მეპატრონეებთან. იყო წითელ არმიაში, მონაწილეობას ღებულობდა თეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში, დიდი ტანჯვა და წამება გადაიტანა დენიკინელებთან ტყვეობის დროს; 1924 წელს მოვიდა მაღაროში და მალე გახდა მნგრეველი. 1935 წელს „ფრიადზე" ჩააბარა სახელმწიფო ტექნიკური გამოცდა. იგი კომუნისტია 1929 წლიდან. როგორც ხედავთ, ეს ბიოგრაფია არის კომუნისტის ღირსი ბიოგრაფია. აი ისეთი ადამიანები, როგორც კომუნისტი დიუკანოვია, წარმოადგენენ სტახანოვური მოძრაობის ნამდვილ ორგანიზატორებს. (ტაში).

ამხ. დიუკანოვმა „ირმინოს" შახტის პარტორგ ამხ. პეტროვთან ერთად დიდი საქმე გააკეთა პირველ სტახანოველთა ორგანიზაციის, დონბასში ახალი მოძრაობის ახალი ნიმუშების ორგანიზაციის საქმისთვის.

ეყრდნობა რა ასეთ ადამიანებს მუშათა მასაში და ზრდის რა მთელ მუშათა კლასს სოციალიზმისათვის თავდადებული ბრძოლის საფუძველზე, ჩვენი პარტია არის სტახანოვური მოძრაობის სულისჩამდგმელი, სტახანოველებს ზრდის, წინ მიუძღვის და სტახანოველებს რაზმავს ლენინ-სტალინის პარტია. (ტაში).

სტახანოველები — სტალინის მოწაფეები არიან.

ორჯონიკიძე. მართალია!

(მქუხარე ტაში. თათბირის მონაწილენი ოვაციას უმართავენ ამხ სტალინს. ყველა ფეხზე დგება, გაისმის „ვაშა". შეძახილები: „გაუმარჯოს ამხ. სტალინს. ვაშა"!. გაუმარჯოს ამხ. მოლოტოვს. ვაშა").

მოლოტოვი. სტახანოველთა ბიოგრაფიიდან თქვენ ხედავთ, რომ ესენი მეტწილად ჯერ კიდევ არ არიან კომუნისტები, მაგრამ აბა ერთი სცადეთ მოაცილოთ სტახანოველები, ბუსიგინელები, კრივონოსელები და სხვები ჩვენს პარტიას! შეუძლებელია მათი მოცილება ჩვენი პარტიისაგან იმიტომ, რომ ისინი წარმოშვა ოქტომბრის რევოლუციამ, ისინი წარმოშვა ლენინ-სტალინის პარტიამ, რომელმაც სტახანოველთა ინიციატივა სოციალიზმისათვის ბრძოლის ახალ გაძლიერებად გადააქცია. **(ტაში).**

ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს მხოლოდ სტახანოვური მოძრაობის პირველი წარმატებანი. ამ მოძრაობის ნამდვილი გაშლა ჯერ კიდევ წინ არის. ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავკმაყოფილდებით მიღწეული შედეგებით. თვითკმაყოფილება უცხოა ჩვენი პარტიისათვის. ბოლშევიკები ძლიერნი არიან თვითკრიტიკით. ჩვენზე, ორგანიზატორ კომუნისტებზე, ჩვენს უნარზე—მოვაწყოთ სტახანოვური მოძრაობა განსაკუთრებით ჩვენს მუშაობაში არსებულ დეფექტთა დასაძლევად და მისი ჩამორჩენილი ნაწილების წინ წასაწევად,—ამაზე იქნება დამოკიდებული სოციალიზმისათვის ბრძოლის ახალი გაძლიერება.

ავიღოთ თუნდაც დონბასი, სადაც სტახანოვური მოძრაობა ჩაისახა. ჩვენ აქ უკვე გვაქვს სანგრევ ურობზე მომუშავე მაღაროელთა შრომის მაღალი ნაყოფიერების წინათ გაუგონარი მრავალი მაგალითი. ეს დიდი მიღწევაა, რომელიც ყოველნაირად უნდა განვამტკიცოთ. მაგრამ დონბასში ქვანახშირის მთავარ მასას იძლევიან მნგრეველები, რომლებიც საყელავ მანქანებზე მუშაობენ.

ამავე დროს კი საყელავი მანქანების მუშაკთა სტახანოვური მოძრაობის წარმატებებზე რატომღაც არაფერი ისმის. ცხადია, დონბასშიც კი, სადაც სტახანოვური მოძრაობა დაიწყო, ისე ადვილი საქმე როდია სტახანოვური მოძრაობის **სათანადოდ მოწყობა.** აშკარაა, ორგანიზაციის საკითხები უნდა დავაყენოთ სტახანოვური მოძრაობის ხელმძღვანელობის ამოცანათა ცენტრში.

ჩვენ ჩამოვრჩით ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მხრივ, ჩვენ არ გვყოფნის ეს საქონელი, ხოლო, რაც მთავარია, ამ საქონლის ხარისხი მრავალ შემთხვევაში კვლავ არ არის დამაკმაყოფილებელი. ამავე დროს კი, აქ გამოსული სტახანოველები, ბუსიგინელები და სხვები სამართლიანად ხაზს უსვამენ, რომ მშრომელთა მოთხოვნილება გაიზარდა და რომ მათ შეექმნათ ახალი მოთხოვნილებანი კულტურის ყოველგვარ საგანზე, როგორიცაა პიანინო და სხვა სამუსიკო ინსტრუმენტები, რადიო, პატეფონი, კარგი ფეხსაცმელი, ლამაზი ტანისამოსი და სხვ.

გაგრძელება იხ. მე-2 გვ.

სტახანოვური მოძრაობის და მუშათა კლასის კულტურულობის შესახებ

ამხ. ვ. მოლოტოვის სიტყვის გაგრძელება

სტახანოვური მოძრაობა ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელ მრეწველობაში ძლიერდება და ეს დაგვეხმარება დიდი რეზერვები აღმოვაჩინოთ ამ საქმეში. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ფართო მოხმარების საქონელს მრავალი დიდი და პატარა საწარმო ამზადებს, რომ ეს საწარმოები მრავალი ორგანიზაციის ხელშია მოქცეული და რომ, ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გაშლის გზაზე ხშირად სხვადასხვა ბიუროკრატიული ზღუდე აღიმართება ხოლმე. არავითარი სტახანოვური თუ ვინოგრადოვული მოძრაობა ნამდვილად ვერ გაჩაღდება და ამ საქმეში დიდ როლს ვერ ითამაშებს, თუ ბიუროკრატიზმს ხელმძღვანელ ორგანოებში აქაც ჯეროვან წინააღმდეგობას არ გავუწევთ. სტახანოვურ - სმეტანინურ-ვინოგრადოვული მოძრაობა კიდევ უფრო აუცილებელს ხდის **ბიუროკრატიზმთან და ჩინოვნიკურ უძრაობასთან ბრძოლას ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციებში.**

აიღეთ რკინიგზის ტრანსპორტი, რომლის წარმატებებითაც ახლა ჩვენ სრული უფლებით ვამაყობთ, გადადგმულია ნამდვილად დიდი ნაბიჯი წინ და ტრანსპორტის სტახანოველთა კრივონოსული მოძრაობა ხელს უწყობს ამ წარმატებათა შემდგომ განვითარებას. რკინიგზის გადასვლა მტკიცე გრაფიკის მიხედვით მუშაობაზე, რომლისთვისაც ამჟამად ასეთი შესანიშნავი ბრძოლაა გაჩაღებული, ტრანსპორტს გადააქცევს სოციალიზმის მშენებლობის ნამდვილ წამყვან ძალად, მაგრამ არ შეიძლება ვილაპარაკოთ ამ წარმატებათა ნამდვილ განმტკიცებაზე, თუ არ მოვსპობთ მრავალ ავარიასა და მარცხს რკინიგზებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გავსწიოთ შემდგომი შეუპოვარი ბრძოლა დისციპლინის განმტკიცებისათვის ტრანსპორტზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლო უნდა მოვუღოთ ზოგიერთ შეუწყნარებელ ფაქტს, რომელსაც დღემდე გვატყობინებენ ადგილებიდან. სულ ამ ცოტა ხნის წინათ მივიღეთ ცნობა, თუ როგორ აღმოაჩინეს რკინიგზელთა ჯგუფში კულაკების ნაბოლარა — თეთრგვარდიელი, რომელიც ტრაბახობდა — შემიძლია მოვაწყო ყოველგვარი მარცხი, რანაირსაც კი მოვისურვებო. მაშასადამე, კლასობრივი მტერი სიცოცხლის დიდ უნარს იჩენს, ჯერ კიდევ არ არის ყველგან მხილებული, კიდევ შეუძლია ლახვარი ჩასცეს ჩვენს საქმეს თავისი ბოროტმოქმედებით. სიფხიზლე კლასობრივი მტრის მიმართ, ჩვენს საკუთარ რიგებში დისციპლინის განმტკიცებასთან ერთად,—უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ მოვსპოთ ავარიებისა და მარცხის მხრივ რკინიგზებზე ახლა არსებული მდგომარეობა. ყველაფერი ეს გვეუბნება, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება კლასობრივ მტერთან ბრძოლის შესუსტებაზე.

აი კიდევ სამშენებლო საქმის შესახებ. მშენებლობაზე, ყველა მის დარგზე, ჩვენში ყოველ წლობით მრავალი ათეული მილიარდი იხარჯება. ჩვენ ავაგეთ მრავალი ახალი ქარხანა და ფაბრიკა. ჩვენ უკანასკნელ წლებში შევქმენით მრეწველობის მთელი დარგები, რომლებიც წინათ არ გვქონია. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ძალიან ჩამორჩებით სამშენებლო საქმის ორგანიზაციისა და საშენი მასალის წარმოების ორგანიზაციის მხრივ, რომ, მიუხედავად მშენებლობის უზარმაზარი მასშტაბებისა, იგი მეტწილად ძველებურად სწარმოებს, მექანიზმებსა და მოწყობილობას უმსგავსოდ ეპყრობიან, სეზონურ შრომას ეყრდნობიან, მუდმივი კადრები არ ყავთ. მაგრამ მშენებლობის უმთავრეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს მრავალი ხელმძღვანელის შემარიგებლური დამოკიდებულება დაწესებული გეგმების შეუსრულებლობასთან და, განსაკუთრებით, მშენებლობის დაწესებული ღირებულების ჩაშლასთან. თუ ფაბრიკებსა და ქარხნებში საწარმოო გეგმებისა და დაწესებული ღირებულების შესრულება, შეიძლება ითქვას, მტკიცე კანონად გახდა, სამაგიეროდ მშენებლობაში ჩვენ ეს ჯერ კიდევ ვერ უზრუნველვყავით.

განა ყველაფერი ეს არ გვეუბნება, რომ სტახანოვურმა მოძრაობამ სწორედ სამშენებლო საქმეში უნდა ითამაშოს უდიდესი განმაახლებელი როლი, ეს კი აქ თითქმის არ სჩანს.

სტალინი. მართალია.

მოლოტოვი. არიან ცალკეული მუშები, ცალკეული ბრიგადები და ორგანიზატორები სტახანოვური მოძრაობასა და მშენებლობაში. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ უნდა ავღიაროთ, რომ შემარიგებლური დამოკიდებულება მშენებლობის გეგმათა ჩაშლასთან ოპორტუნიზმს უდრის და ჩვენ ასეთ ჩვეულებებს ბოლო უნდა მოვუღოთ.

სტალინი. მართალია.

მოლოტოვი. მე დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო, თქვენ ყველანი იტყვით, რომ ეს ნამდვილად მართალია.

სტალინი. მართალია. (ტაში).

მოლოტოვი. სტახანოვური მოძრაობა რომ სწორად წარვმართოთ, უშიშრად უნდა გავაკრიტიკოთ ჩვენი ნაკლოვანებანი და დავრაზმოთ ჩვენი მზარდი ძალები ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად.

მგონია, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ დონბასმა, რომელსაც ჩვენ უკანასკნელ წლებში მრავალჯერ ვაკრიტიკებდით, განსაკუთრებით ქვანახშირის მრეწველობის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის, რომელთა ლიკვიდაციასაც პარტია და პირადად სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, რომ სწორედ დონბასმა მოგვცა პირველი სტახანოველები, რომ სწორედ დონბასმა პირველმა წამოაყენა ახალი ძალები შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში. უკანასკნელ წლებში პარტიას არაერთხელ მიუმართავს დონბასის მუშებისათვის მოწოდებით — გამოეაშკარავებინათ ნაკლოვანებანი, გაეკრიტიკებინათ ჩამორჩენილი უბნები, გამოეძებნათ და გაბედულად წამოეყენებინათ მუშათა მასიდან ახალი შემოქმედებითი ძალები, საწარმოო ინიციატივით მდიდარი, მუშაობის ჩინოვნიკურ—ბიუროკრატიული მეთოდებისადმი მტრულად განწყობილი ძალები. ამით პარტიამ უკვე დიდ შედეგებს მიაღწია დონეცის ქვანახშირის მრეწველობის აღმავლობაში. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ სამრეწველო დონბასმა, რომელსაც ბოლშევიკები ასე ბევრს აკრიტიკებდნენ, ბოლო დროს მოგვცა სტახანოვური მუშაობის საუკეთესო ნიმუშები არა მარტო მრეწველობაში, არამედ ტრანსპორტზეც.

ასეთია ბოლშევიკური თვითკრიტიკის საუცხოო თვისებანი. მუშაობის ყველა დარგში ჩვენი ნაკლოვანებათა გაბედული კრიტიკა და ამავე დროს ყველა ძალის ორგანიზაცია ამ ნაკლოვანებებთან საბრძოლველად და მათი დასაძლევად უზრუნველჰყოფს ახალ და კიდევ უფრო დიდ წარმატებებს.

სტალინი. მართალია. (ტაში).

მოლოტოვი. რას გვიჩვენებს სტახანოველთა მუშაობის საუკეთესო ნიმუშები? რას გვეუბნება? ავიღოთ ცოცხალი ფაქტები!

დავიწყოთ ამხ. სტახანოვით, მისი წარმატებებით. ბოლო დრომდე დონბასის შახტებში მნგრეველის შრომის ნაყოფიერება ერთ სანგრევ უროზე საშუალოდ უდრიდა 6—7 ტონას. ამავე დროს გერმანიაში, რურის შახტებში, რომელთაც მთელი მსოფლიოს ქვანახშირის მრეწველობის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავთ, შრომის საშუალო ნაყოფიერება ერთ სანგრევ უროზე დაახლოვებით 10 ტონას, ხოლო საუკეთესო შახტებში 16—17 ტონას. ამა წლის 30 აგვისტოდან დაწყებული, სანგრევი ურო დონბასში უკვე სასწაულებს ახდენს. სტახანოვმა გარდაქმნა ბრიგადის მუშაობის ორგანიზაცია და ერთ სანგრევ უროზე მოგვცა 102 ტონა ცვლაში, ხოლო შემდეგ, როგორც თვითონ მან, ისე სხვა სტახანოველებმა ამ ნორმას ბევრად გადააჭარბეს. თუ ამის შემდეგ გამოვიანგარიშებთ შრომის ნაყოფიერებას მთელ ბრიგადაში, რომელიც მუშაობის სტახანოვურ მეთოდზე გადავიდა, მივიღებთ, რომ სტახანოველთა ბრიგადის თვითეული წევრის შრომის ნაყოფიერება ცვლაში იქნება 35 ტონა და მეტიც. დღევანდელს „პრავდაში“ გამოქვეყნებულია სტახანოვური შახტის — „ირმინოს“ მუშათა წერილი, რომელშიც მუშები სწერენ, რომ სტახანოველთა მუშაობა „იძლევა ერთისამად, ერთიოთხად, ერთიხუთად იმაზე მეტ საშუალო ნაყოფიერებას, ვიდრე იგივე ურო წინათ იძლეოდა“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სტახანოველებმა უკვე ერთიორად გადააჭარბეს ევროპის კაპიტალისტურ შახტებში მუშაობის ყველაზე მაღალ ნორმებს (ტაში).

შეხედეთ იმას, თუ რას მიაღწია მჭედელმა **ბუსიგინმა** გორკის ავტოქარხანაში. ავტომანქანებისათვის მუხლა ლილვების დამუშავების რთულ მუშაობაზე მან შრომის ნაყოფიერების დიდ ზრდას მიაღწია. ამერიკელთა სტანდარტული გამომუშავებაა 100 მუხლა ლილვი საათში. ბუსიგინმა და მისმა ბრიგადამ უკვე მოგვცეს 127 ლილვი საათში. ერთ მუხლა ლილვზე შრომის ხარჯვა ბუსიგინმა დაიყვანა 27 წუთამდე, მაშინ, როცა ამერიკაში იგი უდრის 36 წუთს. ამხ. ბუსიგინის მუშაობის მაგალითებში ჩვენ ვხედავთ ნიმუშებს, რომლებიც აღემატებიან მუშაობის საუკეთესო ამერიკულ ნორმებს (ტაში).

აიღეთ ცოცხალი ფაქტები ამხ. **სმეტანინის** მუშაობაზე „სკოროხოდში“, ფეხსაცმლის წარმოების ორგანიზაციის მხრივ საუკეთესო ფაბრიკათა რიცხვს არა მარტო ევროპაში, არამედ მთელს მსოფლიოშიც, ეკუთვნის მეფაბრიკე ტომას ბატიას საწარმო ჩეხოსლოვაკიაში. იქ საჭიმ მანქანაზე გამომუშავების ყველაზე დიდი ნორმაა 1.125 წყვილი ფეხსაცმელი ცვლაში. ჯერ ამ ცოტა ხნის წინათ ფაბრიკა „სკოროხოდში“ ჩვენი ფეხსაცმლის წარმოების მუშები საჭიმ მანქანაზე იძლეოდნენ ბატიას ფაბრიკის ნორმათა ნახევარზე ცოტა მეტს. „სკოროხოდის“ მუშამ სმეტანინმა სექტემბერს ახლებურად გარდაქმნა თავისი მუშაობა და ოქტომბერს უკვე მოგვცა 1.860 წყვილი ფეხსაცმელი ცვლაში. (ტაში).

ამგვარად, სმეტანინმა და მისმა მიმდევრებმა მუშაობის ახალი მეთოდით ბევრად გადააჭარბეს უცხოეთის ფეხსაცმლის ფაბრიკათა საუკეთესო ნორმებს.

ორჯონიკიძე. მართალია.

მოლოტოვი. რამდენადაც ამერიკული ნორმები ფეხსაცმლის ფაბრიკებში ჩეხოსლოვაკიის ნორმებზე ნაკლებია, სმეტანინმა და სმეტანინელებმა გადააჭარბეს ევროპელებსაც და ამერიკელებსაც (ტაში).

რას მიაღწიეს ჩვენმა ვინოგრადოვებმა, დუსიამ და მარუსიამ? (ტაში).

ბამბეული ქსოვილის წარმოებამ ყველაზე მაღალ დონეს ამერიკაში მიაღწია. იქ ერთი ფეიქარი მომსახურებას უწევს 50-დან 80-მდე ავტომატურ დაზგას. არის მხოლოდ ცალკეული გამონაკლისები, როცა მომსახურებას უწევენ 90—100 ავტომატს. ჩვენი ვინოგრადოვები წარმატებით მუშაობენ 144 დაზგაზე (ტაში). მაშასადამე, მქსოველმა ქალებმა ვინოგრადოვებმა ერთ-ნახევარჯერ გადაამეტეს ამერიკული საქსოვი ტექნიკის ნორმებს.

მუშათა კლასში ამჟამად ყველაზე ცნობილი და ყველაზე პოპულარულია სტახანოვის, ბუსიგინის, სმეტანინის, დ. ვინოგრადოვას და მ. ვინოგრადოვას სახელები. ყველა იმათ თავი ისახელეს იმით, რომ თავისი შესანიშნავი მუშაობით გადაამეტეს შრომის ევროპულსა და ამერიკულ საუკეთესო ნორმებს. საბჭოების ქვეყნის მუშათა კლასმა მაღლა აღმართა თავის დროშაზე ეს სახელები და მთელი სიგრძე-სიგანით აჩაღებს ბრძოლას იმისათვის, რომ განხორციელდეს ბოლშევიკური ლოზუნგი: „დავეწიოთ და გავუსწროთ ტექნიკურად მოწინავე ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებს“. (ტაში).

სტახანოვ-ბუსიგინურმა მოძრაობამ, თავისი შრომის ნაყოფიერების მაღალი ნორმებით, ახლებურად დააყენა საწარმოო გეგმათა შესრულების საკითხი მრავალ საწარმოში. ახლა უკვე საიშვიათო არაა, რომ ესა თუ ის ფაბრიკა და ქარხანა ისახავს ამოცანას: **შეასრულოს მეორე ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელში (ტაში).**

ამავე ამოცანას აყენებენ მრეწველობის მთელი რიგი დარგები და უდიდესი სამრეწველო რაიონები. დონბასში უკვე გაჩაღდა ბრძოლა ქვანახშირის მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ოთხ წელში მის შესრულებისათვის ოთხ წელში. პირველ ხუთწლედში ჩამორჩენილი ამხანაგი მეტალურგები ახლა თავის წინაშე იმავე საკითხს აყენებენ.

იზრდება ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის ფრონტები—ამაში სტახანოვური მოძრაობის წარმატებათა მნიშვნელობა.

II

სტახანოველები ახალი წყობილების ადამიანები არიან

ჩვენში ხდება ის, რაც შეუძლებელია კაპიტალიზმის დროს. ჩვენთან, მუშათა მასებში, გაიშალა მოძრაობა ტექნიკის ბოლომდე გამოყენებისათვის. ასეთი მაგალითები არცერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არა აქვს.

იქ მუშათა კლასი ჩაყენებულია დაქირავებული მონის პირობებში, რომელიც იძულებულია თავისი შრომის ნაყოფი პატრონს, კაპიტალისტს მისცეს. იქ ცალკეულ მუშათა შრომის მაღალი ნაყოფიერება იწვევს უმუშევართა არმიის ზრდას, დამშეულთა მილიონების გადიდებას. იქ კაპიტალისტები ცალკეული მუშების მოსყიდვით და მათრახით მაღლა სწევენ შრომის ნაყოფიერების ნორმებს ფაბრიკებსა და ქარხნებში. მაგრამ მუშებს აზრადაც კი არ მოუვათ თვითონ მოაწყონ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების მაღალი ნორმებისათვის. კაპიტალისტური მონობის სამყაროში პროლეტარიატი თუ იგი ნაყოფიერების მაღალ ნორმებს გამოეკიდებოდა, უფრო მაგრად მოუჭერდა უმუშევრობისა და შიმშილის მარყუჟს თავისი მამების, ძმებისა და დების კისერზე,—სწორედ ამიტომ კაპიტალიზმმა თავისი დრო მოსჭამა. კაპიტალისტებს ოცნებობაც კი არ შეუძლიათ იმაზე, რომ მუშებმა ხელი მოჰკიდონ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, როგორც ეს ჩვენში არის.

მაგრამ ჩვენში ხდება ის, რაც წარმოუდგენელია კაპიტალიზმის დროს.

საბჭოთა მრეწველობის მუშათა ჯგუფთან ამასწინათ ჩემ მიერ გამართულ საუბრიდან განსაკუთრებით დამახსოვრდა ამხ. მუსინსკის ნაამბობი. იგი მეხერხედ მუშაობს არხანგელსკის უდიდეს ხის სახერხ ქარხანაში. მუსინსკი მუშაობს შვედური ფირმის „ბოლინდერის“ ჩარჩოზე. ალბათ, იმისათვის, რომ უფრო [illegible] ეცხოვრათ, ქარხნის პროექტის მიხედვით დამტკიცებული იყო 96 კუბ. მეტრი ტექნიკური ნორმები, ხოლო ამა წლის გეგმის თანახმად ჩარჩო ცვლაში არსებობდა მხოლოდ 95 კუბ. მეტრი ნორმები.

სტახანოვურმა მოძრაობამ თავისი გამოხმაურება ჰპოვა შორეულ არხანგელსკშიც და პირდაპირ ფეხზე დააყენა ისეთი ადამიანები, როგორიც მუსინსკი და მისი ამხანაგები არიან. რამდენადაც ადმინისტრაციასა და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალს წინათ სწამდათ თავისი „მყარი“ ნორმები და რამდენადაც მათ ჰყავდათ მანქანათა სპეციალური კონტროლიორები, ამ ნორმების დასაცავად,—ამხ. მუსინსკიმ თავდაპირველად თავისი უფროსებისაგან ფარულად იწყო მოქმედება, მაგრამ ისე, რომ იგი სიფრთხილით უფიქრდებოდა თვითეულ თავის ნაბიჯს თავის ბრიგადასთან ერთად. ამგვარად, მან გაადიდა მორების გადაწევის სიჩქარე დახერხვის დროს,— ჩარჩოს ერთ ბრუნვაზე წინათ არსებულ 12—13 მილიმეტრიდან 19-მილიმეტრამდე, ადმინისტრაციის შეუმჩნევლად გადაამეტა გეგმით დაწესებულ ნორმას—95 კუბ. მეტრს ჩარჩო—ცვლაზე და მიაღწია 130 კუბ. მეტრს. ამის შემდეგ ადმინისტრაციას შეატყობინა თავისი მიღწევა და მისი თხოვნით დაინიშნა ტექნიკური მეთვალყურეობა მისი მოწყობილობის მუშაობაზე და გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე. შედეგები ორივე მხრივ კარგი აღმოჩნდა. მაშინ მუსინსკიმ თავისი ბრიგადასთან ერთად, რომელსაც უკვე მხარს უჭერდნენ ადმინისტრაცია და ინჟინერები, დაიწყო მანქანის ნაყოფიერების უფრო მეტად გადიდება და, საქმის კარგი ორგანიზაციით, გეგმის თანახმად დაწესებული 95 კუბ. მეტრის მაგივრად მიაღწია 221 კუბ. მეტრ ნაყოფიერებას ჩარჩო-ცვლაზე და საგრძნობლად გააჭარბა შვეციის ხე-ტყის სახერხი ქარხნების გამომუშავებას (ტაში).

მუსინსკი მხოლოდ ერთ-ერთია ნიჭიერ სტახანოველთა შორის, რომლებიც ჩვენში ახლა ცოტანი არ არიან. მისი მაგალითის მნიშვნელობა მდგომარეობს თავისი შრომის მაღალ გაზრდაში და ჩვენი მშენებლობის ფრონტზე მებრძოლის გაბედულ ინიციატივაში. მუსინსკი არ შეუშინდა, რომ შეემოწმებინა ზოგიერთი ტექნიკური კანონი. თავისი ღრმა მომზადების მეოხებით იგი გამარჯვებული გამოვიდა ტექნიკურ დახავსებულობასთან ბრძოლაში და თავისი მუშაობის წარმატებებით მან გზადაგზა გააცამტვერა ზოგიერთი „მეცნიერული“ მსჯელობა, რომლებსაც ხე-ტყის ხერხვის სახელმძღვანელოებში ვხვდებით, თავისი მუშაობაში მან, უწინარეს ყოვლისა, შესწორებები შეიტანა „ხის მექანიკური დამუშავების ცნობარში“, რომელიც გამოცემულია 1931 წელს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს „სოიუზლესპრომის“ მიერ; ინჟინერ ს. გრუზის წიგნაკში—„სახერხი საქმის პრაქტიკა“ (გამოცემულია 1933 წელს), ინჟინერ ზ. კროლის წიგნაკში—„ხე-ტყის ხერხვის წარმოება“ (გამოცემულია 1933 წ.) და ა. მილკევიჩის „ხე-ტყის ხერხვის ამოცანათა კრებულში“ (გამოცემულია 1935 წელს). ამით მან შეიტანა შესწორებები ჩვენი საქმის უკეთესობის მხრივ, და ახლა არხანგელსკის იმ ხე-ტყის სახერხ ქარხანაში, სადაც ა. წ. გეგმით დაწესებულია 95 კუბ. მეტრი ჩარჩო—ცვლაზე, არიან ამხანაგები, რომლებიც იძლევიან 293 კუბ. მეტრს ჩარჩო—ცვლაზე (ტაში).

მუსინსკის მაგალითი, ისე როგორც ყოველი ნამდვილი სტახანოველის მაგალითი, ბევრი მხრივ არის საგულისხმო. ეს არის ყოველმხრივ შეგნებული, ჭეშმარიტად გააზრებული მუშაობის მაგალითი. ამხ. მუსინსკი პრაქტიკულად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ძველი ტექნიკური ნორმების ჩამორჩენილობისა და დახავსებულობის მიჩვენებულია. მან ჰპოვა გამბედაობა შეემოწმებინა როგორც ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების საგეგმო ნორმები, ისე უცხოური ფირმის სარეკლამო ნორმები. ეს მან მოიმოქმედა გონივრულად, საქმის ცოდნით და აქ ოდნავადაც არ იყო უბრალო რისკის სიყვარული. მას კარგად ახსოვდა ბოლშევიკური პარტიის მოწოდებანი, რომ ჩავწვდეთ მუშაობის რაობას, ტექნიკას არ ვცვლით დაწესებულ ნორმებს. ვეძიოთ საიმედო გზები შრომის მაღალი ნაყოფიერების მისაღწევად. მუსინსკში, ისე როგორც ყოველ ნამდვილ სტახანოველში, ბუსიგინელში, სმეტანინელში, ვინოგრადოველსა და კრივონოსელში, ვხედავთ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის საზოგადოებრივი შეგნებისა და ტექნიკური მცოდნეობის ზრდის ერთ-ერთ მაგალითს და არაფერი ცუდი არ არის იმაში, რომ ჩვენი სტახანოველები საქმით ამტკიცებენ, რომ ბევრი ეგრეთწოდებული „ტექნიკურად დასაბუთებული ნორმა“ ნამდვილად სრულიადაც არ არის ტექნიკურად დასაბუთებული (ტაში).

არა მარტო მუშებმა, არამედ გლეხობამაც ჰპოვეს ახლა უტყუარი გზა შეძლებული ცხოვრებისაკენ. თუ მუშები იბრძვიან შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა ახლა ხელი მოჰკიდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების უხვი მოსავლიანობის უზრუნველყოფას. სოფლისა და ქალაქის ძველი დაპირდაპირება თანდათან ქრება და ის გზები, რომლებითაც კოლმეურნეები მოსავლიანობის ზრდისათვის ბრძოლაში წინ მიდიან,—ეს, ბოლოსდაბოლოს, არის იგივე გზები შეუპოვარი, ორგანიზებული და გააზრებული მუშაობისა მინდვრად, რასაც უზრუნველჰყოფს ძალთა კარგი განლაგება და მანქანების სწორი გამოყენება.

მხოლოდ ამის მეოხებით გვაქვს ისეთი წარმატებები, როგორიცაა კოლმეურნე ქალის მ. დემჩენკოს და ჭარხლის მინდვრების სხვა ხუთასოსანთა წარმატებანი. ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩებით კაპიტალისტურ ქვეყნებს ჭარხლის მოსავლიანობის დონის მხრივ. ეს თუნდაც უბრალო შედარებიდანაც სჩანს.

შარშან ჭარხლის მოსავლიანობა ჩვენს ქვეყანაში ძალიან დაბალ დონეზე იყო და ჰექტარზე სულ 82 ცენტნერს შეადგენდა, მაშინ როცა საფრანგეთში ის უდრიდა 304, გერმანიაში—245, ჩეხოსლოვაკიაში — 243 ცენტნერს ჰექტარზე. წელს თვალსაჩინო წარმატება გვაქვს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის მხრივ, მაგრამ უკრაინაში მაინც მივიღებთ არა უმეტეს 131 ცენტნერისა ჰექტარზე. ამავე დროს ჩვენ გვაქვს ისეთი შესანიშნავი მაგალითი, როცა ამხ. დემჩენკომ დაისახა რა ამოცანად უზრუნველეყო სულ მცირე 500 ცენტნერი ჭარხლის მოსავალი ჰექტარზე, თავის კოლმეურნეთა რგოლთან არა ხელსაყრელ გარემო პირობებში მიაღწია 524 ცენტნერს ჰექტარზე და ჩვენ უკვე ცოტა როდი გვაქვს იმის მაგალითი, რომ წარმატებით იბრძვიან ჰექტარზე 500 ცენტნერი და უფრო მეტი ჭარხლის მისაღებად. მარიამ დემჩენკო შესანიშნავია თავისი ბოლშევიკური ინიციატივით, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცნობთ კოლმეურნე ქალს კოშევაიას, რომელმაც თავის რგოლში მიაღწია 631 ცენტნერ მოსავალს ჰექტარზე (ტაში).

ყველაზე მნიშვნელოვანია ხუთასოსან კოლმეურნე ქალთა სულისკვეთება, რომელსაც ვხვდებით კრემლში მათი მიღების დროს. როცა ეს მოწინავენი თავის მუშაობას მოგვითხრობდნენ, ისინი სიტყვას აძლევდნენ ამხანაგ სტალინს, რომ გააჩაღებდნენ ბრძოლას ჭარხლის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის და მომავალ წელს მოსკოვში ჩამოვიდოდნენ არა მარტო როგორც ხუთასოსანები, არამედ ექვსასოსანებიც, ხოლო ზოგიერთი როგორც შვიდასოსანიც (ტაში).

კიდევ ერთი მაგალითი სოფლის მეურნეობის დარგიდან. საბჭოთა ხელისუფლება საკოლმეურნეო სოფელს მრავალ მანქანას აძლევს. ახლა მთავარია ამ მანქანების ნამდვილი დაუფლება. კოლმეურნეთა შრომის ჯეროვანი მოგვარების დროს ყველაფერი დამოკიდებულია მხოლოდ ამ ტექნიკის ნამდვილ დაუფლებაზე. ამიტომ არ შეიძლება არ შევეხოთ მტს-ის კომბაინერთა მუშაობის წარმატებებს მიმდინარე წელს, ვინაიდან განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს, რომ პურის კომბაინებით აღება მილიონი ტონობით ამცირებს დანაკარგს. მაშინ როცა ერთი კომბაინის ფაქტიური გამომუშავება შარშან უდრიდა 125 ჰექტარს და 1935 წლისათვის კომბაინის გამომუშავების ნორმად დაწესებული იყო 160-180 ჰექტარი, წელს ჩვენ მივაღწიეთ 256 ჰექტარის ფაქტიურ გამომუშავებას ერთ კომბაინზე, ე. ი. შარშანდელთან შედარებით კომბაინერის მუშაობა ერთიორად გავაუმჯობესეთ. წელს უკვე, არა სრული ცნობების მიხედვით, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში 500 ჰა მეტი ჰექტარი დაამუშავა 61 კომბაინერმა და მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში—7 კომბაინერმა. 400-დან 500 ჰექტარამდე დაამუშავა 70 კომბაინერმა მტს-ებში და 158 კომბაინერმა მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში.

სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობა მრეწველობაში და ტრანსპორტზე ახალ სტიმულს მისცემს [illegible] მოსავლიანობისათვის ბრძოლის გაძლიერებას სოციალისტური მიწათმოქმედების ყველა დარგში და ყველა რაიონში.

საზოგადოებრივი შრომის წარმატებანი სწრაფად იზრდებიან და წარმოადგენენ მუშათა და კოლმეურნეთა მასების სოციალისტური ზრდის საუკეთესო გამოხატულებას.

მაგრამ მტკიცეა კაპიტალიზმის მიერ აღზრდილი და კერძო საკუთრებით დანერგილი ცრურწმენანი. ამა წლის ზაფხულს შემხვდა საუბარი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ფრიად გამოჩენილ მეცნიერთან, რომელსაც ბუნების-მეტყველების დარგში უდავოდ მსოფლიო სახელი აქვს. ეს მეცნიერი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას ბოლო დრომდე უარყოფითად ეკიდებოდა, უკვე იძულებულია ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, „დიად ცდად“ აღიაროს. მაგრამ მას კიდევ არ გაჰფანტვია ეჭვი ჩვენი დიადი საქმის გამარჯვების შესაძლებლობაში. იგი ისევ გვეკითხება: ბოლომდე ეყოფათ თუ არა ჩვენს მუშებსა და კოლმეურნეებს ერთგულება სოციალისტური წყობილებისადმი, ეყოფათ, თუ არა მათ ერთგულება საზოგადოებრივი საკუთრებისადმი. იქნებ რამდენიმე ხნის შემდეგ თავი იჩინოს ლტოლვამ უკან, კერძო მეურნეობისაკენ, კერძო საკუთრებისაკენ? ამ კაცისათვის, რომელიც თავისი მრავალი წლის განმავლობაში გარდასულ სამყაროს შეესისხლხორცა, ბოლო დრომდე გაუგებარი იყო მუშათა და კოლმეურნეთა მასების ნამდვილი სულისკვეთება, რომლებსაც პირველად დააღწიეს თავი დუხჭირ არსებობას და ბედნიერი ცხოვრების გზას დაადგნენ, რომელთაც ამიტომ უფრო-და-უფრო გაიღეს ახალი წყობილებისა და მისი საზოგადოებრივი საკუთრების გემო.

რატომ არ უნდა გავიხსენოთ ეს სულისკვეთება და რატომ არ უნდა დაუპირისპიროთ იგი ჩვენი ცხოვრების უბრალო ფაქტებს? თავისთავად მეტყველებს სტახანოვური მოძრაობა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის და მაღალი მოსავლიანობის მისაღწევად მებრძოლთა არმიის ზრდა. საბჭოთა კავშირის მშრომელებს არა სურთ კვლავ იდგნენ ჩამორჩენილ ადამიანთა რიგებში. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, ალბათ, ისინი დაეხმარებიან ზოგიერთ ინტელიგენტს საბოლოოდ დააღწიონ თავი დრომოჭმულ ცრურწმენებს, გარდასული სამყაროს ნაშთებს.

მარქსიზმი გვასწავლის იმას, რომ პრაქტიკა წარმოადგენს თეორიის საუკეთესო შემოწმებას, რომ პრაქტიკა ამდიდრებს მეცნიერებას. მართლაც, თუ მეცნიერნი ეხმარებიან მუშა ადამიანებს და თავისი ცოდნის გაზიარებით ბევრ რამეში აფართოვებენ მშრომელთა ჰორიზონტს, რატომ არ შეუძლიათ მუშებს, რომელთა რიცხვი ბევრია და რომელთა ცხოვრების გამოცდილებაც უდიდესია,—დაეხმარონ მეცნიერთ, თუ განსაკუთრებით საქმე ვიწრო სპეციალურ საკითხებს არ ეხება? გასაგებია, რომ ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება საზოგადოების ორგანიზაციის საკითხებს, რამდენადაც ძველი წყობილება სრულიადაც არ ზრუნავდა მუშების კეთილდღეობაზე და იძულებულს ხდიდა მუშებს, რომ ამაზე თითონ ეზრუნათ. ამაში მდგომარეობს, სხვათა შორის, იმ საკითხის დედააზრი, თუ რატომ იზრდება და ფართოვდება სტახანოვური მოძრაობა და თავისი გამარჯვებებით აღაფრთოვანებს მშრომელთა უფრო-და-უფრო ფართო მასას. მუშათა კლასმა ცოტა როდი გააკეთა და კიდევ გააკეთებს იმისათვის, რომ საბოლოოდ ამოიღოს და სახელი გაუტეხოს ძველი ტიპის ინტელიგენტების ბურჟუაზიულ ცრურწმენებს. ამასთან ერთად, გამარჯვებული მუშათა კლასი სჩადის ყველაფერს, რომ უზრუნველჰყოს ახალი, ინტელიგენტების, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობისაგან გამოსული ინტელიგენტების ძალთა კულტურული ზრდა და სრული აყვავება. (ტაში).

III

რა არის სტახანოვური მოძრაობა?

რა არის სტახანოვური მოძრაობა?

ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნული იყო, რომ არის ცდები—სტახანოველთა შრომის მაღალი ნაყოფიერება დასახონ როგორც ძალღონის გადამეტებული დაძაბვა მუშაობაში. ალბათ, აღმოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც ამის დამადასტურებელ საბუთს იპოვიან თუნდაც შემდეგში: სტახანოველები ხომ წუთებსა და წამებს ითვლიან! და უნდა აღვიაროთ: სტახანოვური მოძრაობის ძალღონის ზედმეტ დაძაბვამდე დაყვანის ცდები რომ ფუჭი ლაყბობა არ იყოს, მაშინ მთელი ეს მოძრაობა არ იქნებოდა მკვიდრი და ხანგრძლივი. მაგრამ სტახანოვურ მოძრაობაზე ამის თქმა ყოვლად შეუძლებელია. პირიქით, იგი იზრდება, ფართოვდება და მტკიცდება. პირველი წარმატებებიდან იგი გადადის სულ ახალ-ახალ წარმატებებზე. უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ სტახანოვის, ბუსიგინის და სხვების პირველი გამარჯვებანი, რომლებმაც გრგვინვასავით გადაიარეს, მალე გადაჭარბებულ იქნა როგორც თვით მათ მიერ, ისე მათი ამხანაგების მიერაც.

მარტო ეს მოწმობს იმას, რომ აქ საქმე ფაცაფუცსა, აჩქარებასა და ძალღონის გადამეტებულ დაძაბვაში კი არ არის, არამედ რაღაც სხვაში. თავისი მუშაობის წუთებისა და წამების დათვლა, რიტმის შეტანა, მარშრუტის დაცვა, წესრიგის დამყარება შრომის ყველა პროცესში—ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლო მოეღო უდარდელ დამოკიდებულებას სამარცხვინო გაცდენებისა და დროის ფლანგვისადმი, ეს იმას ნიშნავს, რომ შეიტანო კულტურულობა შენს მუშაობაში. მაშასადამე, სა- [illegible]

ადგენენ. მაგრამ სტახანოველთა ცოცხალი რიგები წარმოადგენენ ასეთი ზღაპრების საუკეთესო გაბათილებას. სტახანოველები დაწინაურდნენ პირველ ადგილზე არა იმიტომ, რომ ისინი არიან ადამიანები, ვთქვათ, განსაკუთრებული ფიზიკური ძალისა ან სხვა რაიმე განსაკუთრებული თვისებებისა, რომლებიც არ შეიძლება ჰქონდეთ სხვა მუშებს, თუმცა სტახანოველთა რიგებში უკვე ბრწყინავენ ტალანტები, ბუნებით დაჯილდოვებულნი. სტახანოველები ნამდვილ ერთგულებას იჩენენ თავისი სოციალისტური სამშობლოს მიმართ და იძლევიან შრომაში გმირობის შესანიშნავ ნიმუშებს. მაგრამ განა ეს თვისებანი ახლა იშვიათი გამონაკლისია მუშათა კლასში, მშრომელთა წრეში? სტახანოველები ნამდვილი მებრძოლები არიან შრომის ფრონტზე, მაგრამ განა სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა უკვე არ მოედო ჩვენი ქვეყნის მუშათა მილიონებს?

სტახანოველები გამოდიან გუშინდელი რიგითი დამკვრელებისაგან, რომელთაც დღეს ნამდვილად გაიაზრეს თავიანთი გამოცდილება წარმოებაში. საკმარისია ითქვას, რომ ბევრ შემთხვევაში სტახანოველთა უშუალო ბიძგს შრომის მაღალი ნაყოფიერებისაკენ წარმოადგენს უბრალო ინტერესი თავისი ხელფასის გადიდებისაკენ, რათა აღვიაროთ, რომ სტახანოვურ-ბუსიგინურ - ვინოგრადოვული მოძრაობა გასაგებია უბრალო მუშისათვის, გასაგებია ყველა მუშა-ქალისათვის. თავისთავად ცხადია, მოწინავეობის სურვილი ერთგვარ როლს თამაშობს და ამ სტიმულის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო [illegible]

რმატებით ვზრდით. სტახანოველები—გამონაკლისი როდი არიან, ყოველ მუშას შეუძლია გახდეს სტახანოველი, ამის შესახებ აქ სწორად ილაპარაკა ამხ. სმეტანინმა.

რითი მიაღწიეს თავიანთ წარმატებებს სტახანოვებმა და ბუსიგინებმა, ვინოგრადოვებმა და სმეტანინებმა? ამას მათ მიაღწიეს შრომის სწორი განაწილებით, მუშაობაში სპეციალიზაციით, იმით, რომ აღმოფხვრეს მანქანების თვით მცირეოდენი გაცდენაც კი და მთელი სამუშაო დღის მთლიანად გამოყენებით, რთულ მოწყობილობაზე მუშაობაში სწორი მარშრუტით და ორგანიზებულობით, ყოველ ოპერაციაზე ძალთა ხარჯვის გაანგარიშებით და რიტმით მუშაობაში. ამის შესახებ აქ ყველაზე უკეთ ლაპარაკობდნენ თვით სტახანოველები. მაგრამ ისინი როდი ამტკიცებდნენ, რომ მათ მუშაობაში მიაღწიეს რაღაც საზღვრებს, რომლის იქით წასვლა აღარ შეიძლებოდეს. პირიქით, ისინი აღსავსენი არიან რწმენით, რომ თავიანთ მუშაობაში შემდგომ წარმატებებს მიაღწევენ.

თუ გამოვყოფთ მთავარს იქიდან, რასაც ისინი ლაპარაკობდნენ, მაშინ უფრო ნათელი გახდება სტახანოვურ-ბუსიგინურ - ვინოგრადოვული მოძრაობის შემდგომი ამოცანები. ეს მთავარი მდგომარეობს მუშაობის ორგანიზაციაში ყოველი წუთის და წამის გამოყენებით და, უწინარეს ყოვლისა, მანქანის ნამდვილ ცოდნაში და მის ტექნიკურ შესაძლებლობათა გამოყენების უნარში. აქედან ძნელი არ არის იმის დანახვა, თუ რაში მდგომარეობს სტახანოვურ-ბუსიგინურ - ვინოგრადოვული მოძრაობის რაობა. საქმის დედააზრი [illegible]

გაგრძელება IV-ე გვ.

ფოტო ბუღაძისა.

ტფილისის ტრამვაის სტახანოველები

სურათზე: ამხ. მიცკევიჩი, სეფერთელაძე და თევდორაშვილი.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვის დასასრული

მთავარსამმართველოს მთავარ ინჟინერის ამხ. ტოჩინსკის. როცა თქვენ, ამხ. ტოჩინსკივ, კითხვა დაგისვეს— შეუძლია თუ არა შავ მეტალურგიას ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულოს, პასუხი არ მოგიციათ. თქვენ დიპლომატიურად თავი დააძვრინეთ ამ პასუხს და აღნიშნეთ, ურალში ძველი გაზიგენერატორებიანი ძველი მარტენის ღუმელები გვაქვს და ამ ღუმელებით კვადრატული მეტრი ქვედისგან ხუთი ტონის მიღება არ შეიძლებაო.

უწინარეს ყოვლისა, ამხ. ტოჩინსკი, მთელმა ძველმა ურალმა წელს უნდა მოგვცეს სულ 759 ათასი ტონა ფოლადი. თქვენ, რა თქმა უნდა, არ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ყველა ძველური მარტენის ღუმელი ძველია, წარღვნის დროინდელია: მაგრამ ჩვენი ანგარიშიდან მთელი ეს 759 ათასი ტონა სავსებით რომ გამოვრიცხოთ, თუ დარჩენილი ღუმელების კვადრატული მეტრიდან საშუალოდ 5 ტონას მივიღებთ, მაშინ ფოლადის ხუთწლედი ოთხ წელიწადში იქნება შესრულებული.

ამ თათბირზე ვერ მოგცემთ სიტყვას, რომ ფოლადისა და ტკეცილის ხუთწლიან გეგმას აუცილებლად ოთხ წელს შევასრულებთ, მაგრამ არავითარი ეჭვი არ მეპარება, რომ არსებული ღუმელებითა და დაზგებით სავსებით შესაძლებელია ხუთწლიანი გეგმის არათუ მთლიანად, არამედ საგრძნობი გადაჭარბებითაც შესრულება ოთხი წლის განმავლობაში.

ტექნიკურად ეს აბსოლუტურად შესაძლებელია, და ეს თქვენ, როგორც ინჟინერს, პირდაპირ უნდა განგვეცხადებინათ. ხოლო იმაში, თუ როგორ მოეწყოს ეს საქმე, როგორ მოხდეს მუშების მობილიზაცია, — ამაში პარტია ენერგიულად დაგვეხმარება (ტაში).

ასეთივე მდგომარეობაა ტკეცილის მხრივაც.

ამგვარად, ფოლადისა და ტკეცილის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელს შესრულება — ეს დღეს არის არა ტექნიკურ სიმძლავრეთა და „საზღვრითობის" საკითხი, არამედ წარმოების სწორი ორგანიზაციისა და ამ სიმძლავრეთა უნარიანად გამოყენების საკითხი.

მთელმა რიგმა ქარხნებმა, როგორც, მაგალითად, მაკეევსკის, კიროვის სახელობის, ძერჟინსკის სახელობის და ენაკიევკის ქარხნებმა, უკვე იკისრეს ვალდებულება, რომ ხუთწლიან გეგმას ოთხ წელს შეასრულებენ.

ყოველ შემთხვევაში, არავითარი ეჭვი არ არის, რომ შავი მეტალურგიის ხუთწლიანი გეგმა 1937 წლის დადგომამდე საგრძნობლად ადრე იქნება შესრულებული.

ჩვენ თქვენთან ერთად, ამხ. ტოჩინსკი, უნდა შევისწავლოთ საუკეთესო მეფოლადეების, მგლინავების, მჭედლების მუშაობა, პოპულარიზაცია ვუყოთ მათ და დავნერგოთ იგი ყველა ქარხანაში; ამასთან სრულიადაც არ უნდა შეგვაკრთოს იმან, რომ ეს რამდენადმე განსხვავდება იმ ნორმებისაგან, რომლებიც დღემდე თეორიის დაუდასტურებია. (ტაში).

ამხანაგებო, სტახანოვური მოძრაობა სპეციფიკურად საბჭოთა, სოციალისტური მოვლენაა.

კაპიტალისტურ მსოფლიოში მუშა არასოდეს არ იმუშავებს ისე, როგორც იგი მუშაობს აქ, ჩვენში. კაპიტალისტური მსოფლიო მუშა-სტახანოველს ვერ წარმოშობს.

და იქ რომ სტახანოველი აღმოჩნდეს, იგი ყველაზე არაპოპულარული კაცი იქნება მუშების მთელს მასაში, ვინაიდან შრომის ნაყოფიერების ასეთ გაძლიერებულ ზრდას მოსდევს ის, რომ, ყოველ შემთხვევაში, მუშების ერთ მესამედს, იქნებ ნახევარსაც, დაითხოვდნენ და უმუშევრობა იმატებდა. იქ პროლეტარები არ არიან დაინტერესებული, რომ მანქანას ყველაფერი გამოსწურონ, ვინაიდან მაშინ ზოგს დაითხოვენ, ხოლო სხვებს შეფასებას დაუკლებენ.

ჩვენში კი სტახანოველები ყველაზე უფრო პოპულარული ადამიანები არიან მუშებს შორის. შრომის ასეთი ნაყოფიერების მიღწევით ისინი პირველ ადამიანებად ხდებიან საბჭოთა კავშირში (ტაში).

გუშინ აქ, როცა ერთმა ამხანაგმა განაცხადა — გაუმარჯოს პირველ სტახანოველს ამხანაგ სტალინსო — მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა [illegible]. სტახანოვი კი არ არის სტახანოველი, არამედ სტალინია სტახანოველი. აი რა სიმაღლეზე აჰყავს მუშებს სტახანოველის სახელწოდება, (ტაში). კიდევ სად, რომელ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს ეს? არსად.

ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იქ, სადაც შრომა იქცევა ღირსების საქმედ, სახელის საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა, მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში შეიძლება იყვნენ ასეთი ადამიანები. აი გუშინ აქ გამოვიდნენ ამხ. ნინა სლავნიკოვა და მარუსია მაკაროვა. მათ მთელი ქვეყანა ტაშს უკრავს (ხანგრძლივი ტაში). კიდევ სად, რომელ სხვა ქვეყანაში შეიძლება მოხდეს ეს? მხოლოდ ჩვენ საბჭოთა კავშირში (ტაში).

ეს იმიტომ, რომ ყველა გრძნობს, ყველას ესმის, რომ შრომის ნაყოფიერების ის ზრდა, რომელსაც სტახანოველები იძლევიან, ჩვენს ქვეყანას ძლიერს, მდიდარს, ძლევამოსილს უძლეველს ხდის, რომ ამით თვითონ მუშა, არაჩვეულებრივად ადიდებს თავის ხელფასს, ხდება შეძლებული და ამაღლებს თავის კულტურულ დონეს, და, ამავე დროს მან მშვენივრად იცის, რომ მას არავითარი უმუშევრობა არ ემუქრება, ვინაიდან ჩვენმა ქვეყანამ კიდევ უნდა აშენოს და აშენოს ახალი საწარმოები, მოიპოვოს კიდევ მეტი ქვანახშირი როგორც დონბასში, ისე ყველა სხვა ბასეინში.

ჩვენ გვესაჭიროება არა ერთი ასეული მილიონი ქვანახშირი, არამედ მრავალი ასეული მილიონი ტონა ქვანახშირი; და რაც უფრო მეტი იქნება სტახანოველები, მით უფრო ჩქარა გადავსწყვეტთ ამ ამოცანას. როგორ შეხვდნენ სტახანოვურ მოძრაობას? ყველამ გაიგო იგი ერთბაშად თუ არა? აქ პირდაპირ უნდა ვამხილო ზოგიერთი ამხანაგი. როცა მე ზოგიერთ სამეურნეო მუშაკს შევეკითხე—რას აკეთებთ, როგორ იყენებთ სტახანოვურ მეთოდს—მეთქი, მათ ასე მიპასუხეს: ჩვენ პროგრამა სტახანოვამდეც შევასრულეთ და სტახანოვური მოძრაობა ჩვენ არ გვეხება. ეს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა საქმეაო. ერთმა ამხანაგმა ისიც კი სთქვა: ეს, ალბათ, პროფკავშირების საქმეა, მათ უნდა გასწიონ მისი პროპაგანდაო (სიცილი დარბაზში). ყველამ ერთბაშად როდი გაიგო, ყველა ერთბაშად როდი მიხვდა, თუ რაში იყო საქმე. ვერ გამოიჩინეს საჭირო მოქნილობა და ფხიანობა. ასევე იყო თავის დროზე, როცა მაკეევკის ქარხნის დირექტორმა ამხ. გვახარიამ დააყენა რენტაბელობაზე გადასვლის საკითხი.

ძალიან ბევრსა და ბევრს ეს შეუძლებლად მიაჩნდა. ახლა კი საქმე გაჩარხულია. მთელი სამხრეთის მეტალურგია და „სპეცსტალის" ყველა ქარხანა ამჟამად უკვე უდოტაციოდ მუშაობს.

მართალია, ერთი მუჭა უბადრუკი რუსი თეთრგვარდიელი ემიგრანტების მეთაური მილიუკოვი სწერდა:

„მთელი ამ ლაპარაკიდანა და დავალებიდან პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესახებ, რითაც ახლა მოსკოვში ასე გაძლიერებით არიან გართული, სახეირო არაფერი გამოვა... მისი (საბჭოთა მრეწველობის) ზარალიანობამ აუცილებლად უნდა იმატოს. დოტაციის გადიდებაზე ხელის აღება მარცხს გამოიწვევს".

და აი, როგორც ხედავთ, ჩვენ მარცხამდე მივედით... (სიცილი).

აი მთელი ეს სხდომა მოწმობს, რომ მთელმა ჩვენმა მრეწველობამ საშინელი მარცხი განიცადა. (სიცილი).

თეთრგვარდიელ მილიუკოვს შეუძლია გაიხაროს. (სიცილი, ტაში).

ამხ. მოლოტოვმა აქ ილაპარაკა და სრულიად სამართლიანადაც ილაპარაკა დიუკანოვზე, როგორც საუცხოო მუშაკზე, როგორც საუცხოო ბოლშევიკზე, რომელიც არის სტახანოვური მოძრაობის ერთერთი ორგანიზატორი. მე მას კიდევ უნდა მივუმატო ამ შახტის პარტკომის მდივანი ამხ. პეტროვი და უბნის უფროსი ამხ. მაშუროვი.

ამხანაგებო, მე საგანგებოდ უნდა აღვნიშნო როლი ჩვენი პარტიის დონეცის საოლქო კომიტეტისა, რომელიც ბოლშევიკური, სტალინური შეუპოვრობით ჩაუდგა სათავეში ამ მოძრაობას, და განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო დონეცის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. სარქისოვის როლი (ტაში), მეორე მდივნის ამხ. ვაინოვის როლი. მე აქ უნდა ვსთქვა, რათა თქვენ ყველამ და ამხანაგმა სტალინმაც იცოდეთ, რომ კადიევკის გაზეთ „კადიევსკი პროლეტარი" და მისი რედაქტორი ამხ. კაპლანი—ჩვენი ერთერთი კარგი საგაზეთო მუშაკია, რომელმაც იმავე წუთს, როგორც კი მოხდა ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი—ამხ. სტახანოვის უროს დარტყმა — გადაიტანა იგი თავის გაზეთში და მთელ დონბასს მოსდევა. შემდეგ კი ეს ამბავი მთელს ჩვენს ქვეყანას მოედო (ტაში).

სტახანოვური მოძრაობის განვითარებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა გაზეთმა „სოციალისტიჩესკი დონბასმა".

ზედმეტია ლაპარაკი, თუ რა უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჩვენს „პრავდას" და ჩვენს გაზეთ „ზა ინდუსტრიალიზაციუს", რომლებიც, შეუპოვრად და ენერგიულად ეწეოდნენ ამ საქმით პროპაგანდას (ტაში).

მე აქ არ ვილაპარაკებ იმაზე, რომ ამხ. ჟდანოვმაც, მოსკოვის ორგანიზაციამაც, ამხ. ხრუშჩოვმაც, ლენინგრადის ორგანიზაციამაც, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც, ამხ. პოსტიშევმაც, ამხ. კოსიორმაც და სხვ. დიდი მუშაობა გასწიეს სტახანოვური მოძრაობის ორგანიზაციისათვის. მაგრამ მე მინდოდა განსაკუთრებით აღმენიშნა როლი დონბასის პარტიული ორგანიზაციისა, რომელმაც ჩინებულად მოაწყო ეს საქმე.

▽ ▽ ▽ ▽ ▽

კალინინის სახელობის ქარხნის ახალგაზრდა სტახანოველები სტ. [illegible] (მარცხნიდან) ამხ. კაუ-ტან-ჩი, აკოფოვი და კლევცოვი.

ამხანაგებო, ამხ. მოლოტოვმა აქ ილაპარაკა მშენებლობაზე, რომ ჩვენი მშენებლობა მოიკოჭლებს, მეც ვადასტურებ, რომ მოიკოჭლებს და ძალიანაც მოიკოჭლებს (სიცილი).

ჩვენი მშენებლობა ჩვენ სავსებით გავშალეთ 1931-32 წლებში. მაშინ ჩვენ ძალიან ცოტა მექანიზმები გვქონდა, სჭარბობდა ნიჩაბი და წერაქვი, ცული და ცხენი. ეს ძვირად გვიჯდებოდა, მაგრამ მეტი გამოსავალი არ გვქონდა.

ახლა კი ჩვენ გვაქვს მძლავრი ინდუსტრია, გვყავან გამოცდილი მშენებლები და ძველებურად შენება უკვე მიუტევებელია. ახლა ჩვენ საშუალება გვაქვს მოვახდინოთ ჩვენი მშენებლობის მექანიზაცია და მთლიანად გადავიდეთ მშენებლობის ამერიკულ მეთოდებზე. ეს უფრო იაფი და უფრო სწრაფიც იქნება. ამისათვის ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა. მშენებლობის დარგში ჩვენ უდიდესი რეზერვები გვაქვს. შრომის და საამშენებლო სამუშაოების ჯეროვანი ორგანიზაციის დროს ჩვენ აქ შეგვეძლო შეგვემცირებინა მშენებლობის თვითღირებულება არა მარტო 8 პროცენტით, არამედ სამჯერ 8 პროცენტითაც.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ როცა თვითეულ მშენებლობაზე არის 15—20—30 ათასი კაცი, ეს იმას ნიშნავს, რომ 20 პროცენტი თითქმის არაფერს აკეთებს.

ხმები ადგილებიდან—მართალია.

ორჯონიკიძე — ჩვენ უდიდესი ტექნიკური სიმძლავრეები გვაქვს და თუ სტახანოვურ მოძრაობას, როგორც საჭიროა, ისე მოვაწყობთ, ჩვენ უდიდეს ახალ წარმატებებს მივაღწევთ.

აი რამდენიმე მკაფიო მაგალითი კრივოი როგის ბასეინის ცხოვრებიდან, იმ ბასეინის ცხოვრებიდან, რომელმაც სახელოვნად შეასრულა მეორე ხუთწლედი 3 წელიწადში.

აი რას სწერს ამ ბასეინის მთავარი ინჟინერი ამხ. ჩერნიკოვი:

„თუ ორი წლინახევრის წინათ ტრესტი ეწეოდა ძერჟინსკის სამადნოსამმართველოს შახტა „პერვომაისკაიას" რეკონსტრუქციის პროექტის შედგენას, რათა მისი ტექნიკური შესაძლებლობა აეყვანა წლიური ამოღების 700 ათას ტონამდე, ამჟამად შახტა რეკონსტრუქციის ჩაუტარებლად მუშაობს წლიური ამოღების 750 ათასი ტონის დონეზე".

აკი ამბობდნენ, საჭიროა რეკონსტრუქცია და მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიღოთ 700 ათასი ტონაო.

შემდეგ ამხ. ჩერნიკოვი ამბობს:

„შარშან კაგანოვიჩის სახელობის სამადნო სამმართველო აყენებდა ამხ. მოშჩენკოს ამწევი მანქანის შეცვლის საკითხს, რათა შახტის შრომის ნაყოფიერება აეყვანათ წლიური ამოღების 350—400 ათას ტონამდე. ამჟამად ეს მაღარო ძველი ამწევი მანქანით მუშაობს 400 ათასი ტონის დონეზე".

ასეთი მაგალითები სხვა დარგებშიც ბევრია.

აი აქ ზის ქარხნის დირექტორი ამხ. **გუტნოვი**. მისი ქარხნიდან გამოვიდნენ ამხ. სლავნიკოვი და მაკაროვი, რომლებიც შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს იძლევიან. ხოლო ამ სამი თვის წინათ ამხ. **გუტნოვმა** მე მთხოვა დამატებით დაზგები მიმდინარე წლის პროგრამის შესასრულებლად. მან მიიღო დაზგების ნაწილი. ხოლო ახლა, ქარხანაში სტახანოვური მოძრაობის გაშლის შემდეგ, ამხ. გუტნოვმა პრესაში საჯაროდ პატიოსნად, ბოლშევიკურად განაცხადა, არამცთუ არ მესაჭიროება ეს დამატებითი დაზგები, არამედ ზედმეტი დაზგებიც აღმომაჩნდაო. ასევე დაემართათ ამხანაგებს ტულის იარაღის ქარხნიდან, რომლებიც არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც უჩიოდნენ დაზგების ნაკლებობას, ხოლო ახლა გვპირდებიან გააძლიერონ იმ დაზგების ნაყოფიერება, რომლებიც მათ მოეპოვებათ, 40 პროცენტით.

ახლა, ძვირფასო ამხანაგებო, მოწყობილობის ნაყოფიერების ყველა ძველი გაანგარიშება ძალიან სერიოზულად უნდა გადისინჯოს.

აი აიღეთ მოსკოვის ამხ. კაგანოვიჩის სახელობის ბურთობსაკისურის ქარხანა. მისი საპროექტო სიმძლავრე, რომელიც იტალიელების მიერ არის შედგენილი, წელიწადში უდრის 24 მილიონ საკისურს; მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ, როცა იტალიელები პროექტს ადგენდნენ, ისინი გამოდიოდნენ იქიდან, რომ საბჭოთა მუშას არ შეუძლია იმუშაოს ისე კარგად, როგორც იტალიელს, ამიტომ მათ ჩვენ მოგვცეს ისეთი პროექტი, რომელიც ემყარებოდა მოწყობილობის გამოყენების შემცირებულ ნორმებს.

მაგრამ სამჭედლოს ოსტატს — ინჟინერს ამხ. იუსიმს არ სურს შეურიგდეს იმ შეფასებას, რომელსაც იტალიის ფირმა საბჭოთა მუშებსა და ტექნიკოსებს აძლევს, და, ნორმით გათვალისწინებული 28 ათასი რგოლის ნაცვლად, იძლევა 46—47 ათას რგოლს ცვლაში. მის მაგალითს ჰბაძავენ ამხ. კრიტკოვი და სხვა ოსტატები.

ქარხნის წინაშე ჩვენ ვაყენებთ საკითხს: ჩვენ არ გვყოფნის ბურთობსაკისურები, იძულებული ვართ ისინი საზღვარგარეთიდან შემოვიტანოთ. მოდით, ნუ გაუწევთ ანგარიშს ქარხნის აშკარად შემცირებულ საპროექტო სიმძლავრეს და მოვაწყოთ მუშაობა სტახანოვურად. ქარხანას შეუძლია მოგვცეს ერთნახევარჯერ—ორჯერ მეტი. ხოლო დირექტორი აცხადებს, ამას სამი წელიწადი დასჭირდებაო. მე ვუპასუხე, ეს იქნება მომავალ წელს, მაგრამ არ ვიცი, იქნებაღა კი თქვენსა ეს ხელმძღვანელობა მეთქი. (ტაში).

მე დარწმუნებული ვარ, ბურთობსაკისურის ქარხნის მუშებთან ერთად, ამ ქარხნის საუკეთესო ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან ერთად, პარტიული ორგანიზაციების მეთაურობით, — ამ საქმეს ჩვენ წამოვსწევთ და ეგრეთწოდებული საპროექტო სიმძლავრით გათვალისწინებული 24 მილიონი საკისურის ნაცვლად, მივსცემთ 36 მილიონ და კიდევ მეტ საკისურს (ტაში).

აი როგორ დგას საკითხი, ამხანაგებო.

ჩვენ უდიდესი შესაძლებლობანი გვაქვს, მაგრამ საჭიროა ისე მოვაწყოთ საქმე, რომ ისინი მთლიანად გამოვიყენოთ. ამ საქმის მოწყობა არც თუ ისე ადვილია.

ამისათვის წარმოების ორგანიზაციის საქმეს ახლებურად უნდა მოვკიდოთ ხელი, თავიდან უნდა მოვიშოროთ ის ცუდი ჩვეულება, თითქოს თქვენ ყველაფერი იცოდეთ. საჭიროა უფრო მეტად დაუგდოთ ყური მოწინავე მუშების ხმას და ისწავლოთ მათგან. აქ სათაკილო არაფერია.

აბა, შეხედეთ რა საუცხოო მუშები გამოდიოდნენ აქ. სინდისის ქვეშ რომ ვილაპარაკოთ, თუ თქვენ მათ შეეკითხებით, ისინი არც თუ ისე კატეგორიულად იტყვიან უარს და, ცოტა სწავლის მიღების შემდეგ, წარმატებით შეცვლიან თქვენ. თქვენ, ამხანაგო სამეურნეო მუშაკებო და ინჟინრებო, ძალიან ბევრი კონკურენტი გაგიჩნდათ, ძალიან ბევრი კონკურენტი გამოიზარდა და ესაა ჩვენი ბედნიერება! (მქუხარე ტაში).

მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენი სამეურნეო მუშაკებისა და ჩვენი ინჟინრების საუკეთესო ნაწილი, — ხოლო ისინი უდიდესი მასაა, ვინც ჩვენი ლენინ - სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს საუცხოო ინდუსტრიას აშენებდა, — სათავეში ჩაუდგება სტახანოვურ მოძრაობას და მოაწყობს მას. ყოველ შემთხვევაში, სჯობს ამხანაგებო, მოწინავეთა რიგებში იყოთ, ვიდრე სადღაც საბარგულს გუდში მისდიოთ, ან სავსებით გარიყული დარჩეთ. ეს ახლა თქვენი საქმეა, აირჩიეთ, რომელიც გენებოთ (სიცილი, ტაში).

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დიდი საფრთხე მოელის — ჩვენს ტრესტელებს — დონბასის — და, არა მარტო დონბასის — ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს, თუ ისინი სწრაფად და გადაჭრით სავსებით და მთლიანად არ მოუღებენ ბოლოს თავის ჩამორჩენასა და კონსერვატიზმს. ვინ არ იცის დონბასელი ტრესტელების — ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა გამუდმებული ჩივილი—მუშები არ გვყოფნის, კომპრესორები არ გვყოფნისო და სხვ. ახლა კი, მას შემდეგ, რაც ამხ. სტახანოვმა თავისი ურო დაარტყა, ბრმაც კი ხედავს, თუ რაშია საქმე. ახლა ურონი არა თუ გვყოფნის, არამედ ზედმეტიც გვაქვს, კომპრესორებიც გვყოფნის და მუშებიც გვყოფნიან (სიცილი).

ყოველივე ეჭვს გარეშეა—შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის გადიდება ერთი-ორად, ერთი-სამად, ერთი ოთხად, როგორც ამას ამხანაგი სტალინი ამბობდა, — ეს საქმე ჩვენს ხელთაა. ჩვენ ახლა ვიცით, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ ამას. უეჭველია, სტახანოვური მოძრაობა ისე განამტკიცებს ჩვენ ქვეყანას, ისე ძლიერს გახდის მას, რომ ვერავითარი ჰიტლერები, ვერავითარი იაპონელი იმპერიალისტები ვერ გაბედავენ თავს დაესხან თუნდაც ერთის ნაჭერს ჩვენს საბჭოთა მიწას. ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოუვათ (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები: „ვაშა").

ამხანაგებო, მძიმე მრეწველობა ამზადებს ყველაფერ იმასაც, რაც ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის აუცილებელია. მძიმე მრეწველობა წითელ არმიას მოწინავე ტექნიკით ამარაგებს.

მე მგონია, უფლება მაქვს განვუცხადო ამხანაგ სტალინს, ცენტრალურ კომიტეტსა და ჩვენს კლიმ ვოროშილოვს, რომ ბუმბერაზები, რომლებიც აყირავებენ ყველაფერს, რაც კი ნორმებს და სახელმძღვანელოებში ძველი იყო, — ეს ბუმბერაზები მოგვცემენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ისეთ საშუალებებს, რომ ერთბაშად გავანადგუროთ ყველა, ვინც კი გაბედავს ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. „გაუმარჯოს წითელ არმიას". მრავალგზისი შეძახილები: „ვაშა". ყველანი ფეხზე დგებიან).

მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენი ქვეყნის თავდაცვა რომ ჯეროვან სიმაღლეზე დავაყენოთ, ჩვენი ქვეყნის დასაცავად უნდა დავამზადოთ იარაღი არა მარტო აუცილებელი რაოდენობით, არამედ მაღალი ხარისხისაც. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუპირდაპიროთ ხარისხი რაოდენობას. მთელი საბჭოთა პროდუქცია მაღალხარისხოვანი უნდა იყოს! ამ მხრივ კი ჩვენ, ამხანაგებო, მოვკოჭლებთ. სტახანოვური მოძრაობა გამოიხატება როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებში. ის, ვისაც სურს სტახანოველი იყოს, იმას არ შეუძლია მოგვცეს მხოლოდ რაოდენობა. მან უნდა მოგვცეს ხარისხიც. უამისოდ სტახანოველი არ არსებობს.

ხმები ადგილიდან — მართალია! (ტაში).

ორჯონიკიძე—ჩვენ ფეხი შევდგით განვითარების ახალ ხანაში. ჩვენ გავიმარჯვეთ!

ვის უნდა ვუმადლოდეთ ამ დიადი გამარჯვებებისთვის?

ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ უდიდეს ადამიანს დიდ გენიოსს — **ლენინს.**

(დელეგატები ფეხზე დგებიან. მქუხარე ოვაცია. შემდეგ მთელი თათბირი ბოლომდე ფეხზე ამდგარი ისმენს ამხ. ორჯონიკიძის სიტყვას).

ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ **ლენინს** იმისთვის, რომ მან შექმნა პარტია, მიუძღოდა მას გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, გაატარა ოქტომბრის დღეები, გაატარა სამოქალაქო ომი, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაეცვა. ჩვენ ყველაფერ ამისათვის უნდა ვუმადლოდეთ ამხანაგ **ლენინს** — ყველა საუკუნის უდიდეს ადამიანს უდიდესთა შორის (მქუხარე ოვაცია. დარბაზში ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ იმას, ვინც იყო ლენინის პირველი თანაშემწე. ჩვენ ამისათვის უნდა ვუმადლოდეთ **სტალინს!** (მქუხარე ოვაცია. შეძახილები „ვაშა": „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!").

როცა აღმოსავლეთში უნდა დაეცვა ჩვენი ქვეყანა კოლჩაკის ურდოებისაგან, ლენინმა იქ თავისი **სტალინი** გაგზავნა, და კოლჩაკი განადგურებულ იქნა! (მქუხარე ტაში).

როცა უნდა დაეცვა საბჭოთა სახელმწიფო დენიკინისაგან სამხრეთში, ლენინმა იქ თავისი **სტალინი** გაგზავნა, და დენიკინი განადგურებულ იქნა! (მქუხარე ტაში).

როცა უნდა გაგვენადგურებინა იუდენიჩი და შეგვენარჩუნებინა ლენინგრადი, ლენინმა იქ თავისი **სტალინი** გაგზავნა, და იუდენიჩი განადგურებულ იქნა! (მქუხარე ტაში).

როცა უნდა გაგვენადგურებინა ვრანგელი, ლენინმა იქ თავისი სტალინი გაგზავნა, და მტერი განადგურებულ და შავ ზღვაში გადაყრილ იქნა ამხანაგი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობის მეოხებით (შეძახილები „ვაშა". ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად რამდენიმე წუთს გრძელდება).

ლენინის გარდაცვალების შემდეგ, როცა უნდა დაგვეცვა ლენინიზმი ტროცკისტებისაგან, ზინოვიეველებისაგან, კამენეველებისა და ათასგვარი სხვა ოპორტუნისტებისაგან, — პარტიის სათავეში ჩაუდგა სტალინი— ლენინის განმგრძობი, რომელმაც გაანადგურა ლენინიზმის ყველა მტერი და ჩვენი პარტია და ქვეყანა უდიდეს გამარჯვებამდე მიიყვანა (მქუხარე ოვაცია. შეძახილები „ვაშა").

ამ არამზადებმა, საზიზღრებმა, რევოლუციის ამ განადგურებულმა მტრებმა შური იძიეს იმით, რომ ჩვენს რიგებს გამოჰგლიჯეს ერთერთი საუკეთესო, ერთერთი უსაყვარლესი ჩვენი ამხანაგი—ამხ. **კიროვი**. მაგრამ ბოლშევიკური რიგები არ შემდრკალან. დეე, სისხლით იწურებოდეს ჩვენი გული, რომ კიროვი ჩვენს შორის არ არის, არ არის კიროვი, რომელიც პარტიის მე-17 ყრილობაზე ამ ტრიბუნიდან ამბობდა — „რარიგ გინდა სცოცხლობდე და სცოცხლობდეო" (სამგლოვიარო დუმილი დარბაზში).

დიდია დანაკლისი, მაგრამ ბოლშევიკური პარტია, ბოლშევიკური ქვეყანა სულ წინ მიდის. და ვერავინ და ვერაფერი მას ვერ შეაჩერებს (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია განახორციელა ამხანაგმა სტალინმა, ხოლო ეს, ამხანაგებო, არც ისე ადვილი საქმე იყო. იმის გაკეთება, რაზეც ჩვენ ამჟამად ვლაპარაკობთ, არც ისე ადვილი იყო. ახლა შეგვიძლია ვიამაყოთ გამარჯვებებით, მაგრამ ამ გამარჯვებათა მოსაპოვებლად მრავალი დაბრკოლება და სიძნელე უნდა გადაგველახა: მაგრამ ჩვენ მეთაურად გვყავდა ამხანაგი სტალინი და ჩვენ გავიმარჯვეთ! (მქუხარე ტაში).

1931 წ. თებერვალს სამეურნეო მუშაკთა პირველი საკავშირო კონფერენცია რომ შეიკრიბა, ამხანაგმა სტალინმა სვეტებიანი დარბაზის ტრიბუნიდან განაცხადა:

ჩვენ 50—100 წლით ჩამოვრჩით. ჩვენ ეს მანძილი ათ წელს უნდა გავირბინოთ. ჩვენ ან ამას ვიზამთ, ან გაგვსრესენო.

1931 წელს, როცა საწარმოო გეგმა ცუდად სრულდებოდა, ამხანაგმა სტალინმა სამეურნეო მუშაკთა თათბირზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დარბაზში აღაფრთოვანა რამდენადმე შემკრთალი სამეურნეო მუშაკები და სთქვა: ჩვენი პროგრამის რეალობა—ეს არის ცოცხალი ადამიანები, ესა ვართ ჩვენ თქვენთან ერთად, და მოგვცა შესანიშნავი ექვსი ისტორიული პირობა, რომლებიც იყო ჩვენი დროშა, ჩვენი პროგრამა ძლევამოსილ ბრძოლაში.

და დღეს, როცა ქვედა ფენებიდან სტახანოველთა მოძრაობის ახალი დიადი ტალღა აგორდა, — ეს მოძრაობა, რომელსაც ამხანაგი სტალინი მეთაურობს, დევისებური ნაბიჯით წავა წინ.

გაუმარჯოს ჩვენს დიად ლენინურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს მუშათა კლასს!

გაუმარჯოს ჩვენს მასწავლებელს, ბელადს, ამხანაგ სტალინს! (მქუხარე ტაში). შეძახილი: „ვაშა".

„ვაშა" ამხანაგ სტალინს (მქუხარე ტაში. ოვაცია დიდხანს არ ცხრება).

„გაუმარჯოს სერგო ორჯონიკიძეს"! „გაუმარჯოს დიდ სტალინს!". მთელი დარბაზი მღერის „ინტერნაციონალს".

მუშა სტახანოველთა პირველი საკავშირო თათბირი

ამხ. ა. ი. მიქოიანის სიტყვა

ამხანაგებო! ყოველივე ის, რაც ჩვენ გვესმის და რასაც ვხედავთ აქ, სტახანოველთა საკავშირო თათბირზე, მჭერმეტყველურად და ცხადად გვიჩვენებს, რომ ჩვენმა ქვეყანამ ბრძენი დიდი **სტალინის** წინამძღოლობით ფეხი შედგა ბუმბერაზული აღმავლობის ახალ ხანაში (მქუხარე ტაში. „ვაშას" ძახილი).

როგორც სახალხო მოძრაობის ყოველმა დიდმა აზვირთებამ, ისევე ახლანდელმაც **გამოაჩინა ჩვენი ხალხის, ჩვენი მუშებისა და კოლმეურნეების ნიჭიერ ადამიანთა ახალი ფენები.** თვით ძირეული მასებიდან, ფაბრიკა-ქარხნებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან გამოსული ახალი ბელადები. ჩვენ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, ვისმენთ მუშა სტახანოველთა სიტყვებს და ვხარობთ. რევოლუციის განმავლობაში ჩვენ ცოტა სიტყვა როდი მოგვისმენია, მაგრამ გული ახალი სიხარულით ივსება, როდესაც უსმენ მუშათა და გლეხთა ამ ახალ ბელადებს შესანიშნავ საქმეებსა და გამარჯვებებზე.

ამ დიდ კრებამდე რამდენიმე დღით ადრე კრემლის სასახლეში ამხანაგმა **სტალინმა,** ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წევრებმა მიიღეს ჭარხლის მინდვრების კოლმეურნე ქალთა დელეგაცია, მიიღეს ისინი, ვინც ამხანაგ **სტალინის** მოწოდებით გაჰყვა მარია დემჩენკოს და მოგვცა ჭარხლის სარეკორდოდ მაღალი მოსავალი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე. ჩვენი მთავრობის მიერ ამ დელეგაციის მიღებაც, ლენინის ორდენებიც, რომლებიც ახლა მკერდს უმშვენებს „ხუთასოსნებს", სტახანოველთა საკავშირო შეკრებაც — ყოველივე ეს მოწმობს ჩვენი ქვეყნის დიად აღმავლობას, სოციალიზმის უდიდეს გამარჯვებას (ტაში).

დღევანდელი ვითარების განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ახლა უკვე ჩვენი ქვეყნის **ყველაზე ჩამორჩენილი** ადამიანებიც კი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის სიმართლესა და სისწორეში. და ამიტომ ახლა მთელი მრავალმილიონიანი მასა მოწინავე ადამიანებთან ერთად დაჯერებული ნაბიჯით მიიწევს წინ ბევრად უფრო სწრაფად. ვიდრე წინათ, მიიწევს წინ გოლიათური ნაბიჯებით, სწორედ ამიტომ ახლა „დარღვეულია" ყველა ნორმა და გეგმა,—დარღვეულია გადაჭარბების მხრივ.

ამჟამად ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია მთელი სისრულით და სიზუსტით ვთქვათ, თუ რას იძლევა სტახანოვური მოძრაობა, რომელიც დღითიდღე იზრდება. როდესაც დავამარცხებთ სტახანოვური მოძრაობის აშკარა და ფარულ მტრებს, როდესაც გარდაიქმნება მთელი სამეურნეო ხელმძღვანელობა თავიდან ბოლომდე, როდესაც ქარხნების, ტრესტების, მთავარსამმართველოების ხელმძღვანელობა საქმით ჩაუდგება სათავეში სტახანოვურ მოძრაობას, მაშინ ჩვენ მასობრივი მასშტაბით ვაჩვენებთ სოციალისტური შრომის მაღალი ნაყოფიერების მართლაც უნახავ ნიმუშებს, შევქმნით მანქანებისა და პროდუქტების უდიდეს სიუხვეს.

როდესაც ყველაზე მძიმე წლებში ამხანაგი **სტალინი** მიგვიძღოდა წინ, ბევრს ეჭვი ეპარებოდა ჩვენი ხაზის სისწორეში. ჩვენს სტალინურ, ლენინურ ხაზს უარყოფდნენ ყოველგვარი ოპორტუნისტები ცენტრალური კომიტეტის გადახრილი წევრების მეთაურობით. ხოლო ახლა ჩვენი ქვეყნის ყველაზე ჩამორჩენილმა ადამიანებმაც კი გაიგეს ის, რის გაგებაც მაშინ არ უნდოდათ ან არ შეეძლოთ ცენტრალური კომიტეტის ამ წევრებს, როგორ მოხდა ეს? ვის უნდა ვუმადლოდეთ ასეთ გამარჯვებებს?

ამხანაგმა **სტალინმა** 1925 წელს პარტიის მე-14 ყრილობაზე გენიალური შორსგამჭვრეტელობით დღის წესრიგში დასვა ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილი გლეხური ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის საკითხი. შეურყეველი თავგამოდებით, ლენინელის მთელი მგზნებარებით ამხანაგი **სტალინი** დღითიდღე იბრძოდა ამ ამოცანის გადაჭრისათვის და მან უდიდეს სიძნელეთა გადალახვით, თავის გზაზე ყოველგვარი დაბრკოლების დაძლევით, ყველა მტრის განადგურებით მიიყვანა ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის გამარჯვებამდე. ინდუსტრიალიზაციის სტალინური ხაზის არსებობის ათმა წელმა საბჭოთა კავშირი გადააქცია მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად. ჩვენმა მძიმე მრეწველობამ ამხ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, რომელიც ასეთი მგზნებარებით, ასეთი სიყვარულითა და უნარით ჩაება მძიმე მრეწველობის ხელმძღვანელობის საქმეში, (მქუხარე ტაში), ჩვენმა მძიმე მრეწველობამ ბაზა შეუქმნა მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას. სახალხო მეურნეობის წარმატებებს ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ გვაქვს საკუთარი მძიმე მრეწველობა, რომელიც ყველაზე მოწინავე ტექნიკით აიარაღებს და ხელახლა აიარაღებს მთელ ჩვენს მეურნეობას. მან მისცა სოფლის მეურნეობას ტრაქტორი, კომბაინი და ავტომანქანები, იგი ახალ ვაგონებსა და მძლავრ ორთქლმავლებს აძლევს რკინიგზის ტრანსპორტს, პირველხარისხოვან დაზგებსა და მანქანებს—კვების, მსუბუქ და სატყეო მრეწველობას. მძიმე მრეწველობა ეწევა და უსწრებს ამერიკის და ევროპის ინდუსტრიის საუკეთესო ნიმუშებს (ტაში).

ანვითარებდა რა ლენინის—ჩვენი პარტიისა და მსოფლიოს ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის მოძღვრებას, ამხანაგმა **სტალინმა** მიგვითითა ის გზა, რომლითაც უნდა მიგვყავდეს მრავალმილიონიანი გლეხობა სოციალიზმისაკენ. რუსეთის რევოლუციის ყველაზე ძნელი პრობლემა მუდამ გლეხთა საკითხი იყო. რევოლუციის ეს ყველაზე ძნელი პრობლემა ამ უკანასკნელ წლებში საბოლოოდ და სამუდამოდ გადაიჭრა ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებით (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ჩვენი გზის არა მარტო **სწორი მიმართულება.** ეს მთავარია. მაგრამ კიდევ არ კმარა გქონდეს სწორი ხაზი. უნდა გქონდეს უნარი—ცხოვრებაში გაატარო იგი. უნდა გქონდეს მასებთან დასაკავშირებელი ბერკეტებისა და ძაფების მთელი სისტემა, რათა პარტიის ხაზი გახდეს მასების ხაზად, რათა მთელი მასა პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოდეს ამ ხაზის გამარჯვებისათვის. ამხანაგმა სტალინმა სწორედ ამ გზით შესძლო უმოკლეს ვადაში განეხორციელებინა გლეხთა მრავალმილიონიანი მასების ეს დიადი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გადასვლა სოციალიზმზე.

ამხანაგმა სტალინმა კოლმეურნე გლეხობას მისცა საკოლმეურნეო ცხოვრების წესდება, სტალინური წესდება, რომელიც სწორად ახამებს თვითეული კოლმეურნის პირად ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებთან და პირად ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებს უქვემდებარებს.

პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ამ სტალინურმა შეხამებამ კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაციასა და ანაზღაურებაში, კოლმეურნის პირადი მეურნეობის და კოლმეურნეობის განსაზოგადოებული მეურნეობის შეფარდებაში, კონტრაქტაციით ჩაბარებული პროდუქციის დამზადების ფასების აგებაში, რის მიხედვითაც უხვი მოსავლისათვის და ჩაბარების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობა ორმაგ და სამმაგ ფასს ღებულობს,—ყოველივე ამან გამოიწვია საკოლმეურნეო სასოფლო მეურნეობის აყვავება. წელს ჩვენ გვაქვს უფრო მეტი, ვიდრე ოდესმე, მოსავალი პურისა, ბამბისა, ჭარხლისა, კარტოფილისა, ყოველივესი, რაც კი გვესაჭიროება (ტაში).

სტახანოვურმა მოძრაობამ გვიჩვენა და დაამტკიცა, რომ შეიძლება უფროდაუფრო უკეთ მუშაობა და შრომის ნაყოფიერების უფროდაუფრო მაღლა აწევა. საამისოდ აუცილებელ პირობებზე ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა ჯერ კიდევ თავის ისტორიულ სიტყვაში სამეურნეო მუშაკთა თათბირზე. ამ პირობებში უმთავრესია შრომის ხელფასის სწორად აგება, გათანაბრებისა და გაუპიროვნების ლიკვიდაცია, მუშებზე ზრუნვა.

ამხანაგ სტალინის ექვსი პირობის, მითითების განხორციელება კადრების შესახებ, რომლებიც ყველაფერს სწყვეტენ, მისი მოწოდება ადამიანზე ზრუნვის შესახებ, აი ის, რამაც ააზვირთა საყოველთაო სახალხო სტახანოვური მოძრაობა როდესაც, მილიონობით მშრომელნი ჩაიბნენ ბრძოლაში სოციალიზმის ახალი მწვერვალების დაპყრობისათვის, ახალი ბედნიერი კულტურული ცხოვრებისათვის (ტაში).

ჩვენი პარტიისა და მასების ბელადისა და ორგანიზატორის გენიოსობას, ჩვენი მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გენიოსობას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ რევოლუციის ბევრი უძნელესი საკითხი ახლა უკვე აღარ არის საკითხი, ბევრი პრობლემა აღარ არის პრობლემა, ავიღოთ თუნდაც სასურსათო საკითხი. თქვენ, მუშებს, ყველაზე უკეთ გახსოვთ, თუ როგორ იტანჯებოდნენ ხშირად ჩვენი პარტიული პროპაგანდისტები, როდესაც უხსნიდნენ მუშებს, თუ რატომ არ გვყოფნიდა პური, შაქარი, ხორცი, რატომ არ იყო წეკო, არ იყო პაპიროსი. ჩემზე უნდა ვთქვა, რომ ჩემთვის ძნელი იყო არა მარტო ახსნა, არამედ კიდევ უფრო ძნელი იყო ყოველივე ამით მომარაგება. **ბევრად უფრო ადვილია ახლა იმის ახსნა, თუ რატომ გვაქვს ბევრი პური,** ბევრი კარაქი, ბევრი შაქარი (ხანგრძლივი ტაში).

მე აქ ვუსმენდი დონეცის მაღაროელთ, რომლენიც აქ გამოდიოდნენ. გავიხსენოთ, როგორ გამოდიოდნენ ისინი წინათ, როდესაც მათ წინადადებას აძლევდით გაედიდებინათ ქვანახშირის ამოღება, ისინი ამბობდნენ: არ არის თამბაქო, მოგვეცით პაპიროსი, მოგვეცით საპონი, ვერაფრით დაგვიბანია. მოგვეცით მაკარონი, მოგვეცით ხორცი, მოგვეცით ბურღულიო. ახლა კი დონეცის მაღაროელნი გამოდიან და არც ბურღულზე ლაპარაკობენ, არც პურზე, არც ხორცზე (ხანგრძლივი ტაში).

(დასასრ. შემდეგ ნომერში).

ამხ. ვ. მოლოტოვის სიტყვის დასასრული

უფლნენ. სტახანოველებმა საქმით, თავიანთი მუშაობით დაადასტურეს ამხანაგ სტალინის მითითებათა სისწორე, რომ ახლა მთელი საქმე არის იმ ადამიანებში, რომლებიც ტექნიკას დაეუფლნენ. აქ გამოსული სტახანოველები და ვინოგრადოველები მუდამ მიუთითებდნენ ამხანაგ სტალინის მოწოდების სიტყვებზე იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ტექნიკას დაეუფლნენ. სტახანოვურ მოძრაობაში, მის წარმატებებში ჩვენ ვხედავთ იმის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს, რომ სწორია ამხანაგ სტალინის მითითებანი იმ ადამიანთა გადამწყვეტი როლის შესახებ, რომლებიც ტექნიკას დაეუფლებიან. (ტაში).

სტახანოვური მოძრაობის პერსპექტივები უფრო და უფრო ნათელი ხდება მუშათა მასებისათვის. დღეს „პრავდამ" დაბეჭდა წერილი, რომელიც ამხანაგ სტალინს გაუგზავნა შახტა „ცენტრალნაია-ირმინოს" 250 მუშამ იმ შახტის მუშებმა, რომელშიაც სტახანოვი და დიუკანოვი მუშაობენ. ამ წერილში ჩვენ ვკითხულობთ:

„თუ სანგრევი ურო სტახანოვის, დიუკანოვის, კონცედალოვის და მრავალ სხვა ათეულ და ასეულ სტახანოველთა ხელში იძლევა 3, 4, 5-ჯერ იმაზე მეტ საშუალო ნაყოფიერებას, რასაც იგივე ურო წინათ იძლეოდა, რას შეუძლია შეგვიშალოს ხელი ჩვენ, ყველა მუშას და მთელ შახტას, გავაორკეცოთ ჩვენი შრომის ნაყოფიერება და გავხდეთ მთლიანი სტახანოვური შახტი?" (ტაში).

სტახანოვურ მოძრაობას ჯერ კიდევ ძალიან მოკლე ისტორია აქვს. მაგრამ იგი მძაფრად იზრდება და სულ ახალ-ახალ ამოცანებს აყენებს. ჩვენ ჯერ კიდევ გუშინ ვლაპარაკობდით მხოლოდ ცალკეულ სტახანოველებსა და სტახანოვურ ბრიგადებზე. დღეს „ცენტრალნაია-ირმინოს" შახტის მუშები უკვე აყენებენ თავიანთ მაღაროში ქვანახშირის ამოღების გაორკეცებისა და მთელი შახტით მუშაობის სტახანოვურ მეთოდზე გადასვლის ამოცანას. დონბასის მოწინავეთა ამ მისწრაფებაში გადააქციონ თავიანთი შახტი მთლიან სტახანოვურ შახტად მოსჩანს მუშათა უდიდესი რწმენა ახალი მოძრაობის გამარჯვებისადმი.

მაგრამ ეს ამასთან ერთად მეტყველებს იმ ახალ გრანდიოზულ ამოცანებზე, რომლებიც წამოიჭრა ჩვენი სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელების წინაშე მრეწველობაში და ტრანსპორტზე. თავისი ინიციატივით ცალკეულმა მუშებმა იწყეს გადასვლა შრომის მაღალი ნაყოფიერების სტახანოვურ-ბუსიგინურ მეთოდზე. როგორც ეს სტახანოვის შახტის მუშათა წერილიდან სჩანს, ახლა მოწინავე მუშები აყენებენ უკვე უფრო სერიოზულ ამოცანებს, რომელთა გადაჭრაშიც გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მრეწველობის მეთაურებს, ადმინისტრატორებსა და ინჟინრებს, ეკონომისტებსა და ტექნიკოსებს. აქ საჭიროა უდიდესი მუშაობა მთელი სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის მრეწველობაში და ტრანსპორტზე. ბევრ ჩვენს მეთაურს სამეურნეო ფრონტზე მოუხდება ზოგი რამ სერიოზულად ხელახლა ისწავლოს, გამოითხოვოს სხვადასხვა გვარ დრომოჭმულ ჩვეულებებს, როგორც, მაგალითად, არის ოდესღაც დადგენილი ნორმებისა და გეგმების წინაშე თაყვანისცემა.

„ცენტრალნაია-ირმინოს" შახტის მუშების წერილი მოაგონებს ჩვენს სამეურნეო მუშაკებს და ინჟინრებს, რომ ვერავითარი სიტყვებით და სტახანოველთათვის ქება-დიდების შესხმითაც კი ვერ აიცილებენ თავიდან იმ ახალ სერიოზულ საკითხებს, რომლებიც ახლა სამეურნეო-ტექნიკური ხელმძღვანელობის წინაშე დაისახა.

ახლანდელ სტახანოველ-ბუსიგინელ-კრივონოსელთა ბრიგადების მუშაობა ყოველ ნაბიჯზე აწყდება სამეურნეო-ტექნიკური ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებს საწარმოებსა და ტრანსპორტზე. სტახანოვურ - ბუსიგინურ-ვინოგრადოვული მოძრაობის ზრდა მოითხოვს გარდაქმნას არა მარტო ცალკეული სამუშაო ადგილის ორგანიზაციაში, არამედ მთელ საამქროებშიაც; მოითხოვს სამუშაო ხელფასის სათანადო ორგანიზაციას, შრომის ახალი განაწილების გათვალისწინებით და ძალების შეთავსებით ცალკეულ ბრიგადებსა და საამქროში, მოითხოვს ახალ ადამიანთა შესწავლას და მათი გაბედული ინიციატივის გამოყენების უნარს, მოითხოვს ნამდვილ კულტურულობას მუშაობაში ინჟინრებისა და ტექნიკოსებისაგან; მოითხოვს ახალ, უფრო მაღალ ორგანიზებულობას და ნამდვილ რიტმს უკვე მთელი საწარმოს მუშაობაში.

ერთი სიტყვით, მუშათა კლასის სტახანოვური მოძრაობა მრეწველობისა და ტრანსპორტის მეთაურებისაგან მოითხოვს გარდა პასუხისმგებლობის შეგნებისა, წარმოების ორგანიზაციის უნარს მუშათა კლასის ახალ ადამიანებზე დაყრდნობით ისე, რომ ნამდვილად უზრუნველყონ ჯეროვანი გაქანება მუშაობაში და ახალი ძალების შემდგომი წამოყენება.—ერთი სიტყვით, წარმოების ორგანიზატორებისაგან მოითხოვს ახლებურად მუშაობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გახდებიან ახალი საქმის შემფერხებლები და მაშინ ძნელი არ არის იმის მიხვედრა თუ რა ბედი ეწევათ მათ.

სტახანოვურ - ბუსიგინურ - ვინოგრადოვულმა მოძრაობამ მხოლოდ პირველი ნაყოფი მოგვცა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს მოძრაობა თანდათან მოედოს მუშათა კლასის მთელ მასას და რომ ჩვენმა მეთაურთა კადრებმა შეიგნონ თავიანთი გადაუდებელი ამოცანა—ჩააბარონ ხელმძღვანელობის მაღალ კლასზე გადასასვლელი გამოცდა. და მაშინ ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების ნაყოფიერება მოკლე ვადაში უზრუნველყოფს ჩვენთვის სამრეწველო პროდუქციის გაორკეცებას და გასამკეცებას. როგორც ამაზე რამდენჯერმე მიგვითითებდა ამხ. სტალინი (ტაში).

* * *

ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიოს კაპიტალიზმის კედელი გაარღვია, რითაც დაიწყო ორი საზოგადოებრივი სისტემის—კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის ისტორიული შეჯიბრება. მას შემდეგ ძველი და ახალი სამყაროს განვითარების გზათა დაპირისპირება უფრო და უფრო მეტად იჩენს თავს, ამას აგრეთვე ადასტურებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისათვის ბრძოლის ახალი აღმავლობა, რამაც სტახანოვური მოძრაობის სახელი მიიღო. საკმარისია ითქვას, რომ კაპიტალიზმი არ იცნობდა ასეთ ფაქტებს და იქ ეს პირდაპირ შეუძლებელია.

უკანასკნელ დროს კაპიტალიზმის ბედ-იღბალზე ძალიან ბევრი მწარე სიტყვა იყო ნათქვამი. და მართლაც, კაპიტალისტური საზოგადოების ბატონპატრონთა საქმე კარგად ვერ მიდის.

კაპიტალიზმი თავისი ძველი მრეწველობით ერთ ადგილს ტკეპნის სადღაც ომამდელი დონის მახლობლად, რომელსაც ჩვენ ჩვენთან ერთად უკვე დიდიხანია დავშორდით და წინ წავედით. უკანასკნელი წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა უსიტყვოდ, მაგრამ ყოველგვარ სიტყვებზე უფრო ხმამაღლა, გვამცნო ლპობის გზაზე დამდგარი კაპიტალიზმის საერთო კრიზისი. განა საჭიროა კაპიტალიზმის შემოქმედებით ძალთა გამოფიტვის კიდევ სხვა დამამტკიცებელი საბუთები? ვის შეუძლია კიდევ ჰქონდეს იმის იმედი, რომ უკანასკნელი წლების უმუშევრობისა და შიმშილობის მომაკვდინებელი შედეგების შემდეგ ხალხთა ფართო მასებს ექნებათ კაპიტალიზმის ძალების რწმენა? უკანასკნელ წლებში კულტურულ ძალთა უმაგალითო ფლანგვის შემდეგ, მას შემდეგ, რაც უმუშევართა რიგებს შეემატა კულტურის, ტექნიკის და მეცნიერების ადამიანთა ასეთი რაოდენობა, ვინ იფიქრებს, რომ კულტურის აყვავების იმედები დაუკავშიროს კაპიტალიზმის შემდგომ ბედიღბალს?

მაგრამ კაპიტალიზმს სურს იცოცხლოს და იგი, [illegible] როგორც მატერიალურ, ისე კულტურულ ღირებულებათა შექმნაში, ეძებს თავისი გადარჩენის გზებს. იგი არაფერს ერიდება, ოღონდ კი ხელიდან არ გაუშვას ძალაუფლება. ამაში მდგომარეობს იმის მიზეზი, რომ ომის შემდგომ პერიოდში შეიქმნა ფაშისტური ტიპის ბურჟუაზიული დიქტატურები. მაგრამ ამის შემდეგ განა საკვირველია, რომ ფაშიზმი გადაიქცა წარმავალი მსოფლიოს მხეცობისა და შავბნელ ძალთა სიმბოლოდ მშრომელ ინტელიგენციაზე რომ არაფერი ვთქვათ, წვრილ ბურჟუაზიულ ფენებსაც კი არ სურთ დაუკავშირონ თავიანთი ბედი ფაშისტურ დიქტატურათა ბედს. ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ მუშათა კლასში ფაშიზმი ვერაფერს ზრდის, გარდა რევოლუციური სიძულვილისა?

მხოლოდ ამის მიხედვით შეიძლება გავიგოთ კოლონიური ავანტიურებისა და იმპერიალისტურ დაპყრობათა იმ პოლიტიკის მნიშვნელობა, რაშიაც ხედავენ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან კაპიტალისტური ქვეყნები, რომელნიც ცდილობენ დაწინაურდნენ. რაკი ისინი თავის დროზე ჩამორჩნენ კოლონიურ ძარცვაში უფრო ბედნიერ სახელმწიფოებს, ახლა ცდილობენ წინ წაიწიონ ნაცადი იმპერიალისტური გზებით.

ამის მაგალითები ყველას თვალის წინ გვაქვს.

ვინ არ იცის მანჯურიის ხელში ჩაგდების ფაქტი და ახალი დაპყრობანი ჩინეთში, რომლებიც ჯერ კიდევ არ ვიცით რით შეიძლება დამთავრდეს იმპერიალისტ ავანტიურისტებისათვის აღმოსავლეთში.

ჩვენს თვალწინ არის აბისინიის ომში ჩაგდების ავანტიურა, დაკავშირებული ახალი მსოფლიო ომის ატეხვის საფრთხესთან, რომელიც ესოდენ საშიშარია მთელი კაპიტალისტური სისტემის არსებობისათვის.

ევროპის ცენტრში ფაშისტები მოურიდებლად ხმაურობენ დაპყრობით გეგმებზე თავიანთი მეზობლებისა და ბალტიის სახელმწიფოთა ხარჯზე.

შეგვიძლია არ შევჩერდეთ ზოგიერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს დაპყრობითს ზრახვებზე საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი რამ: ინტერვენციების დრო გავიდა, ახლა ამაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლება **(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

მართალია, ჩვენმა ქვეყანამ თავისი განვითარება შედარებით დაბალი კულტურული და ტექნიკური დონით დაიწყო. განა ბატონ კაპიტალისტებს ჯერ კიდევ გუშინ თავისი კულტურისა და ტექნიკის უპირატესობით არ მოჰქონდათ თავი ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე? მაგრამ დროება იცვლება, და ძალიან მკვეთრადაც.

ოქტომბრის რევოლუცია სამართლიანად ითვლება ბოლშევიკურ რევოლუციად. ბოლშევიკებმა დიდი ლენინის მეთაურობით უზრუნველყვეს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ოქტომბრის დღეებში. ბოლშევიზმის ძალა მდგომარეობს რევოლუციის საქმის დიდ რწმენაში და მისი გზების სწორად გაგებაში. ბოლშევიზმმა, ლენინის მეთაურობით, ყოველგვარ განსაცდელში გაატარა მუშათა კლასის გამარჯვების ეს რწმენა, დაამტკიცა, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია და თვითონ მოაწყო ეს გამარჯვება. რამდენად გაადვილებულია ამით პროლეტარიატის გამარჯვება სხვა ქვეყნებში (ტაში).

ამხანაგ სტალინის დიდი როლი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობაში იმაში მდგომარეობს, რომ მან, ამხანაგმა სტალინმა, განავითარა ლენინის მოძღვრება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. და მისი ხელმძღვანელობით ბოლშევიკურმა პარტიამ, გაანადგურა რა წვრილბურჟუაზიული ოპორტუნისტები, მუშათა მასებისათვის ხელმისაწვდომი გახადა ეს მოძღვრება. (ტაში).

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მთავარი გახდა შრომის ორგანიზაციისა და მისი ნაყოფიერების საკითხი. ლენინმა განავითარა მაშინ სოციალისტური შეჯიბრების იდეები და ეს იდეები იქცევა სოციალიზმის მშენებლობის მთავარ მამოძრავებელ ძალად. მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობებმა გამარჯვება მოიპოვეს, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების საკითხი გახდა ძირითადი საკითხი არა მარტო მუშათა კლასის, არამედ საკოლმეურნეო სოფლისთვისაც.

ბოლშევიკურმა პარტიამ ყველაფერი მოიმოქმედა იმისათვის, რომ სოციალისტური შეჯიბრების ლენინური იდეები მთელი ხალხისათვის მისაწვდომი გამხდარიყო. ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი—ამხანაგი სტალინი — გახდა ნამდვილი სულისჩამდგმელი და ბელადი სოციალისტური შეჯიბრებისა, რომლის უმაღლეს საფეხურს სტახანოვური მოძრაობა წარმოადგენს (ტაში).

სტახანოვური მოძრაობა მუშათა კლასის კულტურული ძალების ზრდის მაჩვენებელია. ის ფაქტი, რომ სტახანოვური მოძრაობა სწრაფად იზრდება, მოასწავებს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს კულტურულობის ერთგვარი დაგროვება მუშათა მასებში. ჩვენ მხარს ვუჭერთ სტახანოვური მოძრაობის ყოველმხრივ განვითარებას და, მაშასადამე, მუშათა კლასში კულტურული ძალების ყოველმხრივ გადიდებას. აქედან სჩანს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სტახანოვური მოძრაობის გადაქცევას მთელი მუშათა კლასის საქმედ (ტაში).

ახლა განა არა სჩანს, რომ გამარჯვებული მუშათა კლასის ქვეყანამ იპოვა სწორი გზები ბედნიერი ცხოვრებისაკენ, რომ ეს სწორი გზებია საზოგადოებრივი შრომის მაღალი ნაყოფიერება და მშრომელთა კულტურულობა. ჯერ ჩვენ ახალი წყობილების მხოლოდ პირველი ნაყოფი გვაქვს. მაგრამ ისინი უკვე იმედს იძლევიან, რომ ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი ძალები უმაგალითო მასშტაბით აყვავდებიან. კაპიტალიზმთან შედარებამ ყოველ მშრომელს უნდა მისცეს იმისი რწმენა, რომ მათთვის არსებობს მხოლოდ ერთი სწორი გზა, — ის გზა, რომლითაც მივყვებით ჩვენ ლენინ-სტალინის პარტიას (ტაში).

ჩვენ გვახსოვს ჩვენი ქვეყნის საქმის საერთაშორისო მნიშვნელობა. ჩვენ გვახსოვს აგრეთვე ის, რომ საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ მშრომელთა შორის მრავალრიცხოვან მეგობრებთან ერთად ჯერ კიდევ ძლიერი მტრებიც გვყავს.

განა ცოტაჯერ მოიტანეს იერიში ჩვენი რევოლუციის მონაპოვართა წინააღმდეგ? ამიტომაც ჩვენ ასე ბევრს ვზრუნავთ ჩვენი საზღვრების დაცვაზე და იმაზე, რომ განმტკიცდეს ჩვენი სახელოვანი წითელი არმია (მქუხარე ტაში).

(ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში გაისმის „ვაშას" ძახილი. „გაუმარჯოს წითელი არმიის ბელადს ამხ. ვოროშილოვს"! „ვაშა").

საბრძოლო პოსტზე დგას ჩვენი დიპლომატიაც. როგორც ვიცით, თავის ამოცანებს იგი დიდი წარმატებით ასრულებს (ტაში).

შრომა და მისი ორგანიზაცია—აქ არის განსაკუთრებული ჩვენი ამოცანების კვანძი. და მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება გაბატონებულ ძალად გახდა, სოფელშიაც კი, უკვე მცირე წარმატება შრომის ორგანიზაციაში ჩვენი ძალების შესამჩნევ მატებას იძლევა. კაპიტალისტური და სოციალისტური წყობილების შეჯიბრებაში შრომის ორგანიზაციის წარმატებას და, მაშასადამე, მუშათა კლასის კულტურული კადრების ზრდას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სტახანოვური მოძრაობა გვიჩვენებს, რომ ორგანიზებულ კულტურულ შრომას ჩვენს ქვეყანაში უკვე შეუძლია ნამდვილი სასწაულები მოახდინოს. იგი გვიჩვენებს, რომ მუშათა კლასის ადამიანები, რომლებიც ახალ ტექნიკას დაეუფლნენ—აი ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების ღირსეული შემოქმედნი.

ჩვენს პირობებში შრომა გარდაქმნის ადამიანებს და აქცევს მშრომელთ ოდესღაც დაბეჩავებული, ბნელი და ნახევრადმშიერი ადამიანებიდან თავისუფალ, საზოგადოებრივ შრომაში ორგანიზებულ ადამიანებად, კულტურული ცხოვრების ბედნიერ შემოქმედებად, რაც მეტს მოვიმოქმედებთ ამ მხრივ, მით უფრო მივუახლოვდებით ჩვენი ძირითადი ამოცანის განხორციელებას — უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას.

თუ რა ბევრი რამ არის უკვე გაკეთებული საბჭოთა ქვეყნის ადამიანთა სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, ამას გვიჩვენებს სტახანოვური მოძრაობა. ეს მოძრაობა მუშათა კლასში სოციალისტური კულტურულობის ზრდის შედეგს წარმოადგენს. სტახანოვური მოძრაობა თავის მხრივ ძლიერ წასწევს წინ მასების ასეთი გარდაქმნის საქმეს. სტახანოვური მოძრაობის გაშლა შრომის თავისი მაღალი ნაყოფიერებით ჰქმნის ახალ შესაძლებლობებს მასების კეთილდღეობისა და კულტურული დონის სწრაფად ამაღლებისათვის და ამასთან ერთად ახორციელებს მასების სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანას წინათ უნახავი მასშტაბებით, ხოლო ეს უკანასკნელი შლის ჩვენს წინაშე ისეთი ბედნიერი ცხოვრების პერსპექტივებს, რაზედაც წინათ მხოლოდ ოცნება შეგვეძლო.

ჩვენ ვხედავთ, თუ რა ძლიერ აღფრთოვანებას ჰქმნის ხალხის მასებში სტახანოვური მოძრაობის ზრდა. სიმხნევისა და ენერგიის ახალი ნაკადი იგრძნობა მშრომელთა შორის ყოველ ნაბიჯზე. ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც დამხობილია კაპიტალიზმი და ზეიმობს გამარჯვებული შრომა.

საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ მილიონობით ადამიანებს ახლა ჩვენკენა აქვთ თვალი მოქცეული. მუშათა კლასის არაპარტიულ და პარტიულ ბოლშევიკთა ეს ყრილობა არც იქ ჩაივლის შეუმჩნევლად. ზოგი მტრები—მხოლოდ ჩვენს სუსტ მხარეებს ეძებენ და სურთ დარწმუნდნენ, რომ სტახანოვური მოძრაობა მტკიცე არ არის. სხვები—მეგობრები—ღრმა თანაგრძნობით აკვირდებიან ჩვენი ქვეყნის ახალ ადამიანებს, რომელნიც ახალ ბედნიერ ცხოვრებას ჰქმნიან. ეს თანაგრძნობა ჩვენთვის მეტადრე ძვირფასია. ჩვენ განვიცადეთ მისი მნიშვნელობა პირველ მძიმე წლებში.

ჩვენს ქვეყანაში განთავისუფლებული შრომის წარმატებების ზრდასთან ერთად მშრომელთა თანაგრძნობა ჩვენი საქმისადმი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ თანდათან გაიზრდება. ეს პროლეტარული თანაგრძნობა და იმ გზების გაგება, რომლებითაც ჩვენ გამარჯვებას მივაღწიეთ და შეუდრეკლად მივდივართ წინ უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, — უდიდესი ძალაა. ყოველივე ეს კიდევ უფრო მისაწვდომს და კიდევ უფრო ახლობელს ხდის სხვა ქვეყნების მუშათა გულისათვის იმას. რაც კეთდება ჩვენში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, და სხვა ქვეყნების მუშებთან ერთად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ცხოვრება, ფაქტები მეტყველებენ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ!

(ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან—გაისმის „ვაშას" ძახილი. „გაუმარჯოს ბრძენ მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! გაუმარჯოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს; გაუმარჯოს წითელ არმიას! გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს და ამხანაგ მოლოტოვს"! „ვაშას" ძახილი. მთელი დარბაზი ოვაციას უმართავს ამხანაგ სტალინს).

▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽

ფოტო ბუდეშვილისა.

ტფილისის რკინიგზის საუკეთესო სტახანოველი ამხ. მიკირტიჩიანი და თვალჭრელიძე.

სტახანოვური მოძრაობა, რომელსაც სათავეში უდგას ამხანაგი სტალინი დევისებური ნაბიჯით წავა წინ

ამხ. **ს. ორჯონიკიძის** სიტყვა სტახანოველთა თათბირზე



ამხანაგებო, მე არ მოვიყვან საანგარიშო ცნობებს მძიმე მრეწველობის მუშაობის შესახებ, ვინაიდან ახლა ეს საკითხი არ დგას დღის წესრიგში. მიმდინარე წლის გეგმას მძიმე მრეწველობა გადაჭარბებით შეასრულებს (ტაში). კიდევ მეტი, მძიმე მრეწველობის ცალკეული დარგები და ცალკეული საწარმოები ხუთწლედს 4 წელიწადში შეასრულებენ (ტაში). კიდევ მეტი, კრივოი როგის სამადნოებმა, რომლებიც იძლევიან მადანს ჩვენი სამხრეთის შავი მეტალურგიისათვის ხუთწლედი სამ წელიწადში შეასრულეს (ტაში). მთლიანად მძიმე მრეწველობა მეორე ხუთწლედს უსათუოდ ვადამდე შეასრულებს (ტაში). მაგრამ ახლა ამაზე არ არის ლაპარაკი. ამხანაგი **სტალინი** ჩვენ მუდამ გვეუბნებოდა, გეგმა ეს არის იმის მინიმუმი, რაც აუცილებლად უნდა იქნას შესრულებული, ხოლო შემდეგ, შესრულების პროცესში, გეგმაში შეტანილ უნდა იქნას კორექტივები. აი დღეს ჩვენ გაზეთებში ვკითხულობთ, რომ ჩვენმა სპილენძის მრეწველობამ შეასრულა თავისი წლიური გეგმა; წელიწადი არ დამთავრებულა, ხოლო გეგმა შესრულებულია. ორიოდე წლის წინათ ეს უაღრესად ჩამორჩენილი მრეწველობა იყო. რა მოხდა ახლა? განა იგი სანიმუშო გახდა? მე ვერ ვიტყვი, რომ ისინი ახლა ურიგოდ მუშაობდნენ. კარგად მუშაობენ. მაგრამ, თუ მათ გეგმა ორი თვით ადრე შეასრულეს, ეს იმას ნიშნავს, რომ გეგმა მინიმალური ყოფილა. ამით მე სრულიადაც არ მსურს შევამცირო იმ ამხანაგების მნიშვნელობა, რომლებიც ამ დარგში მუშაობენ.

ჩვენს წინაშე დასახულია უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა. სტახანოვური მოძრაობა. რა არის ეს მოძრაობა? რა მოხდა? აი დღემდე ჩვენ თავს ვიტეხდით, ვტრიალებდით ქვანახშირის ორგანიზაციის გარშემო და ვერაფრით ვერ შევსძელით სანგრევ უროზე მოგვეცა 6-7 ტონაზე მეტი. მუდამ ამას ვუტრიალებდით, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ვიძიებდით, სხვა ქვეყნებში როგორიაო საქმე, რამდენს იძლევიან იქ. თურმე რურში იძლევიან 14 ტონას, ინგლისში იძლევიან — 11 ტონას. ჩვენში სანგრევ უროზე ნორმა იყო 6 ტონა. და აი ერთ მშვენიერ დღეს ამხ. **სტახანოვმა**, ახლა ჩვენი ქვეყნის გმირმა, სანგრევ უროზე გვითავაზა 102 ტონა. ზოგსა ჰგონია, ერთმა კაცმა მოგვცა 102 ტონაო. ეს არ არის მართალი. მთელმა ბრიგადამ მოგვცა 102 ტონა. სტახანოვის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს. მოგვცეს 200, 300, 400 და, ბოლოს, 552 ტონაც კი. როგორ მოხდა ეს? რა მოხდა? ნუთუ მართლა ყველა ისინი, ვინც ამ საქმეს ხელმძღვანელობდნენ წმინდა წყლის რეგვენები იყვნენ და არაფერი გაეგებოდათ? რასაკვირველია, არა. ჩვენ საქმე გვაქვს სხვა მოვლენასთან, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ვლადიმერ ილიას-ძე **ლენინი** 1919 წელს ამბობდა:

„შრომის ნაყოფიერება, ეს საბოლოო ანგარიშში არის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის. კაპიტალიზმმა შექმნა ბატონყმობის დროისათვის გაუგონარი შრომის ნაყოფიერება. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და საბოლოოდ დამარცხდება კიდეც იმიტომ, რომ სოციალიზმი ჰქმნის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ შრომის ნაყოფიერებას".

„კომუნიზმი არის, კაპიტალისტურ შრომის ნაყოფიერებასთან შედარებით, იმ ნებაყოფლობით, შეგნებულ, გაერთიანებულ მუშათა შრომის უმაღლესი ნაყოფიერება, რომლებიც მოწინავე ტექნიკას იყენებენ".

აი რას ამბობდა ჩვენი პარტიის დამაარსებელი, ოქტომბრის რევოლუციის ბელადი, ჩვენი მასწავლებელი ამხ. ლენინი 1919 წელს (ტაში).

1930 წელს მისი მოწაფე, ყველა ჩვენთვის სათაყვანებელი ჩვენი სტალინი თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის მე-16 ყრილობაზე ამბობდა:

„მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ, რომ მასების ფსიქოლოგიასა და შრომასთან მის დამოკიდებულებაში მოხდა უდიდესი გარდატეხა, რამაც ძირითადად შესცვალა ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების სახე... შეჯიბრებაში ყველაზე შესანიშნავი არის ის, რომ იგი რადიკალურ გადატრიალებას ახდენს ადამიანთა შეხედულებებში შრომაზე, ვინაიდან იგი შრომას სათაკილო და მძიმე ტვირთიდან, როგორადაც იგი წინათ ითვლებოდა, ხდის ღირსების — საქმედ, სახელის საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ" (ტაში).

ამხანაგებმა **სტახანოვმა, ბუსიგინმა, დიუკანოვმა, კრივონოსმა** ვინოგრადოვმა ლენინისა და სტალინის ამ დებულებათა განსახორციელებლად მოგვცეს შრომის ნაყოფიერების ნიმუშები და უკან მოიტოვეს კაპიტალისტური ქვეყნების ყოველგვარი ნორმა. თუ არ გვექნება შრომის ნაყოფიერების ისეთი ზრდა, როგორც ამის შესახებ ლენინი და სტალინი ლაპარაკობენ, ჩვენ ვერ შევსძლებთ დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს და გავხადოთ ჩვენი ქვეყანა ისეთი მდიდარი, რომ ნამდვილად უზრუნველვყოთ შეძლებული, მდიდარი ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისათვის.

და მართლაც, თუ შრომის ნაყოფიერება არ გაიზრდება, თუ ჩვენი ქვეყანა არ გახდება მდიდარი, მაშინ რაღა სოციალიზმია ეს? განა სოციალიზმი შეიძლება აიგოს სიღარიბეზე. სიღატაკეზე? არასოდეს!

სოციალიზმს მხოლოდ მაშინ შეუძლია საბოლოოდ გაიმარჯვოს, როცა გახდება ჭარბსისხლიანი, მდიდარი, მძლავრი, როცა მთელი მოსახლეობა იცხოვრებს ისე, როგორც უნდა ცხოვრობდნენ სოციალისტური ქვეყნის მოქალაქეები. სტახანოველები იძლევიან შრომის ნაყოფიერების ასეთ ზრდას.

ჩვენ, ყოველივე ეჭვს გარეშე, შევედით განვითარების ისეთ პერიოდში, როცა საშუალება გვექნება სავსებით და მთლიანად უზრუნველვყოთ ჩვენი მოქალაქეები ისე, როგორც ისინი არსად არიან მსოფლიოში უზრუნველყოფილნი.

და მართლაც შეხედეთ, თუ რა მოხდა: ჩვენ ვფიქრობდით და ჩვენი ყოველგვარი გამოანგარიშებით დადასტურებული იყო რომ დონბასს იმ შახტების არსებობის პირობებში, რომლებიც ახლა გვაქვს, შეუძლია მოგვცეს წელიწადში 107 მილიონი ტონა ქვანახშირი, მეტის მოცემა არ შეუძლია, ხოლო სტახანოვური მეთოდის დროს ეს ციფრი მთელი საწარმოო პროცესის ჯეროვანი ორგანიზაცია თუ იქნა, — შეიძლება გავაორკეცოთ. ეს უდიდესი მიღწევა იქნება. ეს საშუალებას მოგვცემს გავათავისუფლოთ უდიდესი სახსრები იმავე დონბასისათვის. მისი მუშების, ინჟინერ - ტექნიკური ძალების — ყველა მშრომელის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ აქ შეუძლიათ მოგვცენ ასეთი შეკითხვა: დასწყევლოს ეშმაკმა, როგორ მოხდა ეს, რატომ დღემდე ვერ ვხედავდით ამას?

რას იზამ. რათა ეს საქმე განვავითაროთ, როგორც საჭიროა ისე, ეს საქმე არ შევაფერხოთ, ხოლო ჯერ-ჯერობით იგი ფერხდება, საჭიროა პატიოსნად, კეთილშობილურად აღვიაროთ, რომ ჩვენ არ ვიცნობდით ყველა იმ შესაძლებლობას, რომლებიც ახლა მოვიპოვეთ.

ზოგიერთ მუშაკმა, მძიმე მრეწველობის და მრეწველობის სხვა დარგების დირექტორებმა, ინჟინრებმა, შეიძლება გვითხრან: ერთი დამიხედეთ, ახლა ბრმებადაც გამოგვაცხადეს. სრულიადაც არა. ჩვენ შევქმენით უზარმაზარი მრეწველობა, ჩვენ ავაგეთ პირველხარისხოვანი ინდუსტრია. ჩვენ ავაშენეთ პირველხარისხოვანი ქარხნები და ფაბრიკები. ეს არის ჩვენი პარტიის, ჩვენი მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების, სამეურნეო მუშაკების საქმე. ტყუილად კი არ აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი მშენებლობის პათოსს, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგვესრულებინა პირველი ხუთწლედი ოთხ წელიწადში, და მოითხოვდა ჩვენგან შეგვეცვალა იგი ათვისების პათოსით.

ამ ათვისებისათვის ბრძოლამ, რომელშიაც ჩაბმულნი იყვნენ მუშათა მასები, საშუალება მოგვცა გადაგვეკეთებინა მოძველებული ნორმები ხოლო ჩვენი ნორმები მოძველდა იმიტომ, რომ ჩვენი მნორმავები სწავლობდნენ ჩვენი ძველი პროფესორებისა და ჩვენი ძველი მეცნიერებისაგან, რომლებიც თავის მხრით სწავლობდნენ ძველ, რევოლუციამდელ რუსეთში, ძველი ჩამორჩენილი ტექნიკის საფუძველზე.

უკეთეს შემთხვევაში ეს ნორმები მათ გადმოჰქონდათ საზღვარგარეთიდან, კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილებისგან.

სტახანოვმა აჯობა ყველა ჩვენს მეცნიერს, ევროპისა და ამერიკის მეცნიერებს. სტახანოვის ნორმა ქვანახშირის მხრივ ამერიკის ნორმაზე მაღალია.

ავიღოთ, გარდა ამისა, კიდევ შემდეგ. აი ჩვენი საუცხოო ამხანაგი ვინოგრადოვა, მანაც საბოლოოდ დაამარცხა ყველა ჩვენებური, აგრეთვე ევროპელი და ამერიკელი მეცნიერი (ტაში).

აქ გამოვიდნენ ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ფოლადმდნობი ამხ. დეგტიარევი და ტაგანროგის ანდრეევის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ფოლადმდნობი ამხ. ბობილევი, რომლებმაც ილაპარაკეს თავიანთ ბრწყინვალე წარმატებებზე — იმაზე, რომ მათ ერთი კვადრატული მეტრი ქვედიდან მიიღეს 11 და მეტი ტონა, რაც აგრეთვე უკან იტოვებს ევროპის და ამერიკის ნორმებს, რანაირსაც კი ჩვენ დღემდე ვიცნობდით. თავიანთი ასეთივე დიდი წარმატება შეუძლიათ გვიამბონ ჩვენი სხვა ქარხნების ფოლადმდნობებმაც, მებრძმედეებმა და მგლინავებმა.

როგორც ხედავთ, ძველი ნორმები დამარცხებულია... რატომ? იმიტომ, რომ ის ნორმები კაპიტალისტური იყო, ხოლო სტახანოველთა ნორმები—ეს არის ოქტომბრის რევოლუციის ნორმები, ლენინისა და სტალინის ნორმები. (მქუხარე ტაში). ამხ. ლენინი ამბობდა:

„... კაპიტალიზმმა შექმნა ბატონყმობის დროისთვის გაუგონარი შრომის ნაყოფიერება. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და საბოლოოდ დამარცხდება კიდეც, იმიტომ, რომ სოციალიზმი ჰქმნის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ შრომის ნაყოფიერებას".

აი ამ ახალ, გაცილებით უფრო მაღალ სოციალისტურ შრომის ნაყოფიერებას ჰქმნიან სტახანოვი და სტახანოველები (ტაში).

როგორია აქედან დასკვნა? ყველა სახელმძღვანელო უნდა გადავსინჯოთ და ახლებურად შევადგინოთ (სიცილი, ტაში). დიახ, ყველა სახელმძღვანელო.

ამის დასამტკიცებლად მე მომყავს ამონაწერი აკადემიკოს პავლოვის მოხსენებიდან, რომელიც მან 1932 წელს გააკეთა მაგნიტოგორსკის ქარხანაში, ეს აკადემიკოსი არის რუს მეტალურგთა მამა. თითქმის ყველა მეტალურგი, რომლებსაც განათლება რუსეთში მიუღიათ, — პავლოვის მოწაფეები არიან, ხოლო პავლოვი ამტკიცებდა:

„... 900 კუბიკური მეტრი სასარგებლო მოცულობის ღუმელის გაანგარიშების ანუ ნომინალური შრომის ნაყოფიერებას მე ვღებულობ 750 ტონას რაოდენობით, ამასთან მოცულობის გამოყენების კოეფიციენტს ვღებულობ 1,2, როგორსაც მე წინათ აღვნიშნავდი კრივოი როგის მადნის (56—58 პროც.). მადანზე მუშაობის პირობებისათვის. თუ ეს მადანი მომზადებული იქნება გამოსადნობად დამტვრეული და გაწმენდილი იქნება წვრილმანისა და მტვრისაგან, რომლებიც იკვრებიან აგლომირატად. რა თქმა უნდა, ხელსაყრელ პირობებში მუშაობის ეს კოეფიციენტი შეიძლება გადიდებულ იქნას: სავსებით შესაძლებელია მოცულობის უკეთ გამოყენება, რაც, მაგალითად, იძლევა 1.05 კოეფიციენტს, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიაღწია დიდი ნაყოფიერების ღუმელებმა. მაგრამ მე არ ვურჩევ ისარგებლონ ღუმელის სიდიდის დაწესების დროს საუკეთესო შესაძლო კოეფიციენტებით".

როგორ მოვიქცეთ ახლა? აკადემიკოსი პავლოვი და მისი მოწაფეები ლექციებს კითხულობენ ყველა ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში და ასწავლიან ჩვენს მომავალ ინჟინრებს, რომლებმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ბრძმედების მუშაობას. აკადემიკოსი პავლოვი ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მეტალურგთა შორის. და აი სანამ იგი ჩვენ გვასწავლიდა, მაკეევკის ბრძმედი, როგორც თქვენ აქ ამხ. პუშკინი მოგახსენებდათ, იძლევა კოეფიციენტს 0,87, ესეც თქვენი სახელმძღვანელო აკადემიკოსისა და, პრაქტიკოსი არააკადემიკოსისა, ოქტომბრის რევოლუციის შვილის ამხ. პუშკინისა (ტაში).

მე კიდევ მეტს გეტყვით. მაკეევკის ქარხანა ყველასათვის ცნობილი კარგი ქარხანაა, იგი საუცხოოდ მუშაობს. ხოლო ამასწინათ მე ვნახე კერჩის ქარხნის მუშაკები. ეს ქარხანა მუშაობს კერჩის ღარიბი მადანზე. კერჩის ქარხნის ბრძმედებისათვის უკლებლივ ყველა სთვლიდა კოეფიციენტს 1,50. მაგრამ იქ ოსტატმა ამხ. **იშკოვმა** კერჩის ქარხნის ღუმელზე მოგვცა კოეფიციენტი 0,99, ქარხანა დაგვპირდა, ყველა ღუმელზე მოგვცეს კოეფიციენტი არა უმეტეს 1,1-სა. ესეც კიდევ ერთი მაგალითი.

აკადემიკოს პავლოვს 1,2 კოეფიციენტის მისაღწევად აუცილებლად მიაჩნდა, აგლომერირებული მადანი პეტროვსკის სახელობის ძველი მექანიზებული ქარხანა კი დნეპროპეტროვსკში სრულიად უაგლომერაციოდ იძლევა 1,10—1,12 კოეფიციენტს. იგივე ითქმის სტალინსკის, ძერჟინსკის, ვოროშილოვსკის ქარხნებზე, რომ აღარა ვთქვათ რა, მაგნიტკასა და კუზნეცკზე, რომლებმაც ეს ძველი ნორმა გადააყირავეს.

ნიშნავს თუ არა ეს, ამხანაგებო, რომ ჩვენ კაპიტალისტური ქვეყნების ტექნიკოსებისაგან უკვე ვეღარაფერს ვისწავლით? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. ყველაფერს, რაც კი მათ მოწინავეური აქვთ, ყველაფერს, რაც კი მათ კარგი აქვთ, ჩვენ ავიღებთ, მაგრამ მტკიცედ გვახსოვდეს ისიც, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ნორმები ჩვენთვის საზღვარი როდია, და, როცა ამ ნორმებს მივაღწევთ, გავსწევთ წინ, ჩვენი გზით, ლენინისა და სტალინის გზით! (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ აქ დეგტიარევისა და ბობილევის შესანიშნავი მოწმენი ვიყავით. დღეს ძერჟინსკის სახელობის დირექტორი ამხ. მანაენკოვი ქარხნის სახელით გამოგზავნილ დეპეშაში მხარს უჭერს თავის ორატორს და ადასტურებს, ქარხანა შეასრულებს ამხ. დეგტიარევის დაპირებას კვადრატული მეტრი ქვედიდან 12 ტონის ამოღების შესახებ. (ტაში).

რას გვეუბნება ეს? ეს გვეუბნება, რომ ჩვენ უზარმაზარი შესაძლებლობა გვაქვს.

მე აქ თვითკრიტიკის წესით უნდა შევეკამათო შავი მეტალურგიის

გაგრძელება იხ. მე-4 გვ.

სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობა სოციალისტური მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის საწინდარია

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვა 15 ნოემბერს სტახანოველ მუშათა და მუშა-ქალთა პირველ საკავშირო თათბირზე*)

როგორც უკანასკნელი თვეების ბრძოლის პრაქტიკამ დაგვანახვა, ტრანსპორტზე საკმაო რაოდენობით მოიპოვებიან კარგი ადამიანები. რა თქმა უნდა, არიან ცუდი ადამიანებიც, ისე, როგორც ყველგან; შეიძლება ტრანსპორტზე უფრო მეტი იყოს ცუდი ადამიანები, ვიდრე მრეწველობაში. მაგრამ ტრანსპორტზე არიან შესანიშნავი მეომართა რაზმები მეთაურთა შორისაც, პოლიტმუშაკთა შორისაც და მემანქანეთა, საორთქლმავლო და სავაგონო დეპოების მუშათა, სატრანსპორტო ქარხნების მუშათა, კონდუქტორთა, მატარებლების შემდგენელთა, დისპეტჩერთა, კავშირგაბმულობის მუშაკთა, მეისრეთა და სხვა პროფესიების მუშაკთა შორისაც. სწორედ მათი მეცადინეობის და იმ სწორი ხაზის საფუძველზე, რომელიც მოგვცეს ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ, მოგვცა ამხანაგმა სტალინმა, ტრანსპორტის საუკეთესო ადამიანთა დარაზმვის საფუძველზე, რომელთაგან ყველაზე მოწინავენი ამ დარბაზში იმყოფებიან, ჩვენი ქვეყნის მოწინავე სტახანოველებთან ერთად, ჩვენ უკანასკნელ წელს შევძელით მიგვეღწია იმ დიდი, თუმცა არასაკმაო, წარმატებებისათვის, რომელთა შესახებაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი რკინიგზელთა მიღებაზე კრემლში 30 ივლისს.

ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების, ოლქკომების, სამხარეო კომიტეტების, ნაცკომპარტიათა ც. კ-ს და მათი მდივნების დახმარებამ დიდი როლი ითამაშა ტრანსპორტის აღმავლობასა და კრივონოსული მოძრაობის განვითარებაში.

უკანასკნელ თვეებში ბრძოლის პრაქტიკამ სასტიკად დაამარცხა „საზღვრის" გმირები და მათი, უკაცრავად პასუხია, თეორია. თქვენ იცით, რომ „საზღვრის თეორიამ" ტრანსპორტზე უფრო ღრმად გაიდგა ფესვები და უფრო მეტად გავრცელდა, ვიდრე ჩვენი მეურნეობის სხვა დარგებში. „მესაზღვრეები" ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ არსებული ტექნიკის დროს ტრანსპორტს არ შეუძლია დატვირთოს დღე-ღამეში 56 ათას ვაგონზე მეტი. მათ სურდათ თავიანთი უმსგავსო პრაქტიკა, თავიანთი ცუდი მუშაობა დაეფარათ თეორიული მსჯელობით და გამოანგარიშებით, რომ შეუძლებელია უკეთ მუშაობა. ისინი პირდაპირ სწერდნენ: „ჩვენი ტრანსპორტი უკანასკნელ დროს ზღვარულად მუშაობს... ყველა ელემენტის ზღვარულად მუშაობა იწვევს მათ არარაციონალურად გამოყენებასო". და შემდეგ: „სატვირთო მატარებლის მემანქანეს არ შეუძლია განავითაროს სისწრაფე, რამდენადაც მის განკარგულებაში არის სივრცის მცირე ნაკვეთი — ერთი გადასარბენი" და სხვ. ასეთ „საზღვრით" შეხედულებებს აპარებდნენ ბევრ სახელმძღვანელოში, „მეცნიერულ" წიგნებში, სტატიებსა და ლექციებში, სატრანსპორტო უმაღლეს სასწავლებლებში. ამ ცრუ მეცნიერებით უტენდნენ თავს ჩვენს სტუდენტებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს.

ამტკიცებდნენ, მაგალითად, რომ შეუძლებელია ქვაბის გახურების გაძლიერება, შეუძლებელია მივიღოთ „ე" სერიის ორთქლმავლის ქვაბის გახურების ზედაპირის ერთი კვადრატული მეტრიდან 30—33 კილოგრამზე მეტი ორთქლი საათში. ნამდვილად კი ამ ორთქლმავალს შეუძლია მისი გახურების გაძლიერებისას იმუშაოს ისე, რომ კვადრატული მეტრიდან საათში მოგვცეს 50—55 კილოგრამზე მეტი ორთქლი. ქვაბის გახურების შემცირებით ისინი ამცირებდნენ ორთქლმავლის სიმძლავრეს, მის სისწრაფეს აღმართებზე.

როცა ჩვენ ვამუშავებდით ორთქლმავლების გამოყენების გაუმჯობესების საკითხს, მე დავიბარე გზათა სახალხო კომისარიატის საორთქლმავლო სამმართველოს ინჟინერთა ჯგუფი და შევეკითხე — რა ტექნიკურ სისწრაფეებს აძლევთ გზებს და რა სისწრაფეები შეიძლება მიეცეთ მათ სწორად გამოანგარიშების დროს — მეთქი. ეს ცნობები გზათა სახალხო კომისარიატის აპარატში არ აღმოჩნდა. საჭირო გახდა მათი სპეციალურად გამოთხოვა გზებიდან და დეპოებიდან. და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გვქონდა ზუსტი ცნობები, რათა სწორად გამოგვეანგარიშებინა სისწრაფე ყოველი ცალკეული წევის მხრის მიხედვით, საორთქლმავლო სამმართველოს ინჟინერთა ეს ჯგუფი ამტკიცებდა, რომ 22—23 კილომეტრი ტექნიკური სისწრაფე საათში „ე" სერიის ორთქლმავლისათვის ნორმალურიაო. ხოლო აღნიშნულ ორთქლმავალთა კონსტრუქციული სისწრაფე გაცილებით მაღალია — 53 კილომეტრი. სამწუხაროდ, ასეთ უმართებულო თვალსაზრისს იცავდა იმ ახალგაზრდა ინჟინერთა ნაწილიც, რომლებმაც ახლახან დაამთავრეს საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლები. ისინი გააფუჭა „საზღვრითმა" სახელმძღვანელოებმა და „მეცნიერულმა ნაშრომებმა". სამწუხარო იყო, როცა უყურებდი და ისმენდი, თუ როგორ ამტკიცებდნენ ჩვენი საბჭოთა ადამიანები, კომუნისტებიც კი, რომლებიც ამ წიგნების მიხედვით სწავლობდნენ, რომ შეუძლებელია ავწიოთ ქვაბის გახურება, შეუძლებელია გავადიდოთ ტექნიკური სისწრაფეო. როცა ასეთი დავა სწარმოებდა და ინჟინერთა ნაწილი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ტექნიკურად შეუძლებელია სისწრაფის გაძლიერება და ქვაბის გახურების გადიდება, რომ ეს ზიანს მიაყენებს ორთქლმავალსო, ზოგიერთი მერყევი კომუნისტები — მეთაურები, რომლებიც არ იცნობენ ტექნიკას და რომლებიც არ არიან მიჩვეულნი ჩასწვდნენ საკითხის სიღრმის, ქედს იხრიდნენ ამ „ტექნიკური" დასაბუთების წინაშე.

ჩვენ სხვანაირად მოვიქეცით და უშუალოდ მუშებს მივმართეთ. ამხანაგი სტალინი ჩვენ მუდამ გვასწავლის: თუ გინდა შეისწავლო საქმე, დაეუფლო ტექნიკას, პირველ რიგში მიმართე იმას, ვინც უშუალოდ მუშაობს ამ საქმეზე დაზგასთან, ტრაქტორთან, მინდვრად; მიმართე მუშას, გლეხს, გამოიჩინე უნარი გამოჰკითხო მას, გაიგო სულ მცირე დეტალებიც კი და ყველაფერიდან სწორი დასკვნები გამოიყვანო. მე მიხდებოდა ამხანაგ სტალინის ამ მითითების გამოყენება კოლექტივიზაციის გამო, ტრაქტორების რემონტის გამო სოფლად გამგზავრების დროს. გავატარეთ იგი ორთქლმავალთა გამოყენების გაუმჯობესების საქმეში. მოვაწყვეთ მთელი რიგი საუბრები მემანქანეებთან, კერძოდ მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის შემრჩევ სადგურში. ვეკითხები მემანქანეებს — რა ტექნიკური სიჩქარის განვითარება შეიძლება — მეთქი. ნაწილი ყოყმანობს, მიპასუხებს: 24—26 კილომეტრისო. აღმოჩნდა მემანქანეების ჯგუფი, რომლებმაც სთქვეს: 30—35 კილომეტრის გავლა შეიძლებაო. მაშინ ეს სიჩქარე უმაგალითოდ, მიუღწევლად ითვლებოდა.

ბევრი მემანქანე იცავდა დაბალ ტექნიკურ სიჩქარეს, რადგან ასეთ შემთხვევაში უფრო გულდამშვიდებით შეიძლება მუშაობაო. ისინი ასე მსჯელობდნენ: სადგური ნახევარი საათით გამაჩერებს, მე სარეზერვო ტექნიკური სიჩქარე მაქვს, 30—35 კილომეტრს განვავითარებ და გაცდენას ავანაზღაურებო. ისინი არ ებრძოდნენ ექსპლოატაციისა და სხვა დარგთა მუშაკების უხეირო მუშაობას. როცა ჩვენ მემანქანეების წინაშე დავსვით საკითხი, რომ საჭიროა ბრძოლა მატარებელთა სწრაფი მიმოსვლისათვის, რომ ეს არა მარტო აუცილებელია ტრანსპორტისათვის, არამედ სასარგებლოა მემანქანეებისათვისაც რადგანაც მათ ხელფასს ადიდებს, ზედმეტ მუშაობას სპობს — მეთქი, — მემანქანეთა საუკეთესო ნაწილმა ამას მტკიცედ დაუჭირა მხარი.

მემანქანე პეტრე კრივონოსის დიდი დამსახურება ის არის, რომ მაშინ, როცა ბრძოლა სწარმოებდა მეზღვარეებთან მაღალი ტექნიკური სიჩქარის აღიარებისათვის, მან პირველმა მთელს ქსელში პრაქტიკულად იერიში მიიტანა ქვაბის გახურების „საზღვრის" თეორიაზე, გაარღვია კონსერვატორების ფრონტი და დაგვანახვა, რომ შეიძლება საგრძნობლად უფრო გავახუროთ ქვაბი და რომ შეიძლება განვავითაროთ არა 23, არამედ 40—50 კილომეტრი ტექნიკური სიჩქარე (ტაში).

სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობა სწორედ იმით არის შესანიშნავი, რომ მოწინავე ადამიანები, რომლებიც არავის მისცემენ ნებას სახელმწიფო მოატყუოს, რომლებსაც სურთ ჩვენი სამშობლოს ძალა და ძლიერება განამტკიცონ, — ეს მოწინავე ადამიანები თვითონ იწყებენ ჩამორჩენილ მეთაურთა „წაბიძგებას", იძულებულს ხდიან ზოგიერთ ჩვენს მეთაურსა და ინჟინერს გარდაიქმნან, უფრო სწრაფად გასწიონ წინ. მე არ მინდა ვთქვა, რომ ყველა ჩვენი ინჟინერი ჩამორჩენილი ადამიანებია. ყველას ხელაღებით ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავაწბილებთ. არის ბევრი შესანიშნავი ინჟინერი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ტრანსპორტზე ზოგიერთი საუკეთესო ინჟინერი დაჩრდილული იყო. ასეთები ისხდნენ და პრაქტიკულად მძიმე მუშაობას ეწეოდნენ, ხოლო ისინი, ვინც ტონს იძლეოდა, წიგნაკებს სწერდნენ, ლექციებს კითხულობდნენ. ასეთი ადამიანები მთელი ჯგუფი იყო. ისინი ერთმანეთს მხარს უჭერდნენ, ერთმანეთს იცავდნენ. ეს ადამიანები შეგნებულად ამტკიცებდნენ, რომ ორთქლმავლები ჩვენში ისეთია, სადგურები ისეთია, ლიანდაგი ისეთია, ვაგონები ჩვენში ისეთია, კავშირგაბმულობა და სიგნალიზაცია ისეთია, რომ დღეღამეში 56 ათას ვაგონზე მეტს ვერ დავტვირთავთო. ცხოვრებამ, 1935 წლის ბრძოლის პრაქტიკამ სასტიკად დაამარცხა და გააბახა ისინი.

კრივონოსულმა მოძრაობამ, ამხილა რა „საზღვრის" გმირები, ამავე დროს ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგებში უნდა წამოსწიოს საუკეთესო ძველი და ახალი ინჟინრები, რომლებსაც თავისი ცოდნითა და გამოცდილებით ბევრ რამეში შეუძლიათ დაეხმარონ კრივონოსელებს.

კრივონოსული მოძრაობა ყველაზე უფრო ფართოდ გაიშალა ორთქლმავალთა მემანქანეებს შორის. მარტო დონეცის გზაზე უკვე ათასამდე არიან ისეთი მემანქანეები, რომლებიც დადგენილ ტექნიკურ სიჩქარეს გადაჭარბებით ასრულებენ.

მე შემეძლო კიდევ ათობით და ასობით დამესახელებინა საუკეთესო მემანქანე-კრივონოსელები: აქ გამოსულნი ამხანაგები ომელიანოვი, ოგნევი, ზაიცევი, შემდეგ ამხ. მარკოვი — ტულის დეპოდან, ამხ. მახოვსკი სამხრეთის გზის ოსნოვას დეპოდან — სამხრეთის გზაზე კომერციული სიჩქარის გადაჭარბებით შესრულებისათვის შეჯიბრების მოწყობის ინიციატორი; ამხ. ბაბაიცევი და ბელიაევი მოსკოვ-ყაზანის რკინიგზიდან; ამხ. ივანოვი მოსკოვ-ბელორუსია-ბალტიის რკინიგზიდან; ამხ. სტრელკოვი, ნეტუპაევი, ბოგდანოვი და მრავალი სხვა.

ზოგიერთი ახალგაზრდა მემანქანე მოგვითხრობს, რომ ისინი ძველ მემანქანეთა ნაწილის მხრივ წინააღმდეგობას ხვდებიან. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობა უკვე მოხუც მემანქანეებსაც ედება. მუშური ოჯახიდან გამოსულ ახალგაზრდა ბიჭიერ კრივონოსთან ერთად (იგი სულ 25 წლისაა). აქ ესწრება აზოვ-შავიზღვის გზის [illegible] მემანქანე ამხ. [illegible] 60 წლ[illegible] მაც ერთერთმა პირველმა გვიჩვენა მაღალი ტექნიკური სიჩქარისა და ორთქლმავლით მოწინავე სვლის ნიმუში (დამსწრენი ფეხზე დგებიან და მიესალმებიან ამხ. იაბლონსკის). ზოგიერთი ძველი მემანქანე, როგორც, მაგალითად, ამხანაგი ილინი აზოვ-შავიზღვის რკინიგზის კრასნოდარის დეპოდან, პირველ ხანებში კრივონოსულ მოძრაობას სკეპტიკურად მოეკიდა, მაგრამ შემდეგ საუკეთესო მემანქანეთა სვლის პრაქტიკამ ისინი შეაყოყმანა და თანდათანობით კრივონოსელთა რიგებს დაუახლოვა. ამჟამად ამხ. ილინი, მაგალითად, ერთნახევარჯერ აჭარბებს დაწესებულ ტექნიკურ სიჩქარეს და გახდა კრივონოსული სვლის საუკეთესო აგიტატორი.

*) დასაწყისი იხ. „კომუნისტის" 18 ნოემბრის ნომერში

26 კომუნარის სახელობის ქარხნის სტახანოველები: ამხ. პოლოსოვი, შ. შაილაშვილი, ზუბიაშვილი და ზაკამოლდინი.

მოწინავე რკინიგზელთა, უწინარეს ყოვლისა მემანქანეთა ბრძოლის შედეგად, ტექნიკური სიჩქარე მთელს ქსელში საერთოდ ოქტომბერს ავიდა 27,4 კილომეტრამდე საათში, რაც 21,7 პროც. აღემატება 1934 წელს საშუალოდ არსებულ სიჩქარეს. ცალკეულმა გზებმა, როგორც, მაგალითად, დონეცის, ეკატერინეს, სამხრეთ - დასავლეთის, ჩრდილოეთ - კავკასიის და მოსკოვ-ბელორუსია-ბალტიის გზებმა, მოგვცეს ტექნიკური სიჩქარის კიდევ უფრო მეტი ზრდა.

მანქანები რომ უკეთ გამოგვეყენებინა და შევბრძოლებოდით ზედმეტ საათებში მუშაობას, რაც მემანქანეთა მუშაობაში უბედურებას წარმოადგენდა, ჩვენ გაწყვილებული სვლიდან გადავედით გასამებულ სვლაზე, ე. ი. ორთქლმავალზე ორი ბრიგადით მუშაობიდან სამი ბრიგადით მუშაობაზე. იყო იმის შიში, რომ გასამებული სვლისათვის მემანქანეები არ გვეყოფოდა, მაგრამ შრომის ნაყოფიერების აწევამ, უწინარეს ყოვლისა ტექნიკური სიჩქარის გადიდებამ საშუალება მოგვცა მეტი მუშაობის დროს თავი გაგვეტანა საორთქლმავლო ბრიგადების ნაკლები რაოდენობით. მაგალითად, დონეცის გზაზე 1935 წლის 1 იანვრისათვის გაწყვილებული სვლის დროს საჭირო იყო 2.829 საორთქლმავლო ბრიგადა, ხოლო 1 ნოემბრისათვის, მეტი მუშაობისა და გასამებული სვლის დროს, საჭიროა სულ 2.490 ბრიგადა. ქსელში საგრძნობლად გადიდდა ორთქლმავალთა საშუალო სადღეღამისო გარბენა, რომელმაც ოქტომბერში მიაღწია 230 კილომეტრს, რაც 36,4 პროც. აღემატება 1934 წლის საშუალო სადღეღამისო გარბენას (168, 5 კილომეტრი). ორთქლმავლის მემანქანეების ზედმეტ სამუშაოებს ბოლო ეღება.

ახლა მემანქანე ნორმალურად მუშაობს, — არა უმეტეს 192 საათისა თვეში, ხოლო მოკლეგადასარბენებიან სადგურებზე — 8 საათს დღეღამეში. თავისთავად ცხადია, რომ ნორმალური დასვენება და დაუღალავი ყურადღება ხელს უწყობენ შრომის უნარიანობისა და სიფხიზლის ამაღლებას. რა თქმა უნდა, ახლაც, გრაფიკის დარღვევის გამო, სადგურებზე მეტისმეტი გაცდენების გამო, მემანქანეები მრავალ საათს ტყუილად სცდებიან და სამუშაო დღე ირღვევა. მაგრამ მაინც გაცდენები მკვეთრად შემცირდა იმასთან შედარებით, რაც იყო ოქტომბრამდე, მატარებელთა მოძრაობის ახალი გრაფიკის შემოღებამდე. მემანქანეების ხელფასი დეპოების უდიდეს უმრავლესობაში თვალსაჩინოდ გაიზარდა. მემანქანე საშუალოდ ნორმალური სამუშაო დღისათვის თვეში ღებულობს 100—150 მანეთით იმაზე მეტს, რასაც იგი ზედმეტ სამუშაოებთან ერთად ღებულობდა, ხოლო საუკეთესო მემანქანეები ათას მანეთსაც აკეთებენ. მაგრამ შეეძლოთ უფრო მეტი მიღწევები ჰქონოდათ, მეურნეობის დანარჩენი დარგები რომ უკეთ მუშაობდნენ. ტექნიკური სიჩქარე ეფექტს მაშინ იძლევა, როცა მატარებელთა გაშვება სადგურებზე, მათი შედგენა და გადამუშავება ორთქლმავალთა მუშაობის დონეზე დგას.

III

სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობა უზრუნველყოფს სტალინის დავალების დღელამეში 80.000 ვაგონის დატვირთვის—შესრულებას

როგორც ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, „ტრანსპორტი — ეს კონვეიერია", სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეული მუშაკის, თვითეული ხრახნის მუშაობას. მემანქანეს შეუძლია მაღალი ტექნიკური სიჩქარე განავითაროს, მაგრამ თუ მას შეაჩერებენ დახურულ სემაფორებთან ან სადგურებზე, მისი მაღალი სიჩქარის შედეგი ნოლამდე იქნება დაყვანილი. საჭიროა ყველა დარგის, ყველა პროფესიის შეთანხმებული, შეწყობილი მუშაობა დატვირთული ვაგონების ნორმალური წინწაწევისა და სათანადო სიჩქარის უზრუნველსაყოფად.

საუბნო სისწრაფე ქსელში ოქტომბერს იმატა 18,6 კილომეტრამდე საათში. ეს შარშანდელი საშუალო წლიურ საუბნო სისწრაფეზე მეტია 31 პროცენტით. (14,2 კილომეტრი). 1935 წლის სექტემბერთან შედარებით, საუბნო სისწრაფემ იმატა 10 პროც. ამას ხელს უწყობდა მატარებელთა მოძრაობის ახალი გრაფიკი, რომელიც 1 ოქტომბრიდან არის შემოღებული. ძველ გრაფიკებშიაც ჰპოვეს თავისი გამოხატულება „საზღვრითმა" დებულებებმა.

ნაწილების შეთანხმებული მუშაობა, უწინარეს ყოვლისა, ცხრილით განიზომება. გრაფიკი, ან მარტივად რომ ვთქვათ, მატარებლების ცხრილი განსაზღვრავს მატარებელთა გაშვების რიგითობას და წესს. სადგურებს შორის გადასარბენებს ხომ აქვთ განსაზღვრული გამტარუნარიანობა. აი, მაგალითად, ძველ გრაფიკებში ძალიან ხშირად შეტანილი იყო, ვთქვათ 100 მატარებელი, და ეს იმ დროს, როცა ამ უბანზე ფაქტიურად იყო არა უმეტეს 40 მატარებლისა. და რეალური მატარებლები იძულებული ხდებოდნენ უსაქმოდ გაჩერებულიყვნენ სადგურებზე მხოლოდ იმიტომ, რომ გრაფიკებით გათვალისწინებული იყო სხვა არარსებული, მითიური მატარებლები. ვღებულობდით სრულიად შეუწყნარებელ დომხალს, მატარებლების დაგვიანებას. სხვა ადგილას, პირიქით, საჭირო იყო 50 რეალური მატარებლის გატარება; მაგრამ გამტარუნარიანობას ხელოვნურად ამცირებდნენ, გრაფიკით ითვალისწინებდნენ, ვთქვათ, მარტო 40 მატარებლის გაშვებას და ამით ზღუდავდნენ დატვირთვას და ტვირთზიდვას. ჩვენ გულდასმით გადავათვალიერეთ ყველა გრაფიკი, გამოვყავით მუდმივ მიმოქცევაში მყოფ მატარებელთა ძირითადი ბირთვი, შევქმენით მათთვის, პირველ რიგში პირდაპირი მარშრუტებისათვის, სვლის საუკეთესო პირობები, დავაწესეთ სატვირთო მატარებელთა საერთო საქსელო ცხრილი, რაც დღემდე არ ყოფილა (არსებობდა ცხრილი მხოლოდ სამგზავრო მატარებლების).

წინათ ხდებოდა ისე, რომ, როცა საჭირო იყო დაჩქარებული წესით გაგვეგზავნა რაიმე ტვირთი, მაგალითად ბამბა, მოსკოვის ფაბრიკებისათვის, ბამბის მარშრუტების წაწევა ტაშკენტიდან გვიხდებოდა სამხედრო გრაფიკით. წელს ბამბის მარშრუტებს ვგზავნიდით სატვირთო მატარებელთა ჩვეულებრივი გრაფიკით. ხოლო სვლის სისწრაფეს ვიძლევით თითქმის ისეთივეს, როგორც გასულ წლებში სამხედრო მატარებლების გრაფიკით.

ახალი გრაფიკით ლიკვიდირებულია უსარგებლო გაჩერება. კერძოდ [illegible] 282 [illegible] და 104 [illegible] უნდა. ჯერ კიდევ ახალ გრაფიკებშიც არის საკმაო ხარვეზები და დეფექტები. ჩვენ ახლა გულმოდგინედ ვსწავლობთ შემოღებული გრაფიკების პრაქტიკას, რათა გაზაფხულისათვის გადავამუშაოთ ისინი და დავაწესოთ გრაფიკები, ზუსტად გამოანგარიშებული მატარებელთა იმ რაოდენობის მიხედვით, რომლებიც რეალურად მიმოდიან.

ამჟამად ჩვენს საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა გრაფიკების ზუსტად დაცვისათვის, იმისათვის, რომ მატარებლებმა მტკიცედ იარონ ცხრილის მიხედვით. თქვენ იცით, რომ დღემდე ჩვენში სამგზავრო მატარებლებიც იგვიანებენ, ხოლო სატვირთო მატარებლები უკანასკნელ დრომდე დადიოდნენ უცხრილოდ. ან, როგორც ამბობდნენ, „დისპეტჩერის გრაფიკით", ხოლო ნამდვილად ცალკეულ მუშაკთა ნება-სურვილზე. გრაფიკი და მატარებელთა მოძრაობის ცხრილები უნდა იყოს ტრანსპორტის მუშაობის რკინის კანონი. მაგრამ არ კმარა მარტო ამის გამოცხადება. გრაფიკისა და ცხრილისათვის საჭიროა ხანგრძლივი შეუპოვარი ბრძოლა, საჭიროა რკინიგზის ტრანსპორტის ყველა ნაწილის შეთანხმებული მუშაობა, საჭიროა ისეთი გარკვეული და წესიერი მუშაობა, რომლის დროსაც მატარებლები მართლა გაშვებულ იქნებიან თავის დროზე და ზუსტად დადგენილი წესით.

ახლა ეს ჯერჯერობით ძალიან ნაკლებად არის მიღწეული. მატარებლების გაცდენა საუბნო სადგურებზე მატარებლების შესადგენად და ხელახლა შესადგენად, დასატვირთავად და გადმოსატვირთავად საგრძნობლად აღემატება დაწესებულ ნორმებს. შარშანდელთან შედარებით, ჩვენ შევძელით შეგვემცირებინა ერთი ვაგონის გაცდენა საუბნო სადგურებზე საშუალოდ 14 პროცენტით და სატვირთო ოპერაციების დროს (დატვირთვის და გადმოტვირთვის დროს) — საშუალოდ 16 პროცენტით. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. სადგურების მუშაკები მძლავრად უნდა ამოძრავდნენ. სადგურების მუშა კრივონოსელთა — მატარებლების შემდგენელთა კოლუბარის (იასინოვატაიას სადგური, ეკატერინეს რკინიგზა), დრევალის (კრასნი ლიმანის სადგური, დონეცის რკინიგზა), კანტორის ტექნიკური თანამშრომლის დიდენკოს (ლუგანსკის სადგური, დონეცის გზა) და მრავალი სხვათა მაგალითი მოწმობს, გაცდენათა შემცირების რა უდიდესი რეზერვები არ არის ჯერ კიდევ გამოყენებული მატარებელთა შედგენის, დანიშვნის, მიღებისა და სხვ. საქმეში.

ახლა ჩვენთან, ტრანსპორტზე სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობა ედება არა მარტო მემანქანეებს, არამედ მატარებელთა შემდგენლებსაც, კონდუქტორებსაც, მეისრეებსაც, ლიანდაგის მორიგეებსაც, რემონტის და სხვა მუშებსაც. ეს ძალიან სასიხარულოა, ვინაიდან ეს პროფესიები ჩამორჩებოდნენ მემანქანეებს.

უკანასკნელ დროს კრივონოსელთა რიგებში ჩადგნენ მთელი რიგი კონდუქტორები, რომლებიც წარმატებით იბრძვიან მაღალი კომერციული, ან საუბნო სისწრაფისათვის (ტექნიკური სისწრაფე — ეს არის გადასარბენებზე მატარებლის მოძრაობის სისწრაფე, რომლის დროსაც მხედველობაში არ არის მიღებული გაჩერებანი საშუალედო სადგურებზე, ხოლო საუბნო — კომერციული სისწრაფე — ეს არის ერთი საუბნო სადგურიდან მეორე სადგურამდე მატარებლის სვლის სისწრაფე, რომლის დროსაც მხედველობაში მიღებულია გაჩერებანი საშუალედო სადგურებზე). აი, მაგალითად, დონეცის გზის კრასნი-ლიმანის რეზერვის მთავარი კონდუქტორი ამხ. ვორონა. სამგზავრო მატარებლების ეს ძველი კონდუქტორი ისე გაიტაცა ბრძოლამ სატვირთო მატარებლის მიმოსვლის დაჩქარებისათვის, რომ მან თავისი 50 წლის ჰასაკის მიუხედავად, მიატოვა საკლასო ვაგონების კუპე და გადავიდა სატვირთო მატარებლის სამუხრუჭე ბაქანზე. ნაკრებ მატარებლებზე მან მოგვცა დაწესებულ სისწრაფეზე თითქმის ერთიორად მეტი კომერციული სისწრაფე (17 კილომეტრი საათში, ნაცვლად დაწესებული 9,8 კილომეტრისა საათში). დონეცის გზაზე უკვე გვყავს დაახლოებით 500 კრივონოსელი კონდუქტორი. მათი შრომის ნაყოფიერების გადიდებამ საშუალება მისცა გზას დიდი მუშაობის დროს შეემცირებინა ბრიგადების რაოდენობა თითქმის 25 პროცენტით. თუ 1935 წლის ივლისში გზას ჰყავდა კონდუქტორთა 3.200 ბრიგადა, იმავე წლის ოქტომბერში ჰყავს 2.500 ბრიგადა. კონდუქტორთა ბრიგადების ასეთივე შემცირებას ვხედავთ სხვა გზებზედაც.

შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი კრივონოსელი კონდუქტორები — ამხ. ორლოვი და ანდრეევი ოქტომბრის რკინიგზის დნოვის რეზერვიდან, ამხ. სერგეევი მოსკოვ-ბელორუსია - ბალტიის რკინიგზის პირველი განყოფილებიდან, ამხ. ანნა იაკობის ასული ანდრეიუკი მოსკოვის საოლქო რკინიგზიდან და სხვა.

კრივონოსულ-სტახანოვურ მოძრაობაში ჩაბმას იწყებენ დისპეტჩერებიც. აქ უკვე გამოვიდა ერთერთი საუკეთესო დისპეტჩერი ამხ. ზაკორკო-ეკატერინეს რკინიგზის მე-2 განყოფილების დისპეტჩერი. მან საგრძნობ წარმატებებს მიაღწია საუბნო სისწრაფის გადიდებასა და მტკიცე ცხრილის მიხედვით მატარებელთა გაშვებაში.

ამას მან მიაღწია შრომის სწორი ორგანიზაციით და ადამიანთა განაწილებით. იმისათვის, რომ სწორად მოეწყო შრომა და განეწილებინა ადამიანები, მან, უწინარეს ყოვლისა, შეისწავლა ადამიანები თავის უბანზე, დაწყებული მეისრით და გათავებული სადგურის დისპეტჩერით. მას აინტერესებდა თავისი უბნის სადგურის ყოველი ცვლის მაჩვენებლები, აგრეთვე მთავარი კონდუქტორებისა და მემანქანეების ხელფასი. და როცა ამ მუშაკებმა დაინახეს, რომ იგი ზრუნავდა მათი მაჩვენებლების შესრულებაზე, მათ უფრო კეთილსინდისიერად და წესიერად იწყეს მუშაობა.

წინათ, მაგალითად, მატარებელი მოდიოდა სადგურზე, სადგურმა არ იცოდა, საით მიდიოდა ტვირთი და სად მიეღო იგი. ამხ. ზაკორკო წინასწარ აცნობებს ხოლმე სადგურებს მატარებლის გამოსვლამდე იმისათვის, რომ სადგურმა შესძლოს დროზე დაამზადოს მარშრუტი, თავის დროზე გაალოს სემაფორი. ამით მან სრულიად აღმოფხვრა მატარებლების გაჩერება სემაფორთან.

ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი დიდი სამეურნეო და ორგანიზაციული ნაკლი. ჩვენში ბევრია მარცხისა და ავარიების შემთხვევები. ეს მოწმობს რკინიგზის მეურნეობის ყველა დარგისა და ყველა პროფესიის ნაკლოვანებებს. ჩვენ უხეირო მდგომარეობა გვაქვს განსაკუთრებით სალიანდაგო მეურნეობაში, მაგრამ სალიანდაგო მეურნეობაშიც უკვე გვყავს კრივონოსელები, როგორც, მაგალითად, ზაბაიკალიეს რკინიგზის ოსტატი ამხ. პოგრებნოი, რომელმაც მიაღწია თავისი უბნის სანიმუშო მდგომარეობას. საორთქლმავლო და სავაგონო მეურნეობაში — რემონტის, საბორბლე მეურნეობასა და ქარხნებში ჩვენ არ გამოგვიყენებია ჩვენი რეზერვები, განსაკუთრებით ექსპლოატაციის დარგში.

მაგრამ ახლა ვხედავთ, თუ როგორ იძლევიან „ვიწრო ადგილების" წინააღმდეგ ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლის მაგალითს სტახანოველ - კრივონოსელები სარკინიგზო მეურნეობის ყველა დარგში. ქარხანა „მოპერეჟის" ხარატი ამხ. ინშაკოვი გვიამბობდა, თუ როგორ მიაღწია მან წარმატებებს „გოგენშაიდტის" დაზგაზე ბორბლების გამოჩარხვის მხრივ, თუ როგორ აიყვანა მან გამოჩარხვა 23 წყვილ ბორბლამდე იმ დროს, როცა ნორმით გათვალისწინებული იყო 8 წყვილი და ფაქტიურად სრულდებოდა 6 წყვილი. ახლა „მოპერეჟის" ქარხანაში ფართო კრივონოსული მოძრაობა გაჩაღდა, რამაც საგრძნობლად გააძლიერა ქარხნის პროდუქცია დეფიციტური ბორბლების გამოშვების მხრივ. მასტიუკოვი, მოროზი და ასობით სხვა კრივონოსელები — რემონტის მუშები იძლევიან შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდების, რემონტის ხარისხის გაუმჯობესების, განმეორებითი საორთქლმავლთშორისო გეგმის გარეშე რემონტის აღმოფხვრის საუცხოო ნიმუშებს.

ბოლოს, ჩვენ ვცდილობთ შევავსოთ ხარვეზი ახალი რკინიგზის ხაზების და მეორე ლიანდაგების მშენებლობაში.

აქ ჯერ კიდევ ბევრია მოუქნელობა, მშენებლობის გაჭიანურება, სიძვირე, მაგრამ ჩვენ უკვე წელსაც გვქონდა ისეთი მშენებლობა, სადაც ასობით ადამიანები კრივონოსულად მუშაობდნენ.

მალუიკ-ბალაშოვ-პენზის უბანზე წელს ჩვენ 4 თვის განმავლობაში დავაგეთ ახალი მეორე ლიანდაგი გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე წინათ: თუ შარშან 4 წლის განმავლობაში დაგებული იყო 257 კილომეტრი მეორე ლიანდაგი, წელს 4 თვის განმავლობაში დაგებულია 470 კილომეტრი მეორე ლიანდაგი (ტაში).

თავიანთი მუშაობით რკინიგზელებმა უკანასკნელი თვეების განმავლობაში საქმით გამოააშკარავეს „საზღვრითი თეორიის" მთელი უმწეობა და დაგვანახვეს, თუ რა უდიდესი რეზერვები გვაქვს უკვე არსებული ტექნიკის, ორთქლმავლების, სავაგონო მოწყობილობის გამოყენების საქმეში.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ გაძლიერებით ვაიარაღებთ რკინიგზის ტრანსპორტს, ვატარებთ მის ტექნიკურ რეკონსტრუქციას. 1 ნოემბრიდან ჩვენ გადავედით მთლიან ავტომამუხრუჭებაზე. რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ მოვაწყეთ ვაგონების სარემონტო 200 პუნქტი, რომლებიც საგრძნობლად აძლიერებენ ვაგონების რემონტის ბაზას. მთელ რიგ საორთქლმავლო დეპოებში ჩვენ გადავდივართ ორთქლმავლების თბილით გარეცხვაზე, რაც საგრძნობლად აჩქარებს გარეცხვის პროცესს. წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სალიანდაგო მეურნეობის ხაზითაც. პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის მზრუნველობით რკინიგზის ტრანსპორტმა წელს მიიღო დიდძალი ახალი მოწყობილობა და გააუმჯობესა თავისი მატერიალური მომარაგება.

ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, რომ ის, რასაც ჩვენ ვტვირთავთ, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ჩვენი ქვეყნის დასაკმაყოფილებლად. ამხანაგი მიქოიანი აქ ლაპარაკობდა, მრეწველობის ჩემმა დარგმა უკვე მოახდინა საბარათო სისტემის ლიკვიდაციაო. ეს არის მთელი ჩვენი ქვეყნის გამარჯვებათა შედეგი, კვების მრეწველობის გამარჯვება (ტაში).

ტრანსპორტზე ჩვენ ჯერ კიდევ ვეგმავთ ყოველ ტვირთს. მართალია ჩვენ უკვე გადაჭარბებით ვასრულებთ გეგმას, მაგრამ, სამწუხაროდ, სატვირთო მოძრაობაშიც და სამგზავრო მოძრაობაშიც ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ნორმები, რიგები. განსაკუთრებით ჩვენ ჯერ კიდევ მთლიანად არ მოგვისპია „საბარათო სისტემა" სამგზავრო მოძრაობაში— არ მოგვისპია რიგები ადგილისათვის სამგზავრო მატარებელში. ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ ეს სიძნელეები. განვავითაროთ სატვირთო და გავაუმჯობესოთ სამგზავრო მოძრაობა.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ წინ გველოდება მრავალი სიძნელე. საჭიროა ხელახლა აღვზარდოთ ადამიანები. განვაგრძოთ ტრანსპორტის ტექნიკური შეიარაღება და ხელახალი შეიარაღება.

ამხანაგ სტალინის მიერ საკითხის დაყენების და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ორჯონიკიძის გადამწყვეტი მტკიცე დახმარების წყალობით, წელს რკინიგზის ტრანსპორტმა მრეწველობისაგან მიიღო 80 ათასი ახალი ვაგონი ორღერძოვანი გამოანგარიშებით (ტაში).

ჩვენი მძიმე მრეწველობისაგან ჩვენ ვღებულობთ ახალ ორთქლმავლებს „ფდ" და ტრანსპორტის სხვა სახის ტექნიკურ შეიარაღებას. იმედი გვაქვს, რომ ტრანსპორტისათვის ყოველგვარ საჭირო მოწყობილობას მივიღებთ ჩვენი სახელოვანი მძიმე ინდუსტრიისაგან, რომელსაც ჩვენი ორჯონიკიძე ხელმძღვანელობს (მქუხარე ტაში).

ეს გვაძლევს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენ უმოკლეს ვადაში კიდევ უფრო მეტად გავაუმჯობესებთ ჩვენს მუშაობას და უეჭველად დავტვირთავთ უფრო მეტს, ვიდრე ამჟამად ვტვირთავთ.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა რთულია, მასში უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე დარგში, საჭიროა რკინიგზის მექანიზმის ყველა ნაწილის გარკვეული, შეთანხმებული მუშაობა. მუშაკებმა, დიდებმაც და პატარებმაც, უნდა იმუშაონ როგორც მექანიზმის საუკეთესო ნაწილებმა, ვინაიდან ყოველი პატარა ხრახნი სწყვეტს საქმის ბედს. ავიღოთ მარცხთა საკითხი. ქსელის თუგინდ 90 პროცენტმა რომ კარგად იმუშაოს (ჩვენი ქსელის მანძილი ხომ 80 ათას კილომეტრს აღემატება) სადმე პატარა სადგურზე თუ მეისრემ სწორად არ გადაიყვანა ისარი, ამას მოჰყვება მატარებლის მარცხი, შეიძლება დაიმსხვრეს რამდენიმე ათეული ვაგონი. რამდენიმე ათეული საათი დაგვჭირდება, რომ აღვადგინოთ გზა, მოძრაობა. ხოლო ხშირად საქმე არც ისე ჩაივლის, თუ ამას არ მოჰყვა მსხვერპლი — მოკლულები და დაჭრილები. აი რა მნიშვნელობა აქვს ყოველ პატარა ხრახნს. აი ამიტომ ტრანსპორტზე საჭიროა ბრძოლა იმისათვის, რომ ყველა ადამიანი იყოს ნამდვილი კრივონოსელი, რომ ყველა ადამიანი იყოს ნამდვილი სტახანოველი. ჩვენთან არ შეიძლება იყვნენ და არც უნდა იყვნენ დოყლაპიები, არ უნდა იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ბრმად მუშაობენ. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვყავნან.

ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — ის, რომ ისეთ პოსტებზე, როგორიც მეისრეობაა, ადამიანებმა იმუშაონ პატიოსნად, სულითა და გულით, თავდადებულად, ისე როგორც მუშაობენ ომსკის სადგურის მეისრე ქალი ამხ. ნეუდახინა და ასობით სხვა მეისრე კრივონოსელი.

ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ კრივონოსელებს დოყლაპიებისა და მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ უნდა გამოვამჟღავნოთ მტრები.

რკინიგზის ტრანსპორტის სტახანოველებმა — კრივონოსელებმა ერთსულოვნად დაადასტურეს თავიანთ საგზაო შეკრებებზე და მოსკოვის კვანძის კრივონოსელთა კრებაზე, რომელიც ამასწინათ გაიმართა სხვა გზების კრივონოსელებთან ერთად, რომ ყოველი სტახანოველი — კრივონოსელი არამც თუ მარტო თვითონ უნდა მუშაობდეს უავარიოდ, არამედ იგი აქტიურად უნდა იბრძოდეს მარცხისა და ავარიების — რკინიგზის ტრანსპორტის ამ ძირითადი ბოროტების წინააღმდეგ, აქტიურად უნდა ამხილებდნენ ავარიების მომხდენთ, დოყლაპიებს, შრომის დისციპლინის დამრღვევთ, მათ უნდა გამოიჩინონ სიფხიზლე და არ დაუშვან მტრულად განწყობილ და პროვოკატორულ ელემენტთა დამარღვეველი მუშაობა.

კლასობრივად მტრულად განწყობილი ელემენტი ტრანსპორტზე ჯერ კიდევ ბევრია. მტრები ცდილობენ ჩაგვიშალონ მუშაობა, რომ შეამცირონ გამტარუნარიანობა ქსელში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენ ვუახლოვდებით ოთხმოცი ათასი ვაგონის დატვირთვას, რასაც ჩვენ დავპირდით ჩვენი პარტიის ბელადს ამხანაგ სტალინს. გახრწნილი და მტრულად განწყობილი ელემენტები ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ, ავნონ კრივონოსელებს ტრანსპორტის აღმავლობისათვის ბრძოლაში. ხოლო მეთაურებს შორის მოკალათებული ზოგიერთი ბიუროკრატი ზოგჯერ მათ ხელს უწყობს ამ საქმეში.

კრივონოსელ-სტახანოველებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არიან მოსპობილი „მესაზღვრით" მესაბოტაჟეები. ჯერ კიდევ სცოცხლობს „საზღვრითი" განწყობილებანი არა მარტო მთელ რიგ მეორთქლმავლეებსა და ექსპლოატაციის დარგის მუშაკებს შორის, არამედ მევაგონეებსა, მელიანდაგეებსა, კავშირგაბმულობის მუშაკებს შორისაც. პირველი სიძნელეებისა და შეფერხებისთანავე (ხოლო ეს სიძნელეები რკინიგზის ტრანსპორტზე არის და კვლავ იქნება. ჩვენ შევედით ჩვენი მუშაობის უაღრესად პასუხსაგებ პერიოდში — საზამთრო ტვირთზიდვის პერიოდში) ეს განწყობილებანი ცოცხლდებიან, ძლიერდებიან. ჩვენთვის, რკინიგზელებისათვის, ზამთარი ჰრისხანე გამოცდა იქნება. ჩვენს შემჭიდროებაზე, სიმტკიცეზე, ყველა რკინიგზელის შეუპოვარ თავდადებულ მუშაობაზე არის დამოკიდებული ის, რომ გადავაქციოთ ეს ზამთარი ტრანსპორტზე ბოლშევიკურ ზამთრად (მქუხარე ტაში).

ახლა, ამხანაგებო, ჩვენ, რკინიგზელებს, გვიხდება მუშაობა ისე, როგორც ფრონტზე; ვმუშაობთ არა მარტო ბევრს, ვმუშაობთ დაძაბულად. ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს ნახშირის გამოუზიდველობა, ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს იმ პროდუქციის გამოუზიდველობა, რომელსაც სტახანოველები ამზადებენ. გრძნობენ რა ამ პასუხისმგებლობას, რკინიგზის ტრანსპორტის საუკეთესო ადამიანები ამჟამად გაორკეცებული, გასამკეცებული ენერგიით მუშაობენ. ისინი არ ზოგავენ თავის დროს, არ ზოგავენ თავიანთ ძალებს, არ ზოგავენ თავიანთ ჯანმრთელობას. და მე შემიძლია ვსთქვა, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ მომავალ წელს ჩვენი ტრანსპორტი გამოვიყვანოთ კიდევ უფრო ფართო გზაზე და რომ მზად ვიყოთ არამც თუ შევასრულოთ ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინისათვის მიცემული დაპირება — მივსცეთ საშუალო სადღეღამისო დატვირთვა 80 ათასი ვაგონისა, — არამედ თუ პარტიის ბელადი, ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა მოგვ-

(დასასრული იხ. მე-6 გვ.)

კომუნისტი

ოთხშაბათი, 20 ნოემბერი 1935 წ. № 268 (44..)

მანდარინის დამზადება

დამზადებულია 28040000 ცალი მანდარინი

სახკომსაბჭოსთან არსებულ დამზადების კომიტეტის ცნობებით

19 ნოემბრისათვის საქართველოში დამზადებული იყო 28.040.000 ცალი მანდარინი, რაც რესპუბლიკური გეგმის 18,7 პროცენტს შეადგენს. დამზადებულია:

	დამზადების გეგმა	დამზადებულია ცალობით	გეგმის შესრულება პროცენტით
აჭარისტანის ს.ს.რ.	120.000.000	22.500.000	18,7
აფხაზეთის ს.ს.რ.	11.000.000	2.540.000	23,1
მახარაძის რაიონი	15.000.000	3.000.000	20,0

ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, ცხაკაიას და ფოთის რაიონის დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულები, მიუხედავად არა ერთი კატეგორიული მითითებისა, მანდარინის დამზადების მსვლელობის შესახებ ცნობებს მაინც არ გზავნიან!

მანდარინის დამზადების ცნობებს „კომუნისტი" გამოაქვეყნებს ყოველდღიურად რაიონების მიხედვით.

ჩაისათვის ნიადაგის მომზადება

მიწსახკომის 15 ნოემბრის ცნობებით

რაიონები	დამზადებულია ნიადაგი ჰექტარ.	გეგმის შესრულება პროცენტ.
ბათომის	68	80,0
ქობულეთის	120	62,7
გალის	36	360,0
სოხუმის	0	0
გუდაუთის	3	6,6
მახარაძის	53	35,3
ჩოხატაურის	7	12,7
ლანჩხუთის	29	36,2
ხონის	291	306,3
ცხაკაიას	12	20,0
მარტვილის	59	49,1
ზუგდიდის	60	52,4
წალენჯიხის	62	77,5
ჩხოროწყუს	91	50,5
ხობის	44	88,0
ქუთაისის	150	76,9
სულ	1121	66,0

საშემოდგომო კულტურების თესვა

მიწსახკომის 15 ნოემბრის ცნობებით

რაიონები	დათესილია ჰექტარობით	გეგმის შესრულება პროცენტობით
ახალქალაქის	4554	93,6
ბოგდანოვკის	376	268,8
ახალციხის	4608	100,2
ადიგენის	3829	100,8
ტოლოშის	2390	105,8
ხაშურის	17521	102,4
გორის	16765	99,8
კასპის	8392	100,9
ბორჯომის	166	103,8
გურჯაანის	17844	100,6
სიღნაღის	44783	100,6
თელავის	19230	97,1
ყვარლის	11841	100,6
ლაგოდეხის	10190	101,2
ტფილისის	22574	98,8
ყარაიას	3503	85,3
ბორჩალოს	9614	72,2
ლუქსემბურგის	8026	101,9
წალკის	216	216
დუშეთის	8340	100,1
ალბულაღის	14738	104,5
საგარეჯოს	10985	89,8
ბაშკიჩეთის	4957	100,6
თიანეთის	3777	83,9
ქუთაისის	301	73,8
სამტრედიის	1108	80,0
ხონის	84	75,0
ვანის	13	31,7
ჭიათურის	3008	109,7
ხარაგოულის	263	—
ონის	2052	102,6
ამბროლაურის	2890	105,9
ცაგერის	2782	100,1
ჩოლურის	139	—
ცხაკაიას	33	89,2
ფოთის	8	80,0
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი	11478	100,5
აფხაზეთის ს.ს.რ.	1718	51,8
აჭარისტანის ს.ს.რ.	138	55,4
სულ საქართვ.	275235	97,6

გეგმა შესრულებულია

ზუგდიდის რაიონმა 25 ოქტომბრისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულა 100,8 პროც. მოკრეფილია 1.109.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებულ 1.100.000 კილოგრამის ნაცვლად.

დღეს, 20 ნოემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, პროპაგანდისტებისა და ძირეული აგიტატორებისათვის შესდგება საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივნის ამხ. ს. **კუდრიავცევის** მოხსენება თემაზე: **„პარტიული მუშაკის ჰორიზონტის შესახებ"**. შესვლა პარტიული ბილეთებით.

ამხ. კაგანოვიჩის სიტყვის დასასრული

ცემენ ახალ დავალებას — მზად ვიყოთ ღირსეულად შევხვდეთ და შევასრულოთ ეს ახალი დავალება (მქუხარე ტაში).

რკინიგზელებმა იციან, თუ რა სამხედრო და თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტს. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ჩვენი სამშობლოს დასაცავად; ამისათვის ჩვენ გვყავს სახელოვანი, კარგად შეიარაღებული, მაგარი წითელი არმია (ტაში).

ჩვენ ვიცით, რომ ტრანსპორტი ომიანობის დროს მუდამ უდიდეს როლს თამაშობდა. და ჩვენ რკინიგზელები ვაცხადებთ: დარწმუნებული იყავით, წითელ არმიას და ჩვენს სამშობლოს იმედს არ გავუცრუვებთ მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად საკადრის პასუხს გავცემთ ყოველგვარ მტერს (მქუხარე ტაში).

რკინიგზელები, პირველ რიგში სტახანოველები — კრივონოსელები, იცნობენ და მათ ახსოვთ ამხანაგ სტალინის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ინგლისი როგორც სახელმწიფო წარმოუდგენელი იქნებოდა მას რომ არ ჰქონდეს პირველხარისხოვანი საზღვაო ტრანსპორტი, რომელიც მის მრავალრიცხოვან ტერიტორიას აკავშირებს მთლიან ერთეულად. სწორედ ასევე, საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო წარმოუდგენელი იქნებოდა მას რომ არ ჰქონდეს პირველხარისხოვანი სარკინიგზო ტრანსპორტი, რომელიც მის მრავალრიცხოვან ოლქებსა და რაიონებს აკავშირებს ერთ მთლიან ერთეულად".

ჩვენ ვიცით, თუ რა უდიდეს მოვალეობას აკისრებს რკინიგზელებს ბელადის ეს სიტყვები და ჩვენ ვიმუშავებთ ისე, რომ მტკიცედ, სასახელოდ ვეჭიროს ჩვენი დიდი სარკინიგზო სახელმწიფოს დროშა! (ტაში).

○

ამხანაგებო, დიდია ჩვენი თათბირის მნიშვნელობა. ამ თათბირზე ერთი ქარხანა პირველობას ედავება მეორეს, ერთი მქსოველი ქალი შეჯიბრებაში იწვევს მეორეს, ერთი მემანქანე ეჯიბრება მეორე მემანქანეს. ჩვენთან, რკინიგზის ტრანსპორტზე, მემანქანეები ეჯიბრებიან ექსპლოატაციის დარგის მუშაკებს, მემანქანე—დისპეტჩერს, კონდუქტორი — მატარებლის შემდგენელს, მევაგონე — მელიანდაგეს, ეს არის შეხმატკბილებული სოციალისტური ოჯახის შეჯიბრება, რომელიც მოწმობს, რომ დღეს ჩვენ ვართ მთლიანი და შემჭიდროებული ისე, როგორც არასოდეს. რომ დღეს ჩვენი საბჭოთა კავშირის შრომის მთელი დიდი არმია, პირველ რიგში მოწინავე სტახანოველთა, კრივონოსელთა, ვინოგრადოველთა არმია, მზად არის იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებამდე, ახალ გამარჯვებებისათვის ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში. ჩვენ ცოტა ბრძოლა როდი გვეჭირდება. ჩვენ ჯერ კიდევ არ ამოგვიგდია კაპიტალიზმის ყველა ფესვი, განსაკუთრებით ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაშთები ადამიანთა შეგნებაში, მათ ზნე-ჩვეულებებსა და ჩვევებში. მტრების ნამსხვრევები ჯერ კიდევ ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენს ძლევამოსილ მსვლელობას. ამას ჩვენ ყველაზე უფრო ნათლად ვხედავთ რკინიგზის ტრანსპორტზე მარცხთან ბრძოლის მაგალითზე. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტახანოვური მოძრაობა, რომელიც მილიონთა, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მოწინავე ადამიანთა, ქვანახშირის მუშათა, მეტალურგთა, ფეიქართა, რკინიგზელთა და სხვ. მოძრაობას წარმოადგენს, აძლიერებს ჩვენს ძალებს და მთელს მუშათა კლასს, კოლმეურნეებს, მთელს ჩვენს ქვეყანას ხდის მიუვალ ციხესიმაგრედ. ამ სიმაგრეზე დაიმსხვრევა ყოველგვარი მტერი, შინაური იქნება ის, თუ გარეშე (ტაში).

მაშ ვუთხრათ, ამხანაგებო, დღეს ყველა მშრომელს, ვუთხრათ ჩვენს ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ შრომის არმია, პირველ რიგში სტახანოველები, კრივონოსელები, უძლეველია, იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გაბედულად, მტკიცედ, რწმენით წავა წინ ახალი დიდი გამარჯვებისაკენ! (მქუხარე ოვაციები. ფეხზე ამდგარი დარბაზი დიდხანს უკრავს ტაშს, შეძახილები: „ვაშა", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!" გაუმარჯოს ამხანაგ კაგანოვიჩს!").

მდგომარეობა ჩრდილოეთ-ჩინეთში

სისხლიანი ამბები ლიმოჟში

პარიზი, 17 ნოემბერი. გუშინ ლიმოჟში ფაშისტურმა ორგანიზაციამ „ბრძოლის ჯვრებმა" თავისი შეკრება გამართა. ადგილობრივმა მოსახლეობამ იმ შენობის წინ, სადაც შეკრება მიმდინარეობდა, მოაწყო ანტიფაშისტური დემონსტრაცია. ფაშისტების მიერ დაკავებული სახლიდან უეცრად სროლა მოისმა. მოხდა შეტაკებები, რის დროსაც დასჭრეს 17 დემონსტრანტი და 4 ფაშისტი (ადს).

ლიმოჟის ამბები

პოლიციის მთავარ კომისრის განცხადება

პარიზი, 18 ნოემბერი. როგორც გაზეთები იუწყებიან, პოლიციის მთავარმა კომისარმა, რომელიც მოწმე იყო ფაშისტების მიერ ატეხილი სროლისა, შემდეგი განაცხადა:

„სრულიად უდავოა, რომ სროლა გაისმა „მებრძოლი ჯვრების" მიერ დაკავებული სადგომიდან. მათ სრულებით არავინ ემუქრებოდა. შენობიდან გამოსასვლელი უზრუნველყოფილი იყო და მას იცავდნენ, ამავე დროს სულ მცირე შესაძლებლობაც არ ყოფილა იმისა, რომ მომხდარიყო შეტაკება სახალხო ფრონტთან, მაგრამ საღამოს, „მებრძოლი ჯვრების" დაახლოებით 30 წევრი გაწვა მიწაზე და დაიკავა პოზიცია. შემდეგ გაისმა ბრძანება: „ცეცხლი". ამის შემდეგ 50-ჯერ გაისროლეს ხალხისკენ. მე ვამტკიცებ, რომ სროლა გაისმა სწორედ ფაშისტების მიერ დაკავებული სადგომიდან და ფაშისტებს, რომ არ ესროლათ, არავითარი ინციდენტი არ იქნებოდა. სახალხო ფრონტის ხელმძღვანელნი თავისი მანიფესტაციის საუცხოო წესრიგს იცავდნენ. „მებრძოლმა ჯვრებმა" სრულიად უმიზეზოდ აუტეხეს სროლა ხალხსა და პოლიციას.

ამის შედეგად ერთ მუშას, ორი ბავშვის მამას, ტყვია ხერხემალში მოხვდა. მისი მდგომარეობა უიმედოა. მას გარდა კიდევ 3 კაცია მძიმე მდგომარეობაში. საერთოდ დაჭრილია 15 კაცი.

მთელი მემარცხენე პრესა უდიდესი აღშფოთებით აცხადებს პროტესტს ფაშისტურ მკვლელთა სისხლიანი გამოსვლის წინააღმდეგ და მოითხოვს მათ დასჯას. „ლუმანიტე" დაჟინებით მოითხოვს „მებრძოლი ჯვრების" მეთაურის პოლკოვნიკ დე ლა როკის დაპატიმრებას (ადს).

ფაშიზმის საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათათვის მიძღვნილი თათბირი

პარიზი, 18 ნოემბერი. გუშინ ბულონში (პარიზთან) გაიმართა სახალხო ფრონტის მომხრე სენატორთა, გენერალურ მრჩეველთა, მერთა და მუნიციპალიტეტის მრჩეველთა თათბირი. აქ ირჩეოდა საბრძოლო ღონისძიებანი ფაშიზმისა და მთავრობის იმ დეკრეტების წინააღმდეგ, რომელნიც ზღუდავენ დემოკრატიულ თავისუფლებებს.

თათბირმა შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი მშრომელი მოსახლეობის მოსამზადებლად ფაშისტური გამოსვლების შემთხვევისათვის (ადს).

პეიპინი, 17 ნოემბერი. კვლავ გრძელდება იაპონიის ჯარების გადაყვანა შანხაიგუანში. აქ დადის ხმები, რომ იაპონელი მილიტარისტები თავდაპირველად ჩრდილოეთ-ჩინეთის ხელისუფალთაგან მოითხოვდნენ ჩრდილოეთ-ჩინეთის „დამოუკიდებლობის" გამოცხადებას 17 ნოემბრიდან, მაგრამ ახლა ამ მოთხოვნის შესრულების ვადა გადადეს 3 დღით. ამასთანავე, ხმების მიხედვით, იაპონელები იმუქრებიან, თუ 3 დღის შემდეგ დეკლარაცია არ გამოცხადდა, ჩრდილოეთ-ჩინეთში მოვიქცევით ისე, როგორც საჭიროდ დავინახავთო, რეიტერის სააგენტო აღნიშნავს დაჟინებულ ხმებს, რომ რამდენიმე დღის შემდეგ „პეიპინში ავტონომიური მთავრობა" დამყარდება.

ჩინეთში გამომავალი იაპონური გაზეთები ამტკიცებენ, რომ ჩანკაიშიმ შანდუნისა, ხენანის და შენსის პროვინციებში თავი მოუყარა ნახევარ მილიონ ჯარისკაცს. ამ ჯარების კონცენტრაციის მიზანი არის „დამოუკიდებლობის" მოძრაობის დათრგუნვა ჩრდილო-ჩინეთში.

იაპონური გაზეთები ამტკიცებენ, რომ იაპონიის წინსვლისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის პოლიტიკა ოფიციალურად მოწონებული იყო გომინდანის ყრილობის მიერ. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ იაპონია არ დაუშვებს ცენტრალური მთავრობის ჯარების წინსვლას ჩრდილოეთ-ჩინეთში (ადს).

ტოკიო, 13 ნოემბერი. იაპონური გაზეთების ჩრდილოეთ-ჩინეთის კორესპონდენტები გამოსთქვამენ რწმენას, რომ „ჩრდილოეთ-ჩინეთის დამოუკიდებლობის" გამოცხადება 21 ნოემბერს მოხდება. დემპო ცუსინის ტიანძინელი კორესპონდენტი იმოწმებს „სარწმუნო წყაროებს" და იუწყება, რომ სუნ ჯე-იუანმა უკვე 17 ნოემბერს აცნობა იაპონიის ჯარების სარდლობას ჩრდილოეთ-ჩინეთში: ახლო მომავალში ჩრდილოეთ-ჩინეთში დამოუკიდებელი მთავრობა შეიქმნებაო (ადს).

ეკონომიური სანქციები იტალიის წინააღმდეგ ძალაში შედის

ჟენევა, 18 ნოემბერი. დღეს ძალაში შედის ეკონომიური სანქციები იტალიის წინააღმდეგ. რამდენად ნამდვილი ექნება სანქციები, ეს რამდენსამე თვეში გამოირკვევა. მაგრამ ახლაც უდავოა, რომ იტალიის მთავრობას უფრო ერთა ლიგის სისუსტის იმედი ჰქონდა და გაცილებით ნაკლებად იყო მომზადებული იმ შედარებითი სიმტკიცისა და ერთსულოვნებისთვის, რაც ერთა ლიგის წევრმა სახელმწიფოებმა გამოიჩინეს. ამით აიხსნება დაბნეულობა და მერყეობა იმ ენერგიულ ჟესტებთან ერთად, რომლებსაც მრავალი მეთვალყურე აღნიშნავს და რაც ახასიათებს ფაშისტური მთავრობის ახლანდელ მოქმედებას. გენერალ დე ბონოს გაწვევას და მის ადგილზე ბადოლიოს დანიშვნას აქ ერთსულოვნად იმით ხსნიან, რომ მუსოლინი უკმაყოფილოა დე ბონოს „ტრიუმფით" აბისინიაში. ბადოლიომ მთავარსარდლის პოსტზე უნდა უზრუნველჰყოს იტალიელთა ელვისებური შეტევა. მუსოლინი, როგორც სჩანს, დაიმედებულია, რომ ბადოლიო დაეხმარება მას დაასწროს ეკონომიური სანქციების მოქმედებას და ერთა ლიგას, უმთავრესად, ინგლისს, დააყენებს მომხდარი ფაქტის წინაშე—აბისინიის ტერიტორიის უმეტესი ნაწილის დაპყრობის წინაშე. ეს, მისი ანგარიშით, გაუადვილებს ერთა ლიგასთან და ინგლისთან ვაჭრობის საქმეს. (ადს).

სანქციები იტალიის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. ოტავიდან (კანადა) იუწყებიან, რომ კანადის მთავრობამ შემოიღო სანქციები იტალიის წინააღმდეგ. აკრძალა იტალიისთვის სესხის და კრედიტის მიცემა. აკრძალა აგრეთვე იტალიაში შეტანა და იტალიიდან გამოტანა იარაღისა და სამხარი მასალისა, სხვათაშორის ნიკელისა, სპილენძის, რკინისა, ფოლადისა, მარგანეცისა, ცხენებისა და ჯორებისა, ამის დარღვევას მოსდევს ჯარიმა და დაპატიმრება. მესაზღვრეებს წინადადება მიეცათ ხელი შეუშალონ საქონლის გადაზიდვას იტალიიდან და იტალიაში შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გავლით (ადს).

ლონდონი, 17 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისმა მიმართა გერმანიას, უნგრეთს ავსტრიას და შვეიცარიას ნოტებით, რომლებშიც აღნიშნავს, რომ 18 ნოემბერს შემდეგ იგი მოითხოვს ხოლმე ინგლისში შემოზიდული საქონლის სადაურობის სერტიფიკატებს. ამ ზომამ ხელი უნდა შეუშალოს ინგლისში იტალიის საქონლის შემოზიდვას შემოვლით. ამ ქვეყნებისგან პასუხი არ მოსულა. გარდა გერმანიისა, რომლის ელჩი 16 ნოემბერს იყო საგარეო საქმეთა სამინისტროში და გადასცა თავისი მოსაზრებანი, რომელნიც, როგორც ამბობენ უმთავრესად ემყარებიან სხვა ქვეყნებთან ხელშეკრულებათა დადებისას უმეტესი უპირატესობის მუხლის შეტანის სიძნელეებს. (ადს).

ვენა, 18 ნოემბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, რუმინეთის მთავრობამ დაადგინა დღეიდანვე გაატაროს ერთა ლიგის გადაწყვეტილება იტალიის საწინააღმდეგო სანქციების შესახებ. ამგვარად, ბალკანეთის ყველა ქვეყანამ (რუმინეთი, სამხრეთ- სლავია, ბულგარეთი და საბერძნეთი), ალბანეთის გამოკლებით, დღეიდან დაიწყო იტალიის წინააღმდეგ სანქციების გამოყენება (ადს)

ვენა, 16 ნოემბერი. ბელგრადიდან იუწყებიან, რომ 18 ნოემბრიდან იტალიის წინააღმდეგ სანქციების გამოყენების დაწყებასთან დაკავშირებით, სამხრეთ სლავიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შეაჩეროს მოქმედება სამხრეთ სლავიისა და იტალიის შეთანხმებისა საქონელბრუნვისათვის საურთიერთო გადასახდელთა შესახებ. 18 ნოემბრიდან მოკიდებულ მთლიანად წყდება სამხრეთსლავიაში იტალიის საქონლის შეზიდვა და საქონლის უმეტესობის იტალიაში შეზიდვა სამხრეთსლავიიდან. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ნახშირისა და ზოგი სხვა საქონლის შეტანისთვის იტალიაში (ადს).

„ტელეგრაფენ კომპანის" სააგენტო იუწყება, რომ უახლოეს დღეებში ლონდონს გაიგზავნება სამხრეთსლავიის დელეგაცია, რომელსაც მიზნად აქვს მოახერხოს მთელი რიგი იმ საქონლის შეზიდვის გადიდება ინგლისში, რომელიც აქამდე იტალიაში გაჰქონდათ. ლაპარაკია, უმთავრესად, ფრინველს, კვერცხსა, ღვინოსა და ხე-ტყეზე. ამ მოთხოვნას ასაბუთებენ იმ სიძნელეებით, რაც აღმოჩნდა სამხრეთსლავიის ექსპორტის წინაშე სანქციებში სამხრეთსლავიის მონაწილეობითა და ყველა ამ საქონლის იტალიაში გატანის შეწყვეტით (ადს).

უნდობლობის ვოტუმი ლავალის მთავრობას

პარიზი, 18 ნოემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, სოციალისტურმა პარტიამ დეპუტატთა პალატაში შეიტანა შეკითხვა ლიმოჟის სისხლიანი ამბების გამო და მთავრობის პოზიციის შესახებ „ბრძოლის ჯვრებისა" და სხვა ამგვარ ლიგების მიმართ. ამავე დროს სოციალისტებმა შეიტანეს მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმი (ადს).

ეგვიპტის ხელისუფლების განკარგულება

ლონდონი, 17 ნოემბერი. როგორც ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო ქაირიდან იუწყება ეგვიპტის ხელისუფლებამ აკრძალა ეგვიპტეში თვითმფრინავებით იტალიის ჯარისკაცთა გადაყვანა. იტალიის მთავრობას აცნობეს, რომ ეგვიპტით არ გაატარებენ არცერთ სამოქალაქო თვითმფრინავს, რომელიც ერთერთ მეომარ სახელმწიფოს ეკუთვნის, თუ მასზე იქნებიან შეიარაღებული, ან სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მგზავრები. (ადს).

ტფილისი, ტრამვაი
სტახანოველები (მარცხნიდან) ამხ. მირზოევი— გრეცინგერი და ხორხელი.

ლევ ტოლსტოი



1910 $\frac{20}{XI}$ 1935

ერთი შეხედვით, 1910 წლის 20 ნოემბერი იყო დღე სახალხო გლოვისა. შუა წარმოდგენის დროს თეატრებში ფარდები დაუშვეს და ყოველგვარი სანახაობა შესწყდა გასართობ დაწესებულებებში. ამ დღეს გარდაიცვალა ლევ ტოლსტოი.

— შეხედეთ—ამბობდა ლენინი,— როგორ აფასებენ ტოლსტოის მთავრობის გაზეთები. ისინი ღვრიან ნიანგის ცრემლებს. სურთ დაამტკიცონ თავისი პატივისცემა უდიდესი მწერლისადმი და ამავე დროს იცავენ „უწმინდეს" სინოდს. უწმინდესმა მამებმა კი, ეს-ეს არის ჩაიდინეს უსაზიზღრესი სისაძაგლე—სულმობრძავ მოხუცს მიუგზავნეს ხუცები, რომ ხალხი მოატყუონ და სთქვან, ტოლსტოიმ ცოდვები მოინანიაო".

ოფიციალური და ლიბერალური რუსეთი ვერ ბედავდა ეთქვა სიმართლე ტოლსტოის შესახებ. ეშინოდა ეთქვა, რომ გარდაიცვალა ეკლესიის მატყუარობის, მთავრობის ძალადობის, კაპიტალისტური ექსპლოატაციის, საზოგადოებრივი სიცრუისა და სიყალბის მამხილებელი, და მხოლოდ გაცვეთილი კაზიონური ფრაზებით ფარისევლურად აღნიშნავდა მთელი „განათლებული კაცობრიობის" მწუხარებას, მსოფლიოს ერთსულოვან გამოხმაურებას „ჭეშმარიტებისა და სიმართლის მოციქულის" გარდაცვალებაზე.

ის მასა კი, რომელსაც შეეძლო ტოლსტოის სწორი და უტყუარი დაფასება, განზე იდგა ამ ფარისევლური გლოვისაგან.

ტოლსტოის გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ მოხდა ოქტომბრის დიდი რევოლუცია.

პროლეტარიატი და კოლმეურნე გლეხობა ეუფლება არა მარტო წარმოების ურთულეს ტექნიკას, არამედ საუკუნოებით შექმნილ, მემკვიდრეობით მიღებულ დიდ სულიერ კულტურასაც, რომელსაც იგი კრიტიკულად ითვისებს და ამდიდრებს თავისი საკუთარი შემოქმედებით.

ტოლსტოი—მხატვარი დღეს [illegible] ცნობილი ხდება უმრავლესობისათვის. მისი დიადი ნაწარმოებნი უკვე არა ათეულების და ასეულების, არამედ მილიონების კუთვნილებაა. ტოლსტოის არასოდეს არ ჰყოლია იმდენი მკითხველი, როგორც დღეს.

რა მოსწონთ, რას აფასებენ ისინი ტოლსტოის დიდ მემკვიდრეობაში? მის ფილოსოფიას? მის მორალს?

რასაკვირველია, არა.

ტოლსტოველობა, როგორც გარკვეული მორალური მოძღვრება, უცხოა და გაუგებარი საბჭოთა მასებისათვის.

საბჭოთა მკითხველი კითხულობს და აფასებს ტოლსტოის იმისათვის, რომ დიდმა ოსტატმა უდიდესი მხატვრული სიძლიერით დაგვიხატა რევოლუციის წინადროინდელი რუსეთი. „დახატა რა რუსეთის ისტორიული ცხოვრების ეს ნაკვეთი, — სწერს ლენინი ლევ ტოლსტოიმ შესძლო თავის ნაწარმოებებში აუარებელი საკითხების აღძვრა, შესძლო მხატვრული ძალის ისეთ სიმაღლემდე ასვლა, რომ მისმა ნაწერებმა ერთერთი პირველი ადგილი დაიჭირეს მსოფლიო ლიტერატურაში".

მკითხველი ტოლსტოის ნაწარმოებებში ეცნობა, ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ძველ ჩვეულებებსა და ტრადიციებზე აღზრდილ გლეხობას, მის უმწეობას, დაბნეულობას, უუნარობას.

მაგრამ ტოლსტოი ჩვენთვის ძვირფასია არა მარტო როგორც „სარკე რუსეთის რევოლუციისა", არამედ როგორც უდიდესი მხატვარი—ოსტატიც.

რუსეთის მრავალმა დიდმა თანამედროვე მწერალმა განიცადა მისი მხატვრობის ცხოველმყოფელი გავლენა. მომავალშიაც ტოლსტოის მხატვრული შემოქმედება, უეჭველია შეასრულებს თავის როლს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის შექმნაში.

დაკვირვების უდიდესი ძალა, გენიალური უნარი, რომ გამოჰყოს დასახატად არჩეულ ადამიანებსა და საგნებში ყველაზე მთავარი, ყველაზე დამახასიათებელი თვისებები, განსაცვიფრებელი გულმოდგინეობა, რომ ასახოს რეალური სინამდვილე ყველა მისი შეუმჩნეველი ნიუანსით—ასეთია ტოლსტოი რეალისტი.

ობიექტური მეთოდის მიმდევარი ტოლსტოი ყოველ თავის ნაწერში ნადრევ ნაწარმოებშიაც კი, გვევლინება, როგორც რეალისტი მხატვარი, იგი გულდასმით აკვირდება სინამდვილის მდიდარ და ჭრელ მრავალგვარობას, ემორჩილება სინამდვილის კანონებს და ხდება მისი სრული მპყრობელი. იცის რა საგნის ყოველი მხარე, ტოლსტოი არასოდეს თავს ნებას არ აძლევს ასწეროს საგნის ნაკლებ მნიშვნელოვანი წვრილმანები, რომლებიც მხოლოდ აბნელებენ საგანს, როგორც ეს სჩვევია ნატურალიზმის ზოგიერთ პირველხარისხოვან წარმომადგენელსაც კი.

ამით არის ძლიერი ტოლსტოი, ამით შემოდის იგი სოციალისტური კულტურის საგანძურში.

ვ—ძე.

პარტკალენდარი

დღეს 20 ნოემბერს დღის 1-ლ საათზე საქ. კომ. პ. (ბ) ც. კ. კულტურის და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებაში უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: კვიკისკირი, ოვასინა, მურადოვა, პაპოვიჩი, ბაგიან, რომანოვსკი, გიგაშვილი, ვერულია, ჯიქიძე, ქორიძე სახაროვი, ხატიაშვილი, თავხელიძე, ჩხიკვიშვილი, აბრამაშვილი, ლობჟანიძე, ილ. ზრიგვაძე, მოისწრაფაშვილი, შ. პაპავა, თოფურია, მიხელაშვილი, ბურკაძე, ჯინჭველაშვილი, მამედოვი, პაჭკაშვილი, სიმონგულოვი.

ამხანაგებმა თან უნდა იქონიონ გამოკვლევის მასალები.

[illegible]
დღეს — 12 აბონ. 3 წარმოდ. — კარმენი — მონაწ. ფატმა მუხთაროვა, ვ. მალკოვა, დ. ანდღულაძე, სანდრო ინაშვილი (დამსახ. არტ.)
21 ნოემბერს — 7 აბონემ. 3 წარმოდგენა — ბალეტი — ფერენჯი — დადგმა ვ. კ. ლიტვინენკოსი. მხატვარი ე. დ. ახვლედიანი. დირიჟორი ბ. ავეტისოვი
22 ნოემბერს — 4 აბონ. 4 წარმოდგენა — პრემიერა — ალი — მონაწ. ე. ბოგოლეპოვა ა. სტეფანიანი, ვ. ივანოვსკი, რ. ლოპატკინი
სავალდებულოა მეოთხე შესატანი ყველა აბონემენტისათვის
წარმოდგენების დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

რუსთაველის თეატრი 1935—36 წლის სეზონი
დღეს — 11 აბონ. 2 წარმოდ. — შკვარკინის ნაბიჭვარი — გადმოკ. გ. ბუხნიკაშვილის მიერ.
21 ნოემბერს — 12 აბონემ. 2 წარმ — ს. შანშიაშვილის ანზორ
22 ნოემბერს — 1 აბონ. 2 წარმოდ. — ს. შანშიაშვილის ანზორ
მესამე გადასახადი სავალდებულოა
სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი
21 ნოემბერს წარმოდგ. № 23 — განურჩევლად პიროვნებისა
22 ნოემბერს წარმოდგ. № 24 — განურჩევლად პიროვნებისა
დასაწყისი სად. 8 საათზე
ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. სად. 6—9 ს.

[illegible]
ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30 — ახალი ხმოვანი ფილმი „გმირის გზა" პროგრამის კარეში — ჟურნალი № 26.
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30 ფოიეში სიმფ. ორკესტრი — ახალი ხმოვანი ფილმი „შვიდი ბარიერი" პროგრ. კარეში — „ავიაციის დღე, 18 ოქტომბერი"
ლიუქსემბურგის სახ 6-30 8-30, 10-30 სეანსები დღის 12 ს-დან — ხმოვანი საზღვარგარეთული ფილმი „პეტერ" პროგრამის კარეში — [illegible]
„26"-ის კომ. სახ 6-30, 8-30, 10-30 — ახალი ხმოვანი ფილმი მოხუც ლუვენის ქოხი

გაიხსნა განსახკომის უმაღლეს სასწ. შემსვლელთა მოსამზადებელი კურსები
ვადგენთ სპეციალურ ჯგუფს მედინსტიტუტში შემსვლელთათვის. სდგება როგორც საღამოს, ისე დილის ჯგ. პლეხანოვის პრ. № 150-ა. მეტეოროლოგიური სამმართველოს გვერდით. დილ. 10—12 ს. საღ. 6—8 ს. „ოსოავიახიმის" რაისაბჭოში კურსები უზრუნველყოფილია უმაღლესი კვალიფიკაციის პედაგოგებით.
11363 5—2

დაკარგულია
არტელ „სიფხიზლე"-ს მრგვალი ბეჭედი ჩაითვალოს გაუქმებულად. 11302

სსრ კავშირის 1935 წლის 14 ნოემბრის დადგენილების და საკავშირო გაერთიანება „ტორგსინის" სათანადო განკარგულების საფუძველზე, ამით
ТОРГСИН СССР
ცხადდება, რომ ოქრო-ვერცხლის ზოდისა და ნაკეთობათა, აგრეთვე ოქრო-ვერცხლის ძველი ფულისა და ძვირფასი თვლების მიღება
შეწყვეტილია
„ტორგსინის" საქართველოს კანტორის წიგნაკებით, რომელნიც კლიენტურას აქვს ხელში, საქონელი გაიცემა დაუბრკოლებლად.
433 საკავშ. გაერთიანება „ტორგსინის" საქართ. კანტორა.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი განათლების მუშაკთა სახლთან ერთად
აწყობს პროფ. ა. ა. თვალჭრელიძის მოხსენებას რუსულად შემდეგ თემაზე:
„საქართველოს მინერალური ნედლეული და ექსპორტის პერსპექტივები".
მოხსენება შესდგება განათლების მუშაკთა სახლის მცირე დარბაზში (ფურცელაძის ქ. № 3) 20 ნოემბერს საღამოს 8 საათზე.
572 შესვლა თავისუფალია.

დამწუხრებული: დედა მათიკო, ცოლი ნინო, შვილი ზეინაბ და პაპიდა თიკო, აუწყებენ ნათესავ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარი ვლადიმერ ალექსანდრესძე ვაჩნაძის უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს 4 ს. მილიუტინის ქ. № 2. 11367

ტფილისის სას.-სამ. მუშფაკის დირექცია, პარტკომი, კ.კ. კომიტეტი, ადგილკომი და პროფორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ვალოდია გეგეჭკორს მისი ძმის ნიკოლოზ გეგეჭკორის დაკარგვის გამო. 11328

უახლოესი მეგობრები: ლუკა ხელაშვილი, ალიოშა ძოწენიძე ცოლშვილით და აბო ხვთისიაშვილი დიდი მწუხარებით იუწყებიან ვლადიმერ ალექსანდრესძე ვაჩნაძის უდროოდ გარდაცვალებას. 11395

უახლოესი ამხანაგი ლავრენტი რატიანი, ცოლი თამარი ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ძვირფასი ამხანაგის კოლია გეგეჭკორის უდროოდ გარდაცვალების გამო. 11364

ა. ზაუტაშვილი, გ. ფრუიძე, ე. ენუქიძე, კ. ბარიგიანი, რ. კერესელიძე, თანაგრძნობას ვუცხადებთ კ. შეროზიას მისი ძვირფასი ძმის ლევა ნესტორისძე შეროზიას უდროოდ გარდაცვალების გამო. უფ.

ღრმად დამწუხრებული მშობლები ვლადიმერ და კალისტინე, ცოლი ფატი, შვილები: თინა, ირა, ძმები: ვანიჩკა, ვალიკო, გრიგოლ, ელისე, დები: თამარ, ტატიანე აუწყებენ ძვირფას იაშა ბრეგაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 21 ნოემბერს სატიჩხიაზე.

ღრმად დამწუხრებული სიდედრი ვერა, სიმამრი, ანტონ, შვილი შურა ქმრით გოგით იუწყებიან ძვირფასი სიძის ვლადიმერ (ვალოდია) ვაჩნაძის უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, მილიუტინის 2, კუკიის სასაფლაოზე. 11394

მეუღლე ილიკო, დედამთილი ფოტინე ქერქაძეები, დედა სოფიო ივანიკაშვილისა იუწყებიან ბაბო ივანიკაშვილი—ქერქაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 6 ს. გამოსვენება 21 ნოემბერს 4 ნახევარ საათზე. ტრამვაელთა სახლი, 8. 11388

განსახკომის პირველი საცდელი საშუალო სკოლის მშობელთა დამხმარე საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის, ჩვენი ბავშვების შეუდარებელი აღმზრდელის სიმონ გოგლიჩიძის მოულოდნელად გარდაცვალებას. 11383

შოთა ურუშაძე, თორნიკე გეწაძე, ნიკოლოზ მესხი, საშა ამირბეგიშვილი უღრმესი მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის შალვა ლავრენტისძე ხვინგიას უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 20 ნოემბერს კურორტ აბასთუმანში. 11390

სახ. უნივერსიტეტის ლიტ. ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტები თოდრია, პაპიძე, რაზიკაშვილი, მათიაშვილი, მელაძე, გრიგოლია, კაშია, სალუქვაძე, ქართსანიძე იუწყებიან ძვირფასი ამხანაგის ამავე კურსის სტუდენტ ვერა ჩხაიძის გარდაცვალებას. 11391

მეგობრები: აბესაძე, თორთლაძე, შავგულიძე, ვაჩეიშვილი, აფხაძე, შეუნარგია, ივანოვი, ნარეშელი, კვაჭაძე, გორდაძე, ფოფხაძე, ასათიანი ჩაჩიძე მწუხარებით იუწყებიან სას.-სამ. ინსტ. ასისტენტის დ. ყურაშვილის მამის გიორგის გარდაცვალებას. 11379

უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები: მამალაძე, ლეჟავა, ხოფერია, მახათაძე, გიორგაძე, ნაჭყებია, ჯაავა, გაბუნია, ფალავა, ხუხუა ვგლოვობთ ამავე კურსის სტუდენტის ვალოდია გეგეჭკორის ძმის კოლიას დაკარგვას. 11397

მეგობრები: ნიორაძე, მინდაძე, ჩაფიძე, ბრეგვაძე, კიკნაძე, კაიშაური, ექვთიმიშვილი, ბოჭორიძე, ერისთავი, ცაგარელი იზიარებენ მწუხარებას მანავის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილის ნიკოლოზ გველესიანის შვილის ომარის უდროოდ დაკარგვის გამო. 11371

პირველი საცდელ-საჩვენებელი სრულ საშუალო სკოლის მესამე და მეოთხე კლასის მოწაფეობა და მასწავლებლობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ სახალხო მასწავლებლის, იშვიათი აღმზრდელის სიმონ გოგლიჩიძის გარდაცვალების გამო. 11384

დამწუხრებულნი: დეიდა ბაბილინა მეავანაძე—რუსაძისა და ბიძა გედეონ მეავანაძე ოჯახებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ და საყვარელ იაშა ბრეგაძის უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა ქუთაისში გამოსვენება რუსთაველის ქ. № 35.

წინამძღვრიანთკარის სას.-სამ. ტექნიკუმის პედაგოგიური და ადმინისტრატიული პერსონალი იზიარებს ამავე ტექნიკუმის დირექტორის მ. ჯაჯელავას მწუხარებას მისი ბიძაშვილის გუგუშას გარდაცვალების გამო. 11387

აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს დირექცია და თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან სამმართველოს თანამშრომლის, ძვირფასი ადამიანის შალვა ლავრენტისძე ხვინგიას უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა 20 ნოემბერს კურ. აბასთუმანში 11389

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ. 8548.